სახალხო გაზეთი

№ 490 კვირა, 1 იანვარი, 1912 წ. № 490

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე., საღამოთ[illegible]

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; [illegible] მიღება წერილები და კორესპონდენციები სულ [illegible] ნიშნავს [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. [illegible] პასუხი [illegible] პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა.

ფოსტის ადრესი: წერილებისათვის და ფულისათვის Тифлисъ, газ. Сахалхо газети, п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ნაძალადევი

ახალ ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

1912 წლის იანვრიდგან საგანგებოდ ნაძალადევისთვის გვყავს დამტარებელი, რომელიც [illegible] ახ. შომწერთ გზეთს მიუტანს დილა ადრიან სანამ მომუშავენი სამუშაოდ გავლენ.

„სახალხო გაზეთის" კანტორა.

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

[illegible]განაც ზოგიერთი ხელის მომწერი გვეკითხება, ვაცხადებთ რომ პრემია [illegible]ნდემლი", თანახმად ხელის მოწერის პირობებისა (იხ. განცხადება), მიეცემა იმ ხელის მომწერთაც, რომელნიც წლიურ ფასს ნაწილობით იხდიან [illegible] ვადებზე, როგორც გამოცხადებული გვაქვს).

„სახალხო გაზეთის" კანტორა.

ჟურნალ- გაზეთების საგენტო

იმერეთი

— ქუთაისში —

ამით აცხადებს, რომ ის იღებს ხელის მოწერას

1912 წ. „სახალხო გაზეთ"-ზე

ხელის მომწერნი გაზეთს მიიღებენ იმავე დილით, რა დღესაც ტფილისში გამოდის „**იმერეთის**" კანტორიდან.

სახალხო გაგეთი

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1912 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით)

პრემიად 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **გრდემლი**

ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი,

რომელიც „სახალხო გაზეთის" რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.

კრებული „გრდემლი" დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, ბეჭდება და ხელის-მომწერთ **იანვარშივე დაურიგდება.**

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

სახლვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარეშე, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასო.

ექვსი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული „გრდემლი" მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილოგით მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **„სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში,** (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2) **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.**
3) **ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

წიგნის მაღაზიების საყურადღებოდ:

წიგნის მაღაზიებს, რომელნიც მიიღებენ ხელის მოწერას და ფულს გამოგზავნიან არა უგვიანეს **29 დეკემბრისა, საკომისიოდ მიეცემა 5%.**

27 დეკემბერს. გარდაიცვალა

ნიკოლოზ გესარიონის ძე

ღოღობერიძე.

წირვა და ანდერძი სამშაბათს, 3 იანვარს. დაკრძალვა დიდუბეში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (3—1023—3)

„საქართველოს საისტორიო ⁊ საეთნოგრაფიო საზოგადოების" საგეო გულითადის მწუხარებით აცხადებს, რომ 27 დეკემბერს გარდაიცვალა „საზოგადოების" ნამდვილი წევრი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ქვემოხსენებული

ნიკოლოზ გესარიონის ძე

ღოღობერიძე.

მაინცაულ ეკ[illegible]ნებს [illegible] ეკლესიის ეზოში. წირვა დაიწყება დილის [illegible] ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. (2.1024.2)

სიმონ ⁊ მარიამ ღოღობერიძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი—საყვარელ ძმის, ხოლო მეორე—მაზლის

ნიკოლოზ ღოღობერიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდები დღეს, საღამოს 7 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში. წირვა და ანდერძი სამშაბათს, 3 იანვარს. დაკრძალვა დიდუბეში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (2.1022.2)

დღევანდელ ნომერში 10 გვერდია.

შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 3 იანვარს.

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების მთავარი გამგეობა მწუხარებით აუწყებს „საზოგადოების" წევრთ, „წ.-კ. საზოგადოების" დამფუძნებელ წევრის, **საზოგადო მოღვაწის**

ნიკოლოზ გესარიონის ძე

ღოღობერიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში 31 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე. (2.1674.2)

ქართული თეატრი

სადღესასწაულო რეპერტუარი ახალ კლუბისა და ქართულ თეატრისა.

ახალი კლუბი:

დღეს, 31 დეკემ.,

„ვნებათა ტალღებში",

მუსიკა მოზაიკა 3 მოქ. ვალენტინოვისა.

დასაწყ. საღ. 8 ს.

ახალი წლის დახვედრა (საზოგადო ვახშამი).

ქართული თეატრი.

კვირას, 1 იანვარს, 1912წ.

„ღ ა ლ ა ტ ი",

დრამა 5 მოქ. თ. სუმბათაშვილისა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა. ✦ **დასაწყ. საღ. 8 ს.**

ორშაბათს, 2 იანვარს,

საიუბილეო წარმოდგენა.

დასაწყ. საღამოს 8 ს. (3—1670—3)

ქართული თეატრი

საახალწლო რეპერტუარი

კვირას, 1 იანვარს, **ვლ. მესხიშვილისა** ⁊ **ვ. აბაშიძის** მონაწილეობით **„ღ ა ლ ა ტ ი",** ისტორ. ლეგენდა ა. სუმბათაშვილისა, თარგ. გრ. ყიფშიძისა. მონაწილ. მთელი დასი. რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.** **დასაწყისი საღ. 8 საათზე.**

ორშაბათს, 2 იანვარს, 1912 წ., **ქართულ სცენის დაფუძნების დღისა** და **გ. ერისთავის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად**

წარმოდგენილი იქნება **„მ ე ბ ო ბ რ ო ბ ა".** დრამა 4 მოქმედ. შიუკაშვილისა.

2. **„ს ა მ ზ ა დ ი ს ი".** სცენები ქართულ სცენის დაფუძნების დროისაა. 1 მოქმედ. 3. უმიკაშნილისა, მონაწილეობს მთელი დასი.

დასაწყისი საღ. 8 საათზე. რეჟისორი **ვალ. გუნია.** (2—1026—)

ქართული თეატრი

სამშაბათს, 3 იანვარს, 1911 წელს.

კნ. ე. ი. თარხნიშვილისა, ი. პ. სარაჯიშვილისა და **ბროჯის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

ტ რ ა ვ ი ა ტ ა,

ოპერა 4 მოქ. ვერდისა. ✦ **დასაწყისი სწორედ საღ. 8 საათზე.**

ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში. (4—1650—4)

ყველაზე ძალიანა საღდება

პ ა პ ი რ ო ს ი

„მ ა რ ს ი",

20 ცალი 5 კაპ.

რისთვისაც ბევრმა ქარხანამ **სიყალბეს** მიჰყო ხელი, ამიტომ გთხოვთ მიაქციოთ **ყურადღება** ფირმას. **ნამდვილ პაპიროს „მარსს"** უნდა ჰქონდეს

წარწერა:

„ძმ. სეილანოვები".

(100.1622.15)

ზოლრაპნის მაზრის ქუთაისის გუბერნიის

შავი-ქვის მრეწველთა კრების

საგჯო

ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლისათვის იწვევს

მასწავლებელს,

რომელსაც წელიწადში 1008 მანათი მიეცემა.

თხოვნა უნდა გაეგზავნოს ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს 1912 წ. 10 იანვრამდე. (3.1666.3)

მიიღება ხელის მოწერა 20 დეკემბრიდან 20 თებერვლამდე.

დ. უზნაძის წიგნზე

ექსპერიმენტალური პედაგოგიკა

(შ ე ს ა ვ ა ლ ი)

წიგნი მოგვითხრობს ბავშვის ფსიხოლოგიის ისტორიას და ახასიათებს ყველა მნიშვნ. ლოვან ფსიხოლოგიურ სფერას: ყურადღებას, ინტერესს, დაღლილობის პრობლ[illegible] მეხსიერებას და სხვ. ხელის მოწერა ნიიღება ქუთაისში: „კოლხიდის" რედაქ[illegible] და მთავარ შვილის წიგნის მაღაზიაში და კანტ. „იმერეთში". თბილისში: „სახალ[illegible] გაზეთის" რედაქციაში.

(1016557) **ფასი ხელისმომწერთათვის ორ[illegible]ზი.**

საჭირო პავილიონი

საამქვრო სახელოსნოსათვის.

სასურველია ქალაქის შუაგულში იყოს.

აცნობეთ შემდეგის მისამართით: სასახლის ქუჩა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, № 6. სასტუმრო „პალე როიალი", № 17. იკითხეთ

(5 1439 3) მხატვარი **კ. ქავთარაძე.**

ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი ს ს ო ლ ე ი ს დ ო ტ ო რ მ ა ღ ა ზ ი ა

შტაბის მოედანზე, თამამშევის ქარვასლის ქვეშ. **საახალწლოდ** დავამზადეთ **დიდ ძალი კალათები, ყარდინიერები** და **ყვავილები** ვაზით: სუმბული, ზამბახი, მიხაკი, აზალია, ციკლამენი, ასაუკასი, მსხმოიარე ნარინჯი და სხვანი. ყოველდღე მოგვდის **მცხეთიდან საკუთარ ბაღის** ყვავილები: ია, ამერიკული მიხაკი და სხვანი.

(3—1667—3)

1912 წ. კიდევ ხელის მოწერა

დაურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნ ა კ ა დ უ ლ"-ზე

✦ **წელიწადი მერვე.** ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი „ნაკადულისა" მცირე წლოვანთათვის; **12 წიგნი** „ნაკადულისა" მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ●●

●● ლური ივან-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალ[illegible] ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვ[illegible] 1 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილ[illegible]

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинский просп. 4. № 8 და წერაკითხვის სახოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის" აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიამშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ანტონ კასრაძესთან. **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან.

(წ.—1627—8 წ.) რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე-** გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის

ორშაბათის საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„თ ე მ"-ზე

წელიწადი მეორე „თ ე მ ი" — **წელიწადი მეორე „თ ე მ ი"**

რედაქცია და კანტორა ქ. ალ. Д. З. Сараджева. Редакція газ. „ТЕМИ", Дворцовая, № 5.

გაზეთის ფასი: წლიურად—2 მან. 50 კ. ნახევარი წლ.—1 მან. 25 კ. ერთი თვით—25 კაპ. გამოწერის მსურველებს უმორჩილესად ვთხოვთ დაიჩქარონ გამოწერა, რომ გაზეთის გზავნაში წეს-რიგი არ დაირღვეს. გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც 1911 წ.

გაზეთის დანიშნულება: „თემი", როგორც ეროვნული გაზეთი, ემსახურება მთელი ქართველი ხალხის **კულტურულ განათლებას.** უპირველეს ყოვლისა იგი აქცევს ყურადღებას ჩვენი **მშრომელი ხალხის** ფართო მასსის ინტერესებსა და საჭიროებას, რადგანაც მშრომელი ნაწილი შეადგენს ქართველი ერის უფლება-მოხდილ უმრავლესობას. **„თემი"** გამსჭვალულია მამული შვილური გრძნობით და არა ზოოლოგიური პატრიოტიზმით. „თემის" იდეალია—ნახოს ჩვენი საქართველოც სხვა ერთა შორის **საკაცობრიო კულტურის** სალაროში თავის წვლილის შემტანი. „თემს" სწამს, ქართველი ერის ბედნიერება გადაბმულია სხვა **მეზობელ ერთა** ბედნიერებაზე, ამიტომ იგი ემსახურება მათ შორის დადებულ მჭიდრო **კულტურულ კავშირს.**

გაზეთი სდგას პარტიათა გარეშე.

1911 წ. „თემში" დასტამბეს თავის წერილები შემდეგ[illegible]ბლ-მა მწერლებმა: აკაკიმ, იუსტინე აბულაძემ, ს. აბაშელმა, [illegible] ლაპარაკვატ-დოკენტსმა ავალიანმა, განდეგილმა (ფსევდ.), ი. გ[illegible] მეორე ახალშვილმა (ფსევდ.), ია ეკალაძემ (ფსევდ.), გიორგი თუმანი[illegible] ⁊. უმბაძეზე, მა, გოლამ (ფსევდ.), დ. კარიჭაშვილმა, [illegible] კასრაძე[illegible] ფშაველმა (ფსევდ.), ნ. ლორთქიფანიძემ[illegible] სოფრ. მგ[illegible]ჩელსავით, ცოშვილმა, კ. მაყაშვილმა, ი. მუკელიანმ[illegible]ლმა, მან-წილმა (არჩა. 1911 წ. მ. ა., იოს. მაჭავარიანმა, მეთვალ[illegible]ერემ (ფსევდ.), დ. [illegible] ეჭდა მისი „გზა შვილმა, რიშ-ბაბამ (ფსევდ.); [illegible] სარაჯიშვილმა, თ. [illegible] ვ. ს—შვილმა (ფსევდ.), ტ. [illegible]ძემ, გრ. სვირსკანდელმა [illegible]ლმა აქაც ავტორ-არტემ ფირალოვმა, იო[illegible] ფერაძემ, ფუხარამ (ფსევდ.) [illegible]ლიანმა, ალ. ყანჩელმ[illegible]ლევ. ყიფიანმა, პროფ. ა. ხახან[illegible]ადღებას იქცევს. გ. ტაბიძემ, მოსე [illegible]ბაშვილმა და სხვ.

„თემს" უგზავ[illegible]ნენ (1911 წ.) კორესპონდენციებს შემდეგ[illegible]ალი, მუდმივი, ლადო ბზვან[illegible] და ისო (ქუთაისი), ი. ანაშვილი (კახეთი), S., ,, ისეთი გრძნობ-თლი), [illegible]ბადო (ლეჩხუმი), ია ნარიძე (რაჭა), ჰამუთ-ბეი ([illegible] ამ ჯვარედინ გზა- და სხ[illegible] რედაქტორ-გამომცემელი **გრიგოლ დიასა[illegible]**

(1—1673—1)

ექიმ-ოკულისტი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. ბ. მეგრაბ[illegible]

წამლოგა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგან[illegible]ს ნაწარ-

ტ უ ბ ე რ კ უ ლ ი ნ

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 2 11 საათამდე და [illegible] მოს 5 7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ 100 1534 66).

თელავის განყოფილების
ქ. შ. წ.-ქ. გ. საზოგადოების
წიგნის მაღაზიაში
მიიღება ხელის მოწერა „**სახალხო გაზეთ**“-ზე.

თელავის განყოფილების
ქ.შ. წ. ქ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში
(ზემო ბაზარზე, სოღოროვის მაღაზიაში)
იყიდება ყოველ-გვარი საკანცელარიო და სამოსწავლო ნივთები და წიგნები. აქვე მოწყობილია ჟურნალ-გაზეთების აგენტურა.
მისიონ[illegible] ხოვთ წიგნების გამომცემელნ, ახლად გამოსული წიგნები საკ[illegible] გამოგვიგზავნონ. (3.1676.1)

[illegible]ილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების
სამუსიკო სკოლა
(საპიონრის ქუჩა, ყლენტის სახლი № 18).
მოწაფეთა [illegible] ტრაბასის, სიმღერა: ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელის, კონ-[illegible]), ჰარმონ[illegible]ია (solo) მუსიკ. თეორიისა, ნოტების კითხვის (sol-fège), [illegible] ენციკლოპედიის და ხოროს კლასებში დაიწყება 2 იანვრიდან, [illegible] 2 საათამდე და სა[illegible] დღე (კვირა-უქმეების გარდა), დილის 10-დან სწავლის ფასი: ფორ[illegible]ოს 5—7 საათამდე, სკოლის კინცელარიაში. სებში ღირს 60 მან. [illegible]პიანოს, ვიოლონჩელის და კონტრაბასის კლა-[illegible]ლერა (solo) 75 მან. [illegible]ოიწვადში, სკრიპკის კლას. 60 და 75 მან. სი-ხევარის წლისა უნდა [illegible]ორეტიულ კლას. 15 მან. სწავლის ფასი, ნა-[illegible]ტანილი იყოს წინდაწინ. (7.151.1)

ექიმი პ. არდაზიანი
შინაგან და ბავშვებ. მყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულ[illegible]-სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარე[illegible]), ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. [illegible]ლის 9--12 ს. საღამოს 5--7. (25.899.36).

ექიმი მ. ს. კობერიძე
ქ. ბორჯომი
იღებს ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9 12 ს.-მდე. საღ. 5--7 სემინარიის ქუჩაზე სახლი № 1 ზანგურიძისა. (25 968 14)

ტფილისის კერძო სამკურნალო
ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო
ტელეფონი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.:	**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
საფეხურ-ტანი (ქირურ-გიული).	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 12½ 1½.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარ-ო ქალ. სნეულებ.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშ-ვების ავად.	**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალ-ების ფ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. და ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროსკოპიანი და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. შშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1089—236)

საბურთალოზე
მშვენიერ ალაგას,
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდების მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული დაიყოფება წვრილ ნაკრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანაამად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.
(წ. 1147 202)

ექიმი კბილისა და ღრძილებისა ქაჯაია
იღებს ავადმყოფებს დილით 9-12 ს. საღამოთი 3-6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ, 1660.7)

ექიმი კბილისა იოსეფ ზაქარიას ძე
კანდელაკი
იიღებს დილით 9-დან 2-მდის და საღ. 4-დან -მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომ-ებს და სხვა ხელოვნურ კბილებს. ტფილი-ი, მიხაილოვის პროსპ. № 7. (50--1552--23).

ტფილისის ქართულ
მღვრალ. [illegible]
[illegible]
ახლად შეკერილ საკ[illegible] ეროვნულ ტანისამოსში[illegible] ლაჯებში) გამოწყობილ[illegible] იღებს მონაწილეობას: ქართულ[illegible] სერტებში, სამუსიკო დილ[illegible] მოებზე, საინმერო პიესებ[illegible] რვის წესის და სხვა საგალ[illegible] ბუნდის მიწვეა-დაკვეთა [illegible] მღვრალთა მიღება იკითხ[illegible] **კავსაძესთან.** ტ[illegible]ილის[illegible] № 11. (4[illegible]

ელექტრონისა და რენტგენ
სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილ[illegible]
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ[illegible] ს., საღამოს 6—7 ს., გა[illegible]ზვა და [illegible] რენტგენის სხივებით. ვერა, ყორო[illegible] № 20. (წ.

ექიმი ე. ი. მინასი[illegible]
შინაგან, ბავშვ[illegible] და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზეს[illegible] Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდ[illegible] ბულობს დილის 9 11 ს.-დე და [illegible] 6 7 საათამდე.
ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № (100 1117

ექიმი ე. ვაშაკიძ[illegible]
იღებს შინაგან სნეულებ[illegible] ავადმყოფებს, დილით 3--9 ს., საღამ[illegible] 5--7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9 57)

სთას ცხრაას თერთმეტი წელიწადი

1911 წელიწადი ჩვენში

საერთო ხასიათი საქართველოს შინაურის ცხოვრებისა განვლილ წელს იმავ ზოგად პირობების მძლავრ გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რომლებიც განსაზღვრავდნენ მთლად რუსეთის იმპერიის ცხოვრებას. გაერთიანებულ მთავრობის მიერ ჯერ ისევ 1905 წელს გამოცხადებული ლოზუნგი „ჯერ დაწყნარება, შემდეგ რეფორმები“ თითქოს სრულებით მიავიწყდათ იმათ, ვისაც ისტორიული მომენტი ყოველ მხრივ ხელს უწყობს, შეეტანონ ხალხის ფართო წრეების ცხოვრებაში ის შუქი მტკიცე უფლებრივის წესრიგისა, რომელიც საზოგადოებრივ თვითმოქმედების და მწარმოებელ ძალთა [illegible]ფიერ განვითარების აუცილებელი პირობაა. თუმცა თვით რუსეთში მრეწველობის და ვაჭრობის სტატისტიკა განვლილ წელს წინა წლებთან მედარებით უფრო საიმედო ციფრებს გვიჩვენებს, მაგრამ მრეწველობა და ვაჭრობა რუსეთის მცხოვრებთა მეტად პატარა ნაწილის სამოქმედო ასპარეზს წარმოადგენს. უმთავრესი დარგი რუსეთის ხალხის ეკონომიურ კეთილდღეობისა სასოფლო მეურნეობა კი გვიჩვენებს, რომ საწარმოვო ძალთა განვითარება წინანდელივით უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება. როგორც წინად, 17 ოქტომბრის რეფორმამდე. ეხლაც რუსეთის მცხოვრებთა უმრავლესობის ეკონომიური კეთილდღეობა მოსავალსა და მოუსავლობაზეა დამოკიდებული. ეკონომიურად დაწინაურებულმა ქვეყნებმა დიდი ხანია საბოლოოდ დასძლიეს ბუნების ის კაპრიზები, რომლებიც მოუსავლობას იწვევენ, დასძლიეს, რა თქმა უნდა, არა რეჟიმის სისასტიკით, არამედ ცოდნის გავრცელებით და ხალხის თვითმოქმედების განვითარებით. რუსეთში კი ჯერ ისევ ბუმბერაზივით უძლეველია მოსავალ-მოუსავლობა და დრო გამოშვებით ისეთ საზარელ გასაჭირს ჰქმნის, რომლის წინაშე მშიერ სიკვდილის აჩრდილი ელანდება მილიონებით დასათვლელ მშრომელს ხალხს.

ბუნების თუ უზენაეს განგების წყალობით განვლილ წელს საქართველოს მოუსავლობა და შიმშილობა არა სწვევია, მაგრამ ეს მხოლ[illegible] შემთხვევითი ბედნიერებაა. [illegible]ც მთლად რუსეთის იმპე-[illegible]ტორიაზე, ჩვენშიც სო-[illegible]ნეობ[illegible] პირველ-ყოფილ[illegible]ს სასტმაზეა დამყარე-[illegible]ადგი [illegible]ითი-წლო-[illegible]ნაყოფიერებ[illegible]ერთმევა [illegible]ს რაციონალურ[illegible] ფეხ-[illegible]ად ხალხს არც [illegible], არც საჭირო ას-[illegible]ფალ თვით-მოქმედე-[illegible]სავლიანს წელიწადს [illegible], ისე როგორც რუ-[illegible] შეიძლება მეორე [illegible]შიერი წელიწადი მო-[illegible]ს უმაღლესმა გამგემ [illegible]ოვ-დაშკოვმა, როდე-[illegible]ეუთის წლის წინად ნა-[illegible] დაინიშნა, ჯერ ისევ პე-[illegible]ოდან აუწყა ხალხს, რომ [illegible]ლისყური მთავრობის და სა-[illegible]ებრივ ძალთა საურთიერთო [illegible]ის ნიადაგზე ყოველის უწინა-[illegible]რეს ცოდნისა და თვით-მოქმედების გაფართოვებას მიექცეოდა. კავკასიამ სიხარულით მოისმინა ეს დაპირება, მაგრამ იმისი სიხარული მეტად ეხმოკლე აღმოჩნდა. მზრუნველობა ცოდნის შესახებ ტფილისის და პეტერბურგის კაბინეტებში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ მსჯელობას არ გასცილებია, ხოლო თვითმოქმედების გაფართოვების საქმე კი უკვე საბოლოოდ და დიდის ხნით არის უარყოფილი.

„დაწყნარების“ შემდეგ „რეფორმების“; ნაცვლად იმპერიის გაერთიანებულმა მთავრობამ [illegible] ნაციონალისტურ[illegible] პოლიტიკის გამტკიცება [illegible]ისახა თვალ წინ და განვლილ წელს შეუდარებელის ერთგულებით ემსახურებოდა ამ მიზანს. სახელმწიფო სათათბიროს თვალსაჩინოდ გადინაცვლა მარჯვნივ და ნაციონალიზმი პოლიტიკურ ცხოვრების მთავარ ძარღვად გადაიქცა. შინაურ პოლიტიკის ნაციონალისტური კურსი, რა თქმა უნდა, მარტოოდენ მემარჯვენე ელემენტებს არ უცვლის ელფერს. იგი ბუნებრივის აუცილებლობით იწვევს პოლიტიკურ განწყობილებათა ცვლილებას თვით ხალხში, ხოლო უმთავრესად კი რუსეთის იმპერიის არა რუს მცხოვრებთა წრეებში. ჩვენი ქვეყანა ამ მხრივ მეტად საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს. ამ ხუთიოდე წლის წინად არა მარტო შოვინისტური, კაციჰამიობისაკენ მიმართული ნაციონალიზმი ითვლებოდა სამარცხვინოდ, არამედ სრულიად ბუნებრივი მისწრაფებაც კი თითოეულ ერის მიერ თავის საკუთარ ეროვნულ ხასიათის შერჩენისაკენ უკიდურეს რეაქციონერობად ინათლებოდა. მთავრობის მიერ აღებულმა ნაციონალისტურმა კურსმა ჩვენს ქვეყანაში ეს უარყოფითი ტენდენცია ეროვნულ ინტერესების დაცვის შესახებ თითქმის უკვე სრულებით მოსპო, გაბატონებულ ერის საერიშო ნაციონალიზმმა ძალად აუხილა თვალები იმათ, ვინც წინად პრინციპიალურად უარჰყოფდა ეროვნულ ინტერესების მოსარჩლეობას.

საღი ნაციონალიზმი არც ერთის ერის დაჩაგვრას და დაძლევას არა გულისხმობს, იმისი მიზანი მხოლოდ და მარტო ერთა თანასწორობაა. მაგრამ ეს ნეიტრალური ხასიათი საღის ნაციონალიზმისა და ერთგულ მამულიშვილობისა ძნელი შესაგუებელია საზოგადოებრივ ბრძოლის პსიხოლოგიასთან. აქედან წარმოსდგება ის სამწუხარო მოვლენა, რომ ხშირად ერთის ერის მიერ თავის ეროვნულ ინტერესების დაცვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში თითქოს შეჩჩენელად მეორე ერის ინტერესებ[illegible] საწინააღმდეგო ხასიათს იღებს. [illegible]ნებულ და შორსმჭვრეტ საზოგადო[illegible]ოვანეთა მოვალეობაა, ჯეროვანის [illegible]ითხილით მოეკიდნენ ეროვნულ [illegible]ტერესებისთვის ბრძოლას და კაცთმ[illegible]ლობის ქადაგებად არ გადააქციოს [illegible], რაც არსებითად სათნოების და [illegible]ულის მოძღვრებაა. ჩვენდა სამწ[illegible]ოდ იძულებული ვართ აღვნიშნოთ, რომ განვლილ წელს კავკასიის ერთა ურთიერთობაში ეროვნულ ინ-[illegible]ტერესების დაცვა ყოველთვის თავის ბუნებრივ საღს ნიადაგზე არა მდგარა. განსაკუთრებით ნათლად სჩანდა ეროვნულ ინტერესების უკუღმართი დამცველობა განვლილ წელს მომხდარ საქალაქო არჩევნებზე ბაქოში, თელავში, ტფილისში და სხვაგან. არჩევნებში სასტიკად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს სხვა და სხვა ერის ამომრჩეველნი და თითოეული მათგანი სცდილობდა მხოლოდ თავის ნაციონალურ წრიდან გაეყვანა ყველა ხმასნები [illegible] შეუწყნარებელი [illegible] ნაყოფი მოიტანა, რომ[illegible] ბევრი სასარგებლო საქალაქო მოღვაწე განიდევნა სამუნიციპალო ასპარეზიდან.

განვლილ წელს არსებითი ცვლილება იქმნა შეტანილი ტფილისის საარჩევნო წესრიგში. წინანდელ ერთ საარჩევნო კრების ნაცვლად წელს მთელი ქალაქი შვიდ საარჩევნო რაიონად იქმნა გაყოფილი და თითოეული რაიონი ცალკე ერჩევდა ხმოსანთა განსაზღვრულს რიცხვს. ამ ახალმა წესრიგმა თვალსაჩინოდ შეასუსტა არჩევნების ნაციონალისტური ტენდენცია. ტფილისის საბჭოში ახალ არჩევნების შემდეგ ხმოსანთა რიცხვი თითქმის ისევეა განაწილებული სხვა და სხვა ერთა შორის, როგორც წინად. ამ მხრივ არჩევნების ახალს წესრიგს ცვლილება არ მოუხდენია, მაგრამ წელს წინანდელზე მეტი ხმოსანია არჩეული მცხოვრებთა იმ ნაწილის მიერ, რომელიც არ ემორჩილება სოლოლაკელ ბურჟუაზიის საარჩევნო დირექტივებს. მომავალი დაგვანახვებს, რა საზოგადოებრივ ფხას და უნარს გამოიჩენს ახალი საბჭო.

ზემოდ ჩვენ აღვნიშნეთ რუსეთის პარლამენტის გადახრა უკიდურეს ნაციონალიზმისკენ. ამ ფაქტს განსაზღვრული კავშირი აქვს იმ გარემოებასთან, რომ ყველას მიერ აუცილებელ საჭიროებად ცნობილი რეფორმა კავკასიაში ბატონყმობის ნაშთების მოსპობისა იმავ უნუგეშო მდგომარეობაშია, როგორც წინად.

როგორც მკითხველებმა იციან, კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციის მიერ დამზადებული კანონ-პროექტი საგლეხო რეფორმისა მხოლოდ დროებით ვალდებულთა და მებატონეთა ურთიერთობას შეეხება. ძირითადი საგანი ამ კანონპროექტისა არის მოწესრიგება „სანადელო“ მიწების საკითხისა. ეს კანონ-პროექტი სრულებით არ შეეხება არც დროებით ვალდებულ გლეხთა სასერვიტუტო უფლებებს მებატონის მამულებზე და არც ხიზნების უფლებრივ მდგომარეობას. განვლილ წელს გაზეთებში ყრუ ცნობა იყო მოთავსებული იმის შესახებ, რომ კავკასიის ადმინისტრაციის მოხელენი ხიზანთა საკითხის შესახებ თათბირობენ. ეს მეტად რთული და მძიმე საკითხი თითქმის სრულებით გამოურკვეველია და ამიტომ ფრიად სამწუხაროდ მიგვაჩნია იმის განხილვა საზოგადოებრივ ძალთა დაუსწრებლივ მხოლოდ მოხელეების მიერ. ხიზნობა საგანგებო ქართული იურიდიული ინსტიტუტია. წმინდა და მარტივ იურიდიულ კონსტრუქციებს ჩვეულებრივ ამ თავისებურ ინსტიტუტ[illegible] ვერ ურიგდება და ინსტინ-ქტიურად ცდილობს იმის ჩამოყალიბებას არენდის მსგავს ურთიერთობად. 1891 წლის ხიზანთა დებულება ერთის მხრივ აკანონებს ხიზნების მფლობელობას, ხოლო მეორეს მხრივ უფლებას აძლევს მებატონეს აჰყაროს ისინი თავის მიწა-წყლიდან. ეს ორაზროვნება გვიჩვენებს, რომ 1891 წელს კანონმდებლობას ხიზნების საკითხი არ გადაუწყვეტია. ჩვენის აზრით, ამ საკითხის საკანონმდებლო გადაწყვეტას წინ უნდა წაეძღვაროს ეკონომიურადა და სოციალურად ხიზანთა საკითხის შესწავლა. უნდა გამოიკვეს ისტორიული პირობები ხიზნობის წარმოშობასა, ცნობაში უნდა იქმნას მოყვანილი ხიზანთა რაოდენობა, აწერილი უნდა იქმნას რაოდენობა სახაზინო ძამულებისა, უნდა გამოიკვეს, რა სამეურნეო წესს მისდევენ ხიზნები, რა ეკონომიური ძალღონე აქვთ მათ გარეშე ამ ძამულისა და სხვ. უამისოდ ვერც კავკასიის მოხელენი და ვერც პეტერბურგელი კანონმდებლები ხიზანთა საკითხს ვერ გადასწყვეტენ. რადგან ხიზანთა საკითხი ასე გამოურკვეველი და შეუსწავლელია ჯერჯერობით. კავკასიის ადმინისტრაციას ადგილობრივი საზოგადოებრივი ძალები მაინც აუცილებლივ უნდა მიეწვია თავის თათბირზე და იმათი ცოდნა და გამოცდილება მაინც მიეღო მხედველობაში, მაგრამ ჩვენებურმა მოხელეებმა ეს არ ინებეს. რა ითათბირეს და რა საბოლოო დასკვნას დაადგნენ კავკასიელი მოხელენი ამ საკითხის შესახებ, დანამდვილებით ვერ ვიტყვით. მაგრამ თუ მართალია ის ხმა, ვითომც კავკასიის ადმინისტრაციას საჭიროდ ეცნოს, ხიზნებს ხუთის წლის ვადა მიეცეთ მიწის გამოსასყიდად მემამულესთან თავისუფალის შეთანხმებით, ხოლო თუ ეს ძეთანხმება არ მოხდა, ხუთი წლის შემდეგ ჩამოერთვათ ყველა მიწები გარდა თითო დესეტინისა კომლზე, რომელსაც მათ ძთავრობა იძულებით შეასყიდებს,—თუ მართალია ეს ხმა, არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ ეს ხიზანთა საკითხის გადაწყვეტა კი არა, იმისი გართულება და გამწვავება იქნება. კანონმდებლობის თვალსაზრით ამ გვარი გადაწყვეტა განსაზღვრულ ურთიერთობისა, რომელსაც მრავალ-წლოვანი, ისტორიულად გამტკიცებული ჩვეულება უდევს საფუძვლად, ყოვლად შეუწყნარებელია. ასეთ გადაწყვეტილებას არაფერი არა აქვს საერთო ხიზნობის იურიდიულ ბუნებასთან; ხიზნობის უფლებრივი მხარე აქ პირდაპირ უარყოფილია. ეს გადაწყვეტილება უფრო პოლიციურ ბრძანებას ჰგავს, ვიდრე კანონმდებლობას. ამ იურიდიულ მხარეს, რა თქმა უნდა, თეორიული მნიშვნელობა აქვს, პრაქტიკულად კი მოხდება ის, რომ ხუთი წლის განმავლობაში არც ერთი ხიზანი მემამულისაგან მიწას არ გამოისყიდის, შემდეგ კი მემამულე აღარ გაჩერებს მას თავის მამულში, აჰყრის, აასახლებს და გზას დაულოკავს ოთხსავ მხარეზე. თუ ხიზანს სხვა რამ მამული აქვს სადმე, შესაძლებელია შეურიგდეს თავის ბედს, მაგრამ თუ სხვაგან არსად არაფერი გააჩნია, ის თავის მდგომარეობას ვერ შეურიგდება და მტრულად დაუწყებს ცქერას მემამულესაც და იმ კანონსაც, რომელიც მას ასეთს უნუგეშო მდგომარეობაში ჩააყენებს. ამ გვარი გადაწყვეტა ხიზანთა საკითხისა იმდენად შეუსაბამოა, რომ ჩვენ დაუჯერებლად მიგვაჩნია ზემოდ მოყვანილი ცნობა მართალი იყოს. თუმცა ყველა კავკასიელი მოხელენი საკმაოდ არ იცნობენ ადგილობრივ ცხოვრების პირობებს, მაგრამ წარმოუდგენელია ასე დაშორებული იყვნენ სინამდვილეს და შესაძლოდ მიაჩნდეთ ასეთი უცნაური გადაწყვეტა ხიზანთა საკითხისა.

ხიზანთა საკითხის გადაწყვეტა ჯერ მხოლოდ ადგილობრივ მზადდება. დროებით ვალდებულთა საკითხიც ისევ გადასაწყვეტია. სასერვიტუტო უფლებათა ლიკვიდაცია კი ჯერ სრულებით არ დამდგარა განხორციელების გზაზე. ყველა ეს თვალსაჩინოდ აფერხებს 1905 წლიდან დაწყებულ მებატონეთა მიწის მობილიზაციას, თუმცა იგი მაინც სწარმოებს. საყურადღებოა, რომ ერთხანად ქართველი საზოგადოებრივი წრეები მიწის მობილიზაციის საქმეში აქტიურ მონაწილეობის მიღებას აპირებდნენ იმ აზრით, რომ ხელი შეეწყოთ მიწის შერჩენისთვის ადგილობრივ მკვიდრთა ხელში. ამ განზრახვას ემსახურებოდა, სხვათა შორის, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოსთან დაარსებული საადგილ-მამულო კომისია. მაგრამ ქართველი საზოგადოებრივი ძალები როგორლაც მეტად იშვიათად ამხელენ თავის მისწრაფებათა სიმტკიცეს; სამოქმედო ენერგია და საქმის სიყვარული თითქოს უფრო ადრე ილევა, ვიდრე თვით საქმიანობა და მოქმედება დაიწყებოდეს მას შემდეგ, რაც მიწის მობილიზაციის საკითხი თითქმის ყველას ენის წვერზე ეკიდა, დიდი ხანი არ გასულა, მაგრამ იგი ეხლა უკვე დავიწყებულია. სათავად-აზნაურობის საადგილ-მამულო კომისიაც, როგორცა სჩანს, წინა წლებზე სუსტად მუშაობს, ასე რომ აქტიურ მონაწილედ მიწის მობილიზაციის საქმეში დარჩა მხოლოდ ერთად ერთი მთავრობის დაწესებულება, საგლეხო საადგილ-მამულო ბანკი. დიდად საინტერესოა ვიცოდეთ სრული შედეგი მიწის მობილიზაციისა 1905 წლიდან, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამის შესახებ სასტატისტიკო ცნობების მოგროვება სხვა და სხვა დაწესებულებებიდან ჯერ არავის მოუხდენია. კერძო პირისთვის ამ ცნობების მოგროვება მრავალ მხრივ გაძნელებულია და ვფიქრობთ, რომ მეტად სასუველი იქნებოდა, ეს საქმე ტფილისის თავად-აზნაურობას ეტვირთა და საადგილ-მამულო კომისიის თანამშრომლობით მოეყვანა ცნობაში, რამდენი მამული გაიყიდა 1905 წლიდან, და ვინ შეიძინა და რა პირობით. ჩვენის აზრით, ამ ცნობათა მოგროვებას თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო კომისიის დანიშნულებასთან უფრო მახლობელი კავშირი აქვს, ვიდრე ბანკზე დარჩენილ მამულების მოურავობას.

მიწის მობილიზაციამ სასტიკ[illegible] წამოაყენა წინ, სხვათა შორის, [illegible] სოფლო-სამეურნეო ტეხნიკის გა[illegible] მჯობესების საჭიროება. ამ [illegible] ჭიროების ნიადაგზე დაიბადა აზრ[illegible] ქართულ საზოგადოების დაარსებ[illegible] ბისა. თუმცა ამ აზრს პრინც[illegible] პიალური მოწინააღმდეგენიც ა[illegible] მოუჩნდნენ, მაგრამ საზოგადოებ[illegible] მაინც დაარსდა. საზოგადოების პი[illegible] ველ დამფუძნებელ კრებას არა ჩვ[illegible] ლებრივის გულ-მხურვალეებით [illegible] ეგება ქართველ ინტელიგენციის [illegible] რავლესობა და მრავალი მეურნ[illegible] საზოგადოება განვლილ წლის გ[illegible] მავლობაში უკვე [illegible] მოქმედებას შე[illegible] დგა. ამ ჟამად საზ[illegible]ოგადოებას რა[illegible] ნიმე ინსტრუქტო[illegible]ი ჰყავს, [illegible] თა შორისაც განაწილ[illegible] ნებად ტფილისის გუბერნია. ინსტრუ[illegible] ქტორების მოვალეობაა ხელმძღვა[illegible] ნელობა გაუწიონ მეურნეებს ადგი[illegible] ლობრივ პირობების მიხედვით [illegible] ხელი შეუწყონ მეურნეობის რა[illegible] ციონალურ ფეხზე დაყენებას. ჯ[illegible] ეს საზოგადოება მეტად ნორჩია [illegible] ახალგაზრდა; იმისი რეალური გ[illegible] ვლენა ასე მალე შეუძლებელია გ[illegible] მოჩნდეს, მაგრამ ის თანაგრძნობ[illegible] რომელსაც უცხადებს მას საზოგ[illegible] დოება, გვაიძულებს ეიფიქროთ [illegible] რომ იგი თვალსაჩინო ადგილს დაი[illegible] ჭერს ჩვენი ქვეყნის კულტურულ[illegible] მოძრაობაში.

განვლილ წელს დაიწყო მოქმედე[illegible] ბა აგრეთვე „ახალმა კლუბმა“. იმ[illegible] დამფუძნებელთ განზრახვა ჰქონდა[illegible] კლუბისთვის ცოტა ოდენი იდეა-[illegible] ლური ელფერი მიეცათ, მაგრამ [illegible] უცნობ მიზეზების გამო კლუბი ჩვეუ-[illegible] ლებრივ ბანქოს და ლოტოს სათა-[illegible] მაშო ადგილად გადაიქცა. ამ სახით [illegible] თუ განაგრძო არსებობა, „ახალი [illegible] კლუბი“ საზოგადოებრივ ღირებუ-[illegible] ლებად ვერ ჩაითვლება. კლუბის [illegible] გამგეებმა ამ გარემოებას ყურადღე-[illegible] ბა უნდა მიაქციონ და მიიღონ სა-[illegible] ჭირო ზომები დამფუძნებულთა დე-[illegible] და-აზრის აღსადგენად.

განვლილ წელს საქართველოს [illegible] სხვა და სხვა კუთხეში რამდენიმ[illegible] ახალი საკოოპერაციო საკრედიტო [illegible] ამხანაგობა დაარსდა. ამ ამხანაგობა-[illegible] თა გავლენა ხალხის ეკონომიურ [illegible] ცხოვრებაზე მხოლოდ შემდეგში [illegible] გამოირკვევა. ეტვს გარეშეა მხო-[illegible] ლოდ, რომ მათ საკმაო საშუალება [illegible] აქვთ ნაყოფიერი ბრძოლა გაუწიონ [illegible] სოფლების ადგილობრივ ჩარჩებს და [illegible] იხსნან მცხოვრებლები ჩარ[illegible] სპლოატაციისაგან.

სხვა ქართული კულტურუ[illegible] წესებულებანი განვლილ წ[illegible] ხასიათის მოქმედებაში იყვნენ, რო-[illegible] გორც წინა წლებში. აღსანიშნავი [illegible] მხოლოდ გულუხვი შეწირულება, [illegible] რომელიც დაუტოვეს ანდერძით ქ[illegible] შ. წ.-ქ. გამავრცელებელ საზ[illegible] ოებას განვლილ წელს ცნობ[illegible] ქველმოქმედებმა დ. ზ. სარ[illegible]ჯიშვ[illegible] მა და ნ. ბ. ლოლობერიძემ[illegible]

სიტყვა-კაზმული მწერლობა ჩვენში

(მიმოხილვის მაგიერ)

გმირები და დიდ-ბუნებოვანი პირნი იშვიათად იბადებიან. უფრო იშვიათად იბადებიან დიდი ნიჭის პოეტნი და მწერალნი. თუ ჩვენს სიტყვა-კაზმულ მწერლობას თვალს გადაავლებთ, დაინახავთ, რომ ჯერ არ მოგვეპოვება არც ერთი ისეთი მწერალი, რომლისაკენაც ერთნაირის პატივისცემით და თანაგრძნობით იყოს მიქცეული საზოგადოების ყურადღება. ჩვენს სამწერლო ასპარეზზე აღარა სჩანს ისეთი პოეტი, ან ბელეტრისტი, რომელიც შესაძლებელია ერჩეოდეს სხვებისაგან თავადვე ნიჭით, თავის მუდმივ ძლიერ ადებით.

აქ მხედველობაში არა გვყავს ალი, ვაჟა-ფშაველა და სხვანი, რომელთაც ერთი ფეხი წარსულში ადგათ და მეორე აწმყოში. მე მოსურნებთ განსაკუთრებით ახალს სიტყვა-კაზმულ მწერლობაზე. აქ ეთს ძლიერ პიროვნებას, ისეთის ლიდის ნიჭით დაჯილდოვებულ პირთ, რანაირიც იყვნენ ილია და აკაკი თავის დროისთვის, ვერა ვხედავთ. ცხოვრება ცვალებადია. ეს ცვალებადება წარსულ თაობათა ნაწარმოებებში აღიბეჭდა. ილიას ნაწერები ნაყოფია იმ დროინდელ ცხოვრებისა; ძლიერის ნიჭით აღიბეჭდა ცხოვრება ილიას ნაწერებში. მაგრამ დღეს ის აღარ არის, რაც აწინ იყო. ცხოვრება შეიცვალა, გართულდა; დაიბადა ახალი ტიპი ართველისა, გაჩნდა ახალი ურთიერთობა ადამიანთა შორის, შესაბამისად შეიცვალა სოციალური და ინტელექტუალური ფიზიანომია ქართულ საზოგადოებისა. მიუხედავად ამისა ამ გართულებულმა ცხოვრებამ თავისი გამომხატველი ჯერ ვერ იპოვა. ჯერ ვერ გაჩნდა პოეტი ახალი დროისა, ბელეტრისტი ახალი ცხოვრებისა.

გვყვანდნენ მწერლები, რომელნიც თავისი თხზულებებით საზოგადოებაში ინტერესს აღვიძებდნენ. ბევრმა მათგანმა წერას თავი დაანება. დავით კლდიაშვილი, შიო არაგვისპირელი, ია ეკალაძე, ილია ელეფთერიძე, სვ. ყიფიანი, აზიანი და სხვანი. ყველა ეს პირნი ან სულ არაფერსა სწერენ, ან ძალიან ცოტას. ძნელია თქმა, რა მიზეზებმა წარმოშობა ეს საერთო გულ-გრილობა, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება. სამაგიეროდ საზოგადოდ მწერალთა რიცხვმა იმატა. აურიცხელი ლექსები, ნოველები, მოთხრობები და ეტიუდები იბეჭდება სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებში. ბევრი მათგანი ნიჭიერადაა დაწერილი, ზოგს ნიჭის ნიშან-წყალიც არ ემჩნევა. ყველა ამ მწერალთა ცალ-ცალკე დახასიათება არამც თუ ადამიანის ფიზიკურ ძალ-ღონეს აღემატება, უსარგებლოცაა. ამიტომ ის, ვისაც ჩვენი სიტყვა-კაზმულ მწერლობის მიმოხილვა ჰსურს, იძულებული ხდება მხოლოდ სიმპტომატურ და დამახასიათებელ მოვლენებსა და მწერლებს მიაქციოს ყურადღება.

ნათლადა სჩანს უმთავრესი ტენდენცია ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის განვითარებისა. იგი ისეთსავე ცვლილებას განიცდის, რანაირიც განიცადა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის მწერლობამ. სუსტად, ძალიან მკრთალად, მაგრამ მაინც არსებითად ისეთსავე მოვლენებს ვხედავთ ჩვენს მწერლობაშიც. იმპრესიონიზმი, სიმბოლიზმი, ახალი ხატვრული ფორმები—ყველა ეს ახალ ქართულ სიტვა-კაზმულ მწერლობის დამახასიათებელ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. მართალია ამ დარგის მწერლობა ძალიან მკრთალია, მან ვერ წარმოშობა ცხოველ და ამასთანავე ტიპიურად გამოქანდაკებული მწერალი, მაგრამ ელემენტები აზრისა და გემოვნების ახალ მიმართულებისა პატარ-პატარა ნაწარმოებებშიაცა სჩანს. არიან, რაც საკვირველია, რეალისტურ მიმართულების ახალი მწერლებიც.

ერთს უძთავრეს, დამახასიათებელ თვისებად ახალ მწერლობისა ის უნდა ჩაითვალოს, რომ პიროვნება, როგორც მეტაფიზიკური არსება, მხვატარის ყურადღებას იქცევს. ადამიანი თავის-თავად და აია ისე, როგორც იგი გვევლინება, ჯადოსნურ ამოცანად, მიუწდომელ საიდუმლოდ აღმართულა მუდამ ძიებაში მყოფ მხატვრის გონების წინაშე. ძრავალ-ფეროვანი გამოხატულება ადამიანის სულის მოძრაობისა, ხშირად გაუგებარი, იზიდავს მწერლის ყურადღებას. იგიც სცდილობს გადალახოს ემპირიულ სინამდვილის მიერ დადებული საზღვრები და იქ, ადამიანის გულის სიღრმეში ჩაიხედოს. ასეთი ტენდენციაა გამეფებული დღეს საზოგადოდ მწერლობაში.

საიდუმლოებითაა მოცული კოსმოსის გარდაუვალი კანონები. რას წარმოადგენს მსოფლიო, რა არის ღმერთი, სიკეთე და ბოროტება, სიკვდილი და სიცოცხლე,—ასეთი საერთო, ფილოსოფიური ინტერესიც საკმაოდ ემჩნევა საზოგადოდ მწერლობას. ამ ორ-გვარმა ინტერესმა ჩვენს მწერლებშიც იჩინა თავი. როგორც ზევითაცა ვსთქვით, ეს ინტერესი ჩვენს მწერლობაში მკრთალად გამოისახა, მაგრამ ჩვენ მაინც საჭიროდ მივგაჩნია ცოტა ხანს შევჩერდეთ ამაზე, როგორც დამახასიათებელ მოვლენაზე.

უპირველესად ყოველისა მე მსურს მკითხველის ყურადღება მივაქციო ერთს ახალ-გაზდა მწერალზე, რომელიც როგორღაც შეუმჩნეველი დარჩა საზოგადოებას. **ლეო ქიაჩელზე** მოგახსენებთ. იგი ჯერ სრულიად ახალ-გაზდა მწერალია, დიდი არაფერი შეუქმნია, მაგრამ იმ ძვირფასიაც, რომელიც დღემდი გამოქვეყნდა, ნათლად გამოისახა ის ორი ინტერესი, რომელზედაც ზევით ვლაპარაკობდი.

„სახალხო გაზეთი“-ს მე-298-ე ნომერში დაიბეჭდა პატარა ფელეტონად მისი „მიუწდომელი სიმი“. სოლომონს სძინავს თავის ბაღჩაში. ოცნება, როგორც თვით ავტორი ამბობს, სოლომონს ძილში განსახიერებია. ოცნებაში მასა ჰსურს ხელი შეახოს ერთს მომაჯადოვებელ ს ი მ ს, რომლის მოსასმენადაც გაჭზადებულია თვით ბუნება. ბოლოს დაინახა ის სიმიც, ჰარმონიულ ხმების გამომცემი სიმი. ხელი გაუწოდა, მაგრამ ვერ მისწვდა. „სოლომონის თვალ-წინ მიბნედილს სინათლეზე კვლავ ელვარებს სიმი, **ასე ახლოდ დაშვებული, მაგრამ მიუწდომელი***) “ სიმი მიუწდომელია. ამ ნაწყვეტში გამოსახულია ის დიდა აზრი და ამასთანავე განსაკუთრებული სულიერი განწყობილები, რომელიც მხატვრულ ფერადებით წითელი ზოლივით გადის სხვა ნაწერებშიაც. არის რაღაც იდუმალი ხმა, იდუმალი ქვეყანა, რომელიც ჩვენთვის მიუწდომელი, გაუგებარი, მაგრამ რომელსაც ჩვენა ვგრძნობთ მთელის ჩვენის არსებით. საიდუმლო და მიუწდომელი სიმები გაბმულა მთელს სამყაროში: მისი მომაჯადოვებელი ხმები ისმის ბუნებაში, ადამიანის სულსა და გულში. ჩვენ ყოველ წუთსა ვგრძნობთ ამ სიმების სილამაზეს, მაგრამ იგინი მაინც მიუწდომელია ჩვენთვის. მრავალი საიდუმლოებაა დაფარული ადამიანის ბუნებაში. ძალიან ხშირად იქ, სადაც ერთის შეხედვით გონება-დაბნელებული არსება გვეჩვენება, სიცოცხლისა, მწუხარებისა და ტანჯვის საზარელი სურათი იშლება. იბადება უძლეველი სურვილი—აეხადოს ფარდა ასეთს ადამიანის სულიერ განცდას. სიყვარული, ბედნიერება, მწუხარება და ესთეტიური ტკბობა რჩეულთა ხვედრი არ არის. იგი ყოველს ადამიანშია ჩანერგილი, თუმცა ყველა ადამიანში ეს გრძნობები ერთნაირს გარეგან გამოხატულებას არ იღებენ.

ლეო ქიაჩელის ესკიზში „სტეფანე*)“ ერთი ამნაირი ფსიხოლოგიური სურათია დახატული. მეთევზე სტეფანე სახელ-განთქმულია თავისი სიცრუით. სცრუობს ხშირად, სხვებმაც იციან, რომ სცრუობს, მაგრამ მაინც სიამოვნებით უგდებენ ყურს. ერთის შეხედვით ისე სჩანს, თითქოს სტეფანეს ცრუობაში არავითარი აზრი არ არისო. მაგრამ, თუ მის სიცრუეს კარგად ჩაუკვირდებით, ხშირად ნათელს აზრსა და გამჭრიახ ჭსჯელობას აღმოაჩენთ. ახირებული ხასიათის კაცი იყო სტეფანე; ახირებულება სხვათა შორის იმაშიც იხატებოდა, რომ იგი ძალიან მეგობრობდა ძუნჯ ძოკოს. „ფეხ-შიშველი, დახეულ ტანთ-საცმელში დაიარებოდა ძოკო; ხალხს ერიდებოდა და მუდამ განმარტოებული იყო. ასე ახასიათებს ავტორი იმ ძუნჯს, რომელსაც სტეფანე მეგობრობდა. ძოკო არავის ერიდებოდა. ყოველთვის რაღაცას ბუზღუნებდა და მოურიდებლად ხელებსა შლიდა. არად მიაჩნდა, თუ ვინე ყურს უგდებდა,—ძოკო აღტაცებით განაგრძობდა თავის საუბარს. მაგრამ საკმარისი იყო გამოჩენილიყო სტეფანე, რომ ძოკოს მსწრაფლ შეეწყვიტა ლაპარაკი. მორჩილი გამომეტყველებით, თავდახრილი, დარცხვენილი იგი გაულიმებდა სტეფანე და მიესალმებოდა. ნაზი, მეგობრული განწყობილება არსებობდა სტეფანესა და ძუნჯს შორის, რომელიც ჩვეულებრივად ყველას ერიდებოდა. რა აკავშირებდა, რა აძეგმრებდა ამ ორ ადამიანს? როდესაც სტეფანეს ცოლი ეკითხებოდა, როგორ გესმის ძოკოს ლაპარაკი, სტეფანე უპასუხებდა, განა მხოლოდ ყურით ესმის კაცსაო. მართალიც იყო. ძოკოსა და სტეფანეს აკავშირებდა რაღაც სულიერი ერთობა, რომელსაც ორივენი გრძნობდნენ. ერთის შეხედვით სულიერად მოუხეშავმა სტეფანემ ისეთი სინაზე გამოიჩინა, რომ ძოკოს მესაიდუმლედ გადაიქცა. სტეფანემ ადამიანი იპოვა იქ, სადაც სხვები მხოლოდ უგრძნობ, უსულო არსებასა ხედავდნენ. ძოკომაც იგრძნო ეს და თანაგრძნობით უპასუხა. მშვენიერადა აქვს გადმოცემული ავტორს ამ ორი ადამიანის საუბარი, რომელიც მჭერმეტყველურ დუმილში გამოიხატებოდა. სტეფანე დილით, განთიადზე, სათევზაოდ წავიდა. გზაში ძოკო შეხვდა. მიესალმნენ ერთმანეთს და ერთად წავიდნენ წყლის პირად. სტეფანე მდინარის ხაპირზე ჩამოჯდა და თვალმოუშორებლად მდინარეს დაუწყო ცქერა. ძოკოც გვერდით ამოუჯდა. ასე ისხდნენ მეგობრები და სტკბებოდნენ ბუნების სილამაზით იმ დრომდის, ვიდრე მზე არ ამოვიდა. მერე კი სახლში დაბრუნდნენ, გზაში ერთი სიტყვაც აო უთქვამთ ერთმანეთისთვის. მხოლოდ სტეფანეს ეზოს წინ ძოკო შეჩერდა, შეჰხვდა სტეფანეს თვალებში და თავისი აზრი რაღაც გულ-ტკენილად გადასცა. სტეფანემ მძიმე ამოოხვრით უპასუხა, შეაღო ეზოს კარი და შევიდა სახლში.

— ძოკომ მითხრა, რად სძინავს ხალხს ღამითაო!. ძალიან უკვირს საწყალს!—უთხრა სტეფანემ ცოლს და მშრალი ბადე იქვე კედელზე ჩამოჰკიდა“.

ერთმანეთისადმი თანაგრძნობამ შეაერთა ეს ორი დაჩაგრული ადამიანი. თვალთა გამომეტყველებით ელაპარაკებიან ერთმანეთს და გაუგებარიც არაფერი რჩებათ, რადგანაც მათ შორის არსებობს ნათესაობა სულისა. ეს ნათესაობა ცხადად არ არის გამოაშკარავებული თვით სტეფანესა და ძოკოსთვის. ისინი ინსტიქტიურად მეგობრდებიან, მეგობრდებიან მათთვის რაღაც გაუგებარ მიზეზებისა გამო, მაგრამ გარეშე მაყურებელთათვის, მკითხველისთვის მაინც ცხადი ჰხდება, რომ მათ ამეგობრებს სწორედ ნათესაობა სულისა. იმ აღტაცებაში, რომლითაც ძოკო და სტეფანე შესცქერიან ამომავალ მზესა და საზოგადოდ ბუნების სილამაზეს, ნათლად მოსჩანს საკმაოდ ღრმად ჩანერგული გრძნობა სილამაზისა და უნარი ესთეტიურ ტკბობისა.

ბუნება საზოგადოდ ისეთი რამ არის, რაც სავსეა საიდუმლოებით. ადამიანი გაკვირვებული შესცქერის მას, სტკბება, ჰსურს გამოჰხატოს თავისი დამოკიდებულება ამ ბუნებისადმი, გამოარკვიოს ის უხილავი ძაფი, რომელიც ადამიანს ერთებს ბუნებასთან.

ეს იდუმალობა განსაკუთრებულის სიცხადით მოსჩანს ლეო ქიაჩელის მოთხრობაში „დავითის მაღლობი*)“

სანამ ამ ნაწარმოების გარჩევას შეუდგებოდეთ, არ შეგვიძლია მკითხველის ყურადღება არ მივიქციოთ ავტორის წერის განსაკუთრებულ კილოზე. თვითეული სიტყვა ამ მოთხრობისა გაჟღენთილია თვით ავტორის სულიერ განცდით. იგი არ გვაძლევს მხოლოდ ფოტოგრაფიულ სურათს სინამდვილისას. იგი შემოქმედების დროს თვით განიცდის ტანჯვას დამარცხებისას და ამ სულიერ განცდას თვით მკითხველიც განიცდის. ავტორი ჰგრძნობს და მკითხველსაც აგრძნობინებს, იგი ჰფიქრობს და მკითხველსაც აფიქრებს.

დათიკოს ოჯახში სცხოვრობს 18 წლის დარიკო. იმავ ოჯახში დავითის შვილების მასწავლებლადაა თვით ავტორიც. დაცოლ-შვილებულ დავითსა და დარიკოს შორის რაღაც გამოურკვეველი დამოკიდებულება არსებობს. სიყვარულსა ჰგავს ეს დამოკიდებულება. მუდამ დაფიქრებული და დაღვრემილია ხოლმე დავითი. ცოლი დავითისა მხოლოდ ინსტინქტიურადა ჰგრძნობს, რომ დავითსა და მის შორის ეფსკრულია გათხრილი. დავითიცა ჰგრძნობს ამას და მხოლოდ ოცნებასა და ფიქრში ატარებს დროს. ღამ-ღამობით კი ზის კარ-ჩაკეტილი თავის ოთახში და სწერს. რაღაც ჯადოსნური მიზეზიდელობა აქვს დარიკოს. უყვარს იგი არამც თუ დავითს, გლეხ-კაცს ლუკასაც, თვით ავტორსაც. ეს განსაკუთრებული თვისება დარიკოსი, რომელიც ყველასა ჰხიბლავს, სიმბოლიურად იხატება დარიკოს წკრიალა სიმღერაში. დარიკო მხოლოდ თავისთვის მღერის ხოლმე, როდესაც მარტო არის. მაგრამ, ვინც კი ახალ-გაზრა ქალის სიმღერა გაიგონა, ყველა მოჯადოვდა. ავტორს ერთხელ გაეგონა ეს მომაჯადოვებელი ხმა და იქითკენ წავიდა, საიდანაც ესმოდა. „შორიდან დავინახე დარიკო... ხის ძირში წამოწოლილიყო, თავი ხისთვის მიეყრდნო და თვალებ-დახუჭული მღეროდა“. ავტორს უნდოდა გამოჰლაპარაკებოდა დარიკოს,—ალბათ თავის გრძნობების შესახებ,—მაგრამ საუბარმა სულ სხვანაირი მიმართულება მიიღო.

— გახსოვთ ერთხელ მითხარით, რომ ჩემთან მოდაპარაკება გსურდათ? — მე მზად ვარ!

— მახსოვს!

— გისმენთ.

— ესდა მე არა მსურს მოდაპარაკება.

— თქვენი ნებაა, მე მოვიცდი!

— არა, ღმერთმანი, მაშინ ალბად მინდოდა რაღაცა მეთქვა, ესლა აღარ მახსოვს, დამავიწყდა.

— როგორ თუ დაგავიწყდათ?

— ალბათ ისე გეთხარით, უმნიშვნელოდ... უშინაარსო სიტყვები ხომ იცით ადამიანს მაგე ავიწყდება.

— რად იგონებთ?

— დავითმა მითხრა: მოგონება და

*) ეს. „სახალხო გაზეთი“-ს 1[illegible] ... ბიანი დამატება № № 42.

*) ეს. „სახალხო გაზეთი“, № 264.

*) კურსივი ჩვენია.

გ. ბ.

გამოგონება ისეთი არი საუნჯეა, რაც სთვისაც ამ ქვეყნად დარს ცხოვრებაო. კაცი რომ მათ მოკლებული იყოს, მისი ყოფა-ცხოვრება არაფრად ივარგებდაო.

— დავითს გამორჩენია ისეთი რაღაცა, რომელიც ხსენებულ ორს საუნჯეს ადემატება.

— რა?

— ეს ის ძალაა, რომელსაც ლუკა გაურბოდა.

— მე თქვენი ხუმრობა არ მესმის?

— მე არცა ვხუმრობ, ბატონო, ჭკითხეთ ლუკას, რად გარბოდა იგი?

— მე არა ვკითხავ.

— საბრალო ლუკა! ხვალ სადამოს იმასთან მივალ, ბეგრს რაამეს ვეტყვი.

— რას ეტყვით?

— არ ვიცი, რას ვეტყვი. შეიძლება დაბარაკის შემდეგ ამ გზით დავბრუნდე!

დარიკო კასხლტა გვერდით, ბოროტის ცეცხლით ანთო თვალები.

სახლის ეზოს მიუახლოვდით. დარიკოს უნდა დავშორებოდით.

— უსათუოდ გამოგელაპარაკები ლუკას,—კვლავ კვიმეორე და ოთახებში ჩავაშტერდი. დარიკო გაწითლდა. ამან ეჭვი დამბადა და უეჭვ განზრახ განვიმეორე:

— სადამოს ლუკას სახლიდან ამ გზით დავბრუნდები.

— გაჩუმდი!—შეჭყივირა დარიკომ.

ავტორი, მართლაც, მივიდა ლუკასთან. ქარაგმებით ელაპარაკებიან ერთმანეთს ლუკა და ავტორი, მაგრამ ამ ქარაგმებში ღრმა აზრი და უფრო ღრმა ტანჯვა ისახება. გამოირკვევა, რომ „დარიკოს ხმა, რომელსაც გაურბოდა ლუკა და რომელმაც თვით ავტორიც მოაჯადოვა, სიკვდილის მომასწავებელია. ლუკა ჰგრძნობს ამას და გარბის, მაგრამ დავითი, რომლის ძალ-ღონეს ლუკაც კი ეპვის თვალით უცქერის, მიექანება იმისკენ და თავ-დავიწყებით ემონება.

ელისაბედი, დავითის ცოლი, სიცოცხლეს გამოესალმა ავტორიც იძულებული გახდა დავითის ოჯახობისთვის თავი დაენებებინა. ერთხელ, როდესაც შემთხვევით, იმავ ადგილს მოუხდა ყოფნა, დავითის ოჯახში შეიარა. მაშინ დავითი და დარიკო უკვე ცოლ-ქმარნი იყვნენ და შვილიცა ჰყავდათ, მაგრამ „დარიკოს თვალები ავტორმა ველარ იცნო, დავითიც ისევ განმარტოებული იყო“. სიცალიერე იყო გამეფებული დავითის ოჯახში. „სულ. ყველა, ვინც კი დავითის ეზოში იყო, აივანზე ვისხედით. მეტი მე იქ არავინ მინახავს, სულ არავინ“!.

სიჩუმე, მყუდროება, სიცალიერე იქ, სადაც თითქოს სიცოცხლის დაუშრეტელ ნაკადულს უნდა ეფეთქა. სად უნდა ვეძებოთ დასაბამ, ამ მოვლენისა? სად არის ბედნიერება? სად გაჰქრა მომაჯადოვებელი ხმა დარიკოსი? რად დაუსადგურია სამარისებურ სიჩუმეს იქ, სადაც უწინ მომაჯადოვებელი, ცხოვრების ამფორიაქებული ხმა ისმოდა? ყური დაუგდეთ ზღაპარს და გაიგებთ

იმ დროს, როდესაც დავითი, დარიკო და ავტორი დავითის მაღლობზე ისხდნენ და ბუნების სიმშვენიერით სტკბებოდნენ, ოჯახის მეგობარმა ელიზბარმა შემდეგი ზღაპარი უამბო

„განმარტოებულად, ობლად სცხოვრობდა კაცი ვინმე. დღიდან დღე, დაბიდან ღამე განუწყვეტლივ ოთხ-ყურა ბალახს ეძებდა. დიდიდან, როდესაც ქვეყანას მზის სინათლე მოედებოდა, კაცი უკვე ფეხზე იყო და ოთხ-ყურა ბალახის საძებნელად მეშურებოდა. წინასწართაგან გაგონილი ჰქონდა, რომ ბუნების ამოცანის გაგება, ყოველივე შემეცნება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც კაცი ოთხ-ყურა ბალახს მოიპოვებს. და დადიოდა ეს კაცი ველად, ტყედ; გადადიოდა ოთხდიდან-ხოთხედში, ერთი კ[illegible]ადან მეორეში... თავი ჩადუნულ[illegible]ედა ჯადო-მცენარეს, მაგრამ ამ[illegible]ვან მხოლოდ სამ-ყურა ბალახი ნახა. ბოლოს მოადგა იგი ერთს ოთახს, მშვენიერს, ტუიანს, მაღალს და ამშარტავანს; ავიდა მის წვერზე, გადაჭეხდა მოის არე-მარეს... და დადგა, შეწუხებული გოდებდა იგი მწარედ. სასოწარკვეთილმა ასე მიმართა ბუნებას: „ბუნებავ, ბუნებავ, მოგმართავ და ითხოვ ამ ბალახი სიტყვას, მაინთვის იქნება გაუგებარი. მითხარი, იქნება ეს—ხელმა ეძებდეს იმას, რაც არ არის, იქნება ვსცდები, მითხარი, სად მოვიპოვო იგი მცენარე? ჩემში ვპოვო იგი, თუ... შენში? ხომ ხედავ ვეძებ და ძებნით მოვიქანცე, დავუძლურდი? მასწავლე... თუ არ გესმის ჩემი დტოდვა, ძიება, წუწურვილი? ბუნებავ, ნუ თუ უმიზნოდ არსებობ, არსებობ იმიტომ, რომ გაჩენილხარ?.. აი, როგორც მდინარე, მადდიდან დაქანებული, თავის-თავად მიდის. მდინარისთვის ხომ სულ ერთია, სათ დაქანებს მას მადდობი? იქნება შენც მდინარისებური მიმდინარეობა გაქვს? ჰაუ, ცოდვად ხვიმ! მაშინ რადად მომეცი ადგილი ამ ქვეყანაზე? რად ადმიძერი სურვილი მწვავი? რად, რად წარმოშვე ოთხ-ყურა და მსგავსთა წარმოდგენები შენს სამეფოში? ვიტირო, მოგსთქვა? ვის შეგჩივლო, ვის მოგსთხოვო ბასუხი?..

დაღალულსა და დაქანცულს მიეძინა, სიზმარშიაც ნახა ოთხყურა ბალახი, მაგრამ... აქ დავითმა სიტყვა გააწყვეტინა ელიზბარს, მაგრამ, ცხადია, მან ვერც სიზმარში იპოვა ჯადო-ბალახი. ძილში მხოლოდ რეალური გამოხატულება მიიღო ოცნებამ, მაგრამ სინამდვილე მაინც მიუწდომელი აღმოჩნდა. ოთრხ-ყურა ბალახიც ისევე მიუწდომელი გახდა, როგორც სიმი, რომელზედაც ზევითა გვქოდა ლაპარაკი.

ტრაგედია ადამიანისა იმაში მდგომარეობს, რომ ბევრი რამ არის ?ისთვის მიუწდომელი. ადამიანის არსებაში ჩამარხულია მისწრაფება ბედნიერებისაკენ, ცოდნისკენ, მაგრამ ეს მისწრაფება ყოველთვის დაუმაყოფილებელი რჩება. აქედან იბადება გულ-გატეხილობა, პესიმიზმი. იგი წარმოშობს უმიზნო ხეტიალს ცხოვრებაში.

ასეთი აზრები აქვს გატარებული ბ-ნ ლეო ქიაჩელს როგორც უკანასკნელ მოთხრობაში, ისე პირველ ორს პატარა ნაწარმოებში. ჩვენ განზრახ მივაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება ამ ახალგაზრდა მწერალს. ჩვენში, როდესაც ასე ბლომად იწერება ლექსები და ნოველები, ხშირად ყოველგარ ნიჭსა და მხატვრულ გულ-წრფელობას მოკლებული, ბ-ნ ლეო ქიაჩელის ნაწარმოები გვხიბლავს თავისი მარტივი სილამაზით, მდიდარ მხატვრულ სურათებით და განცდათა გულწრფელობით, რომელიც მკითხველზედაც გადადის.

ერთი კი უნდა აღვნიშნოთ: როგორც ეტყობა, ძალიან სუსტად იცის ქართული ენა.

მხატვრულ სურათების გადმოსაცემად იგი ყოველთვის მოხერხებულსა და სხარტულ სიტყვებს ვერ პოულობს. თუ ეს ნაკლი გაისწორა ლეო ქიაჩელმა, უეჭველია მისი მოთხრობები ერთი-ორად უფრო საინამოვნო საკითხავი იქნება.

—

ჩემს წერილს მიმოხილვის მაგიერი დავარქვი. ამით მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ ყველა მწერლებისა და პოეტების განხილვა არ დამისახავს მიზნად. შევჩერდები მხოლოდ ისეთებზე, რომელთაც ჩემი ყურადღება მიიპყრეს მოტივების ... ერთზე უკვე გვქონდა ლაპარაკ[illegible] ... ცოტა ხანს შევჩერ[illegible] ... ახალგაზრდა მწერ[illegible] **ჭ. უმბაძეზე**, რომელიც[illegible] ... ლეო ქიაჩელსავით, ცოტა შ[illegible]ნეველი დარჩა. 1911 წ. [illegible]ყისში დაიბეჭდა მისი „გზა ჯვარედინზე“ *).

სიყვარულის პრობლემა აქაც ავტორის უმთავრეს ყურადღებას იქცევს. არის თუ არა სიყვარული მუდმივი, თუ იგი ცვალებადია, ისეთი გრძნობაა, რომელიც მუდამ ჯვარედინ გზაზე სდგას?—ეს საკითხი აინტერესებს ავტორს. თემა, როგორც ხედავთ ისეთივე ძველია, როგორც თვით სიყვარული. მაგრამ ეს ნაწარმოები, რომლისთვისაც ავტორს თ[illegible] ... ქ თუ ყველ[illegible] ... ბონია, მკითხველი დ[illegible]

*) იხ. „სახალხო გაზეთი“-ს [illegible]

ხოლოგიური ფანტაზია დაურქმევია, მაინც საყურადღებოა თავისი წერის ახალი წესით; საინტერესოა იგი იმითაც, რომ პრობლემა სიყვარულისა კატეგორიულად არის დასმული. ვარდიძე ცოლშვილიანი კაცია. ცოლი შეურთავს ახალგაზრდობისას, სტუდენტობის, დრ.-ს. მაშინაც ჯვარედინ გზაზე იდგა ვარდიძე, და განსაცდელიდან იხსნა ახალგაზრდა ქალმა, ამ ჟამად ცოლმა, თავისი გულ-წრფელი სიყვარულით. ცოლი მუშაობდა მაშინ, როდესაც ვარდიძე სწავლობდა. ახალგაზდა ცოლი მსხვერპლად შესწირა საყვარელ ქმარს. „დილიდან საღამომდე თავაუღებლად მუშაობდა ის სუსტი არსება,—გვეუბნება ავტორი,—რომ ქმრისთვის სწავლის დასრულების საშუალება მიეცა. საღამოს რომ სამსახურიდან დაბრუნდებოდა, ხელსაქმესავით ზეზე გადაყლაპავდა ლუკმას და ისევ საქმეზე მირბოდა. ყოველი მისი ფიქრი და ზრუნვა ქმრის გარშემო ტრიალებდა, რადგან გულწრფელად უყვარდა იგი; უყვარდა ისე, როგორც შეუძლიან შეყვარება მხოლოდ მას, ვისაც საკუთარი პიროვნობა სხვის კეთილ-დღეობისთვის მსხვერპლად შეუწირავს“.

გავიდა დრო და ვარდიძეს გუნდიდან აღოიფხვრა ეს სიყვარული. მის წინ აღიმართა მთელი თავისი მომაჯადოებელი ძალით საოცნებო ასული, ახალი ღმერთი თაყვანისცემისა. ოჯახის იდილიას შავი ჩრდილი მოადგა და დაარღვია მყუდროება. ლეო ქიაჩელის დარიკო, რომელზედაც ზევითა ვწერდით, ხორცშესხმული სილამაზეა, მისი ხმა, სიმბოლო სულისა და ხორცის სილამაზისა ჰხიბლავს ყველას, ვინც კი ახლო მიეკარება. მაგრამ თვით დარიკო მთლად რეალისტობის სახით იხატება ავტორის წინაშე. ვარდიძეს ახალი სატრფო კი სცხოვრობს წალკოტში. იმ წალკოტში აღმართულია „ტაძარი“ იმ უცხო ღმერთისა, რომლის წინაშე მან უნებლიედ მუხლი მოიდრიკა და... შეიყვარა... ტაძრის წინ, სუნნელოვან დაფნის ქვეშ, სდგას სიყვარულის ღმერთი; იგი, ლამაზი, ვით ბერძენია აფროდიტესი და ვნებით სავსე, ვით ასურელთა აშტარტა, გრილი სიო, ვით მათრობელი ნექტარი, სინაზით ელამუნება მის ნაქანდაკევ გულ-მკერდს. დაფნის ტოტები, ნიშნად მოწონებისა, იხრებიან მის საგვირგვინოთ“.

ამნაირ საოცნებო სურათად ეხატება ახალი სატრფო ვარდიძის შეყვარებულ გონებას. ნახა თავისი სატრფო და გულ-დაწყვეტილი სახლში, ოჯახში ბრუნდება. წინ ეგებება მოსიყვარულე ცოლი, ათრთოლებული ხელები გაუშვერია საყვარელ ქმრისაკენ, თვალებზე უსაზღვრო ბედნიერების ცრემლები ადგება, მაგრამ... ვარდიძე სიყვარულის გამომხატველ თვალებს ვეღარა ჰხედავს. „მის წინ ნუცა კი არა, სხვა ვინმე სდგას, ყვითელი, უშნო, მახინჯი... გული სისხლით აევსო. თვალებში განცვიფრების ლურჯი რგოლები აუთამაშდა. მთელი სხეული მისი მოდუნდა, ოთელა, როგორც მძიმე ავად-მყოფობის შემდეგ. კვლავ შიშით მიაპყრო ცოლს დახლიანებული, ბინდ-გადაკრული თვალები: იგივ სახე ყვითელი, ჯოჯოხეთური, რომელსაც ყურები ლაფათინივით დაჰკიდებია.—შემოქმედო,—უხმოდ ამოიკვნესა მან—ნუ თუ ეს ნუცაა?! ... ეცვალა ... ეს ... ...

ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.

ჩვენი ოფლის მეურნეობის გაჭირება ყოველ ამას მოგეხსენება, ყველამ ისიც იცა, რომ ჩვენი ერის უმეტესი ნაწილი სოფლის მეურნეობას მისდევს. მასადამე, ჩვენი ეროვნული და ეკონომიური წარმატება დამოკიდებულია სოფლის წარმოებაზედ. მაგრ სოფლის მეურნეობას წარმატების არაფერი ეტყობა რა, საგრონომი დახმარების უქონლობის გამო.

საზღვარ გარედ საგრონომიო დახმარება აწყობილია ფართოდ და დემოკრატულად. რუსეთში ერობამ შეიმუშავთავისი ტიპი საგრონომიო დარგებისა, რომელიც, თუ ერობებისმიერ დასახული გეგმა შესრულდ შესაფერ მალამოდ დაედება რუსეს სოფლის გაჭირვებას.

ჩვენში საგრონომიო დახმარება ჩაბარდა მიწათმქმედების და მიწად მოწყობით თავარ მმართველის რწმუნებულის კანცელარიას და როგორც ყოველისფერში აქაც „კანცელარიამ“ თავი ელფერი მისცა, საგრონომიო დმარებას. ამისთანა გარემოებაში აგრონომიო დახმარებაზე ლაპაკი უქმი საქმე გახდა.

თუ მაინცა დაიინც რამე საქმე მოგვარდებოდა, „ანცელარიიდან“ რაღაცა მანქანებითუ კეთილი საქმე პირს ერევან-ფსისაკენ იზამდა და ჩვენ ისევ ცარლზე ვრჩებოდით

ვერ გამოაკეთა ჩნი საქმე ვერც სხვა და სხვა „ინსტრუქტორების“ და „სპეციალისტებ“ გასტროლებმა (ქალაქიდან მოკე ხნით სოფლისაკენ გამგზავრებ დავრჩით ისევ აწ არსებულ საიმპერატორო კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ამარად, მაგრ თავის წესდების და მოქმედების მიხებით ვერც ამან შესძლო შესაფერ საგრონომიო-დახმარების მოწყობა ამას ზედ დაეთო ეროვნული უნდობლობა სომეხ-თათართა და საზოგადოების მოქმედება ამ შეუსაბამ მოვლენით იქამდე მიყუჩდა, რომ საზოგადოებ მ სავსებით დაიმსახურა „მკვდარ საზოგადოების“ სახელი

ყველა ზემო ჩამოთვლმა გარემოებამ აიძულა ეზრუნა შესაფერ საგრონომიო დახმარებისმოწყობისთვის ჯერ სომხებს, რომლთაც დაარსეს „სომხური სასოფლ-სამეურნეო საზოგადოება“ და ერე ქართველთ „ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებ“ის დარსებით.

„ქართული სასოფლო-სმეურნეო საზოგადოება“ მოქმედობსთანახმად მთავრობის მიერ შემუშავებულ ეგრედ წოდებულ „სანიმუშო წესებით სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა“. ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წესდება დამტკიცებულია ტფილისის გუბერნატორისაგან 22 დეკემბერს, 1910 წელს. პირველი დამფუძნებელი კრება მოხდა 16 მარტს, 1911 წელს, რომელზედაც არჩეული იყო საბჭოს 12 წევრი და მათი 6 კანდიდატი.

მას შემდეგ საზოგადოება მოქმედობს. რის გაკეთება შეუძლიან საზოგადოებას თავის წესდების ძალით?

წესდებით საზოგადოების მიზანი და მისი მისაღწევი საშუალებანი, საზოგადოების უფლება და მოვალეობანი ასეა განმარტებული:

„ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიზანია თავის წევრთ შეერთებული ძალით შეუწყოს ხელი ტფილისის გუბ. სოფლის მეურნეობის და მრეწველობის განვითარებას და გაუმჯობესობას. § 1).

ამ მიზნის მისაღწევად საზოგადოებას ნება ეძლევა: 1) შეისწავლოს სოფლის მეურნეობის სხვა და სხვა დარგის მდგომარეობა და გამოარკვიოს მისი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი:

2) გაავრცელოს თეორეტიული და პრაქტიკული ცნობები სოფლის მეურეობის შესახებ, რისთვისაც შეუძლიან მართოს საჯარო ლექციები, დაბეჭდოს და გაავრცელოს თავისი ნაშრომები, და ყოველნაირი სასოფლო-სამეურნეო თხზულებანი; აგრეთვე, როცა შეიძლებს, გამოსცეს თავის პერიოდული სასოფლო-სამეურნეო ჟურნალი, დაარსოს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, წიგნთ-საცავი და მუზეუმი.

3) იზრუნოს სოფლის მეურნეობის საუკეთესო წესების შემუშავებაგამორკვევისთვის, რისთვისაც უნდა გამოსცადოს საზღვარ-გარედ და რუსეთში მიღებული მეურნეობის წესები, და გაავრცელოს ის წეს-რიგი, რომელიც ადგილობრივ უფრო საჯარგებლოთ იქნება მიჩნეული; გამართოს კონკურსები სამეურნეო მანქანებისა, იარაღებისა, საქონლის მოშენებისა და სხვა; დარსოს საცდელი სადგურები, მინდვრები, ვენახები, ხეხილის ბაღები, საერგეები და სხვა. აგრეთვე ხელი შეუწყოს იმისთანა დაწესებულებებს, რომელნიც უკვე არსებობენ, ან შემდგ დაარსდებიან საზოგადოების მოქმედების რაიონში.

4) თავის რჩევით და დარიგებით ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეოების მოწესრიგებას და შუამავლობა იკისროს მეურნეობისთვის საჭირო ნივთების შეძენაში და ადგილობრივ წარმოების გასაღებაში, რისთვისაც შეუძლიან სამეურნეო საწყობების. საკომისიო ბიუროების და სხვათა დაარსება.

5) გამართოს გამოფენები, საჯარო ვაჭრობა და წაახალისოს შრომა და ღვაწლი სასოფლო-მეურნეობის ასპარეზე, მეედლების და სხვა საპატიო ჯილდოს მიცემით.

საზოგადოებას შეუძლიან, თუ თავის მიქმედება გააფართოვა, მოწყობა ადგილობრივ განყოფილებებისა. საზოგადოებს ნება აქვს აგრეთვე ხელი შეუწყოს თავის წევრებს საწარმოვო ან მსაღებელ ამხანაგობათა დაარსებში და თვითონაც არსებულ წესებს მიხედვით დაარსოს ამხანაგობან.

როგორც ზემ ჩამოთვლილიდან ხედავთ საზოგადოებას ფართო უფლებები აქვს მინიბული თავის მიზნის განსახორციელებლად. 16 მარტს არჩეული საბჭო ამ წესდების ფარგალში შეუდგა თავ პრაქტიკულ მოქმედებას, მოქმედ საბჭომ შეზღუდა თავის საღსა მიხედვით და ჯერ-ჯერობით გაეყვიტა ორი საგრონომიო ორგანიზაციის მოწყობა: ერთისა კახეთ მეორისა ქართლში.

თვითეული ორგანიზაციშესდგება ერთის აგრონომისა ერთის მის თანაშემწისგან.

აგრონომი მიუვლის უფრესად ხვნა-თესვას და საქონლის შენებას; მისი თანაშემწე — მოუვლ განსაკუთრებით მებაღეობასა, მეახლობა-მეღვინეობასა და ბოსტანთავის რაიონის მიხედვით. ქართ, მაგალითად, თანაშემწემ უმთავრი თავისი ყურადღება უნდა მიაქცს ხეხილს, ხოლო კახეთში ვენახსა, ღვინოს.

მათი პრაქტიკული ოქმედება უნ გამოისახოს შემდეგ ავიღოთ, მაგ ქართლის აგრონომ მოქმედებ მის მოხსენების თანად. გორის მი წა იყოფა ორად: ლეხვის მიდამო წარმოადგენს ხეხილიაღების სამფლობელოს. მაშასადამ უმთავრესი მოღვაწეობა საგრონომიო პუნქტისა გამოისახება მებაღის დახმარებაში; რაში გამოიხატა ეს დახმარება?

ლიახვის მიდამოში ხეხილის ბაღებს დიდად აზარალებს და სხვა მწერი, რომლის მეოხებ მოსავალი ნახევრად კლებულ საჭიროა ამ მავნე მწერებთან ბრძოლა. ამისათვის აგრონომის თანაშე ლიახვის მიდამოში ხალხში საჩვენებლად იწყობს რომელიმე მეპატრონეს ბაღის წამლობას; რამდენიმე ხეს უწამლებს, მოსავალი ცხადად აჩვენებს წამლობის რიგიანობას; დაბეჭდილი იქნება ქართულად დარიგებანი თუ ხეხილის მაზარალებელ რომელ მწერს როგორ უნდა ბრძოლა; რომელი წამლით, როგორ უნდა ამ წამალს მომზადება და მოხმარება. ამისთანა დარიგება მსურველთ მიეცემა უფასოდ; მოწყობილი იქნება ლექციები ხეხილის მოშენებაზედ; მის წამლობაზედ; მოვლაზედ, დარგვაზედ, მოსავლის გასაღებაზედ და სხვა. ამას გარდა საგანგებოდ მოწვეულ კაცის მეოხებით საზოგადოება დაეხმარება მემამულეთ მათ ხეხილის გასხვლა-გათხელებაში.

ზემო-ქართლი ხვნა-თესვის რაიონია და აგრონომის მოღვაწეობა აქ გამოისახება შემდეგში:

1) მოწყობილი იქნება შემდეგი **გამოცდა:** ა) სიმინდის მოყვანისა ჩვენებურად და გაუმჯობესებული წესით; ბ) ჭარხლის მოყვანა, გ) ქერის მოთესვა ჩვენებურად და მანქანით—მწკრივად, დ) ბალახის თესვა. საცდელი მიწების მოწყობა განზრახულია: სოფ. ავლევში, პატარა თამარშენში, გომში, რუისში, საჯამეთში და კასპში.

2) გამართული იქნება აგრონომის საცხოვრებელთან **მანქანების გასაქირავებელი სადგური** (проватная станція)—სადაც იქნება სვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო გუმჯობესებული იარაღ, რომლის ქირავებაც მსურველთ შეუძლიანთ შეფერისი ფასით.

3) **თესლის გადარჩევა.** შემოდგომაზედ სოფელ სოფელ დაივლის საზოადოების მანქანა, რომელიც პურიან გამოარჩევს შიგ შერეულ უცხოთესლს და თვით პურს გადაარჩევს ხარისხებად.

4) **გმოცდა სხვა და სხვა იარაღისა** ჩვენის მეურნეობის გარემოებაში.

5) **ლექციების კითხვა** შემდეგ კითხვებზედ; მოყვანა ჭარხლისა, სიმინდისა, ბალახისა; საქონლის კვება, გაუმჯობესება. ამხანაგობანი სოფლად და სხვა.

საქონლის მოშენების გასაუმჯობესებლად განზრახულია:

1) საქონლის რიგიანი კვების მოწყობა ხალხის საჩვენებლად.

2) საქონლის გაუმჯობესება ფართო შერჩევით და შესაფერ ბეღლა, კურატის და ულაყის ხმარებით

ამის გარდა აგრონომი მოვალეა გასცეს ყველა წერილობითი და ზეპირ კითხვა პასუხს სხვა და და სხვა სასოფლო-სამეურნეო საკითხების შესახებ, დაეხმაროს სოფლის მეურნეობაში საჭირო იარაღ-მანქანის გამოწერაში.

კახეთის საგრონომიო პუნქტის მოღვაწეობა დაახლოვებით ამაში გამოისახება; ხოლო მებაღეობის მაგივრობას აქ გასწევს მევენახეობა,— მაშასადამე, ამერიკული ვაზის სანერგეების გამართვა და ხელმძღვანელობა, ღვინის დაყენება, და გასაღება.

კახეთის აგრონომად მოწვეულია გიორგი ესტატეს ძე საყვარელიძე, რომელიც სცხოვრობს სოფ. კურდღელაურში (თელავის ახლოს), ხოლო ქართლში ელიზბარ ვასილის ძე კარბელაშვილი, რომელიც სცხოვრობს სოფ. ზემო-გომში (სადგური გომი, ამიერ-კავკასიის რკინის გზა). მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ შესაფერი დახმარებისათვის, რომელსაც მიიღებენ **უფასოდ.**

ამგვარი თავის მოქმედებით ქართული სასოფლო-სამეორნეო საზოგადოება უახლოვებს ხალხს საგრონომიოს დახმარებას და ადგება დასავლეთ ევროპაში და რუსეთში უკვე ნაცადს და საუკეთესოდ მიჩნეულ გზას. წრეულს გაზაფხულზედ დაიწყება საზოგადოების პირველი პრაქტიკული მოღვაწეობა მინდვრად, ამხანად კი, ზამთარში, მოწყობილი ლექციები ბუნდოვანი სურათებით.

უმეოლეთი 1911 ᲬᲔᲚᲡ.

1.

მაროკოს ამბები და გერმანია—საფრანგეთის მოლაპარაკება მროკოს შესახებ; ინგლისის მნიშვნელობა მაროკოს შესახებ მოშხდარ უთანხმოებაში.—იტალიის გამოსვლა და ოსმალეთ-იტალიის იმი ტრიპოლის გამო.—იდეა ბალკანეთის ფედერაციის დაარსების შესახებ და მისი შეუძლებლობა. არეულობა მაკედონიაში.—სპარსეთის ამბები.

—

1911 წელი ფიიად მდიდარი იყო მრავალ გვარ პოლიტიკურ მოვლენებით მსოფლიოს ცხოვრებაში. ამ წლის განმავლობაში უცხოეთის სხვა და სხვა სახელმწიფოში მრავალს დიდად მნიშვნელოვან მოვლენებს ჰქონდა ადგილი, როგორც მათ შინაურ ცხოვრებაში, აგრეთვე მათ ურთიერთ შორის განწყობილებაში. შინაურ ცხოვრებაში თითქმის ყოველგან გამოუნაკლისად ჩვენ ვხედავთ მმართველობის თანდათანობით დემოკრატიზაციას, თანდათანობით გამარჯვებას ფართო დემოკრატიულ წრეებისას და მათ მიერ დიდი მოვლენის მოპოვებას თავიანთ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, თანდათანობით გახორციელებას სოციალურ რეფორმებისა, ისეთ რეფორმებისა, რომელნიც აუმჯობესებენ ხალხის ფართო წრეების ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობას. სულ წინააღმდეგსა ვხედავთ სხვა და სხვა სახელმწიფოთა ურთიერთ შორის დამოკიდებულებაში. თუ შინაურ ცხოვრებაში კულტურის განვითარების ნები იყო 1911 წლის განმავლობაში, უცხოეთის სახელმწიფოთა ურთ შორის დამოკიდებულებაში კულტურის ადგილი ზოოლოგიურ-მასტიქტებმა დაიკავეს. არა ერთხელ წლის განმავლობაში ყოფილა ში მსოფლიო ომისა, ამ ომ შინ მტერისა ყოველგვარ კულ-ტურ ამ მხრივ ყველაზედ უფრო საშიშ ყო მაროკოს შესახებ ატეხილი ვა გერმანია-საფრანგეთის შორის, რომელნიც დიდი ხანია მტრულის თვალით უცქერიან ერთმანერთს. ამ დავამ და გერმანია-საფრანგეთის შორის მოლაპარაკებამ დაღი დაჩნია ევროპის სახელმწიფოთა მთელ საფარეო პოლიტიკას 1911 წლის განმავლობაში.

მაროკოს, რომელიც სულ უკანასკნელ დრომდის დამოუკიდებელ დესპოტიურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. უკავია დასავლეთი ნაწილი ჩრდილოეთი აფრიკისა. სივრცით მაროკო 440 ათასს ოთხ-კუთხ კილომეტრს უდრის. თუ ამას მივუმატებთ მაროკოს შუაგულ ნაწილებს, სადაც მაროკოს სულთანის ბრძანებლობას მხოლოდ ნომინალურად სცნობენ, მაშინ ამ ქვეყნის სივრცე 800 ათასს ოთხ-კუთხ კილომეტრს აღემატება. ამ გვარად მაროკო უფრო დიდია ვიდრე გერმანია (540 ათასი ოთხ-კუთხი კილომეტრი) და საფრანგეთი (536 ათასი ოთხკუთხი კილომეტრი) სათითაოდ. მაროკოში 8 მილიონამდე მცხოვრებია, ამათგან ნახევარი არაბებია და ნახევარიც ბერბერები—ორივენი სარწმუნოებით მაჰმადიანები. ბერძერები უმთავრესად მისდევენ სოფლის მეურნეობას, არაბებიკი საქონლის მოშენებას. ცნობილ მოგზაურის ფიშერის აზრით მაროკო ალჟირზე და ტუნისზე უფრო მდიდარია. მაროკოს სიმდიდრეს შესახებ ციფრებიდან შეიძლება ვიქონიოთ წარმოდგენა:

	მაროკოში	უვაჭრიათ ინგლისს	საფრანგ.	გერმან.
1907 წ.	17.139 ათ. ₰.	16.338 ათ. ₰.	6.519 ათ. ₰.	
1908 წ.	24.489 —	22.604 —	6.764 —	
1909 წ.	22.042 —	21.951 —	5.641 —	

ეს ციფრები გვაჩვენებენ სამ უმდიდრეს ევროპიელ სახელმწიფოთა ვაჭრობას მაროკოში. სხვა სახელმწიფოთა ვაჭრობაც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, მარტო ამ სამ სახელმწიფოს უვაჭრია წელიწადში 50 მილიონ მანეთის ოღირალზე. თუ ამას დავუმატებთ, რომ მაროკო ძლიერ მდიდარია მადნეულობით (რკინა, სპილენძი, მარილი და სხვა) და ამ მადნეულობის ეკსპლოატაცია ჯერ-ჯერობით ვერ არის მოწყობილი სასურველად, ნათელი იქნება ყველასათვის, რომ ყოველ კაპიტალისტურად განვითარებულ სახელმწიფოსათვის მაროკო სახარბიელო ლუკმას წარმოადგენს. განსაკუთრებით იგი სასარბიელო არის ისპანიისათვისა და საფრანგეთისათვის.

ისპანია მხოლოდ გიბრალტარის ვიწრო სრუტეთი არის მოშორებული მაროკოს. ეს სახელმწიფო დიდი ხანია სცდილობს ჩაიგდოს ხელში მაროკოს ნაწილი მაინც. აგერ რამდენიმე ხანია უკვე ისპანიამ დაისაკუთრა კიდეც ზღვის ვიწრო ნაპირი ისპანიის ნაპირების პირდაპირ, სივრცით სულ მხოლოდ 35 ოთხ-კუთხი კილომეტრი, და სიმაგრეც ააშენა აქ, სახელად ცეუტა. ამაზედ მეტი-კი ისპანიამ ველარა მოახერხა-რა, ვინაიდან ერთი მხრით ევროპის სახელმწიფონი არ აძლევდენ მეტის დასაკუთრების ნებას, მეორეს მხრით არც ძალა შესწევდა.

საფრანგეთიც არ არის მოშორებული მაროკოს. ამ სახელმწიფოს სამფლობელოს-კი აფრიკაში, ალჟირს, მაროკო კიდეც ესაზღვრება. თუ ამას დავუმატებთ კიდევ, რომ თითქმის ნახევარ ვაჭრობას მარიკოსთან, როგორც ზემოთ მოყვანილი ციფრები გვაჩვენებენ, ეწევა საფრანგეთი, ყველასათვის ცხადი იქნება, თუ რად მიილტვის მაროკოში საფრანგეთი.

1900 წლიდან მოყოლებული საფრანგეთი სცდილობს ჩაერიოს მაროკოს შინაურ საქმეებში, გამაგრდეს იქ და ამ გვარად ხელში ჩაიგდოს ეს ქვეყანა. მაგრამ გერმანია მუდამ იქვის თვალით უყურებდა საფრანგეთის მოქმედებას მაროკოში და ყოველთვის ისეთ დროს გაერევოდა საქმეში, რომ საშუალებას უსპობდა საფრანგეთს—ეს მდიდარი ქვეყანა თავის საკუთრებად გამოეცხადებინა. 1906 წელს ქ. ალჟეზირასში მოხდა შეთანხმება ევროპის 13 სახელმწიფოთა შორის. ამათში ერია ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და ისპანია. ამ შეთანხმების ძალით ყველა ამ 13 სახელმწიფოთ თანასწორი ეკონომიური უფლებები ეძლევოდათ, მათ სრულიად თავისუფლად შეეძლოთ ევაჭრათ მაროკოში, საფრანგეთსა და ისპანიას-კი გარდა ამისა ნება ეძლევოდათ სამხედრო-საპოლიციო რაზმები ჰყოლოდათ მაროკოს ზოგიერთ პუნქტებში თავიანთ ქვეშევრდომთა სიცოცხლისა და ქონების დაცვისთვის.

მაშინ საფრანგეთი სულ სხვა გზას დაადგა და ეცადა დამეგობრებოდა მაროკოს სულთანს—მულაი-ჰაფიდს, რომელსაც აუჯანყდა დიდი ნაწილი მისი ქვეშევრდომთა.

აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს მაროკოს დედა ქალაქს—ფეცს. შეშინებულმა მაროკოს სულთანმა დახმარებლათ მოიწვია ფრანგების ჯარი, ფრანგებმაც ამით ისარგებლეს და ვითომდა მხოლოდ მშვიდობის დასამყარებლად გაილაშქრეს ფეცისაკენ და კიდეც გაანთავისუფლეს ეს ქალაქი და სულთანი აჯანყებულთაგან. ამ გვარად ფრანგები შუაგულ მაროკოში გამაგრდნენ და, როდესაც ვინმე ეტყოდა მათ ამის შესახებ საყვედურს, სულთანზე მიუთითებდნენ—მაგან მოგვიწვია დასახმარებლად, მისი თანხმობითა ვართო და მასთან დასძენდნენ კიდეც—ჩვენი ჯარები რომ მაროკოდან გამოვიდეს მაროკოში სიმშვიდე დაირღვევა და ევროპიელ კაპიტალისტთა ინტერესებს ზიანი მიეცემაო. განმეორდა ის, რასაც ჩვეულებრივად სჩადიან ხოლმე ევროპის კულტურიანი სახელმწიფონი, როდესაც სურთ სადმე დამკვიდრდნენ. სულთან მულაი-ჰაფიდის მოწვევას-კი მხოლოდ ოფიციალური მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან მას დიდი ხანია უკმაყოფილოდ უყურებს მისი ქვეშევრდომნი: არაბები და ბერბერები,—რამოდენიმეჯერ აუჯანყდნენ კიდეც და ფრანგების მოწვევის შემდეგ ხომ მენ ყოველგვარი ავტორიტეტი და ბატივისცემა დაკარგა მათგან. [illegible] ვრდომთა. როდესაც ისპანიამ დაინახა საფრანგეთის მოქმედება, მანაც მოინდომა სარგებლობა მაროკოს შინაურ უთანხმოებით და დაიჭირა ქალაქი ელ—ქსარი და ნავთ-სადგური ლაროში აღმოსავლეთ მაროკოში, თუმცა სულთანი მულაი-ჰაფილ არამც თუ არ იწვევდა ისპანიელებს დასახმარებლათ, პირიქით პროტესტსაც უცხადებდა ისპანიის მთავრობას ამ გვარ მოქმედებისთვის. ფრანგები ბრაზობდნენ, ამტკიცებდნენ, რომ ისპანიას უფლება არა ჰქონდა მაროკოს ტერიტორია დაეჭირა სულთანის მიუწვეველად, მაგრამ ისპანია ყურსაც არ იბერტყავდა. არსებითად, რა თქმა უნდა, არც ერთი სახელმწიფო არ იყო მართალი და ორივეს მოქმედება, ვულგარულად რომ ვსთქვათ, ყაჩაღური იყო. ფრანგების ოფიციალურ თავის გამართლებას, რომ ისინი სულთანმა მიიწვია მშვიდობის დასამყარებლად, არავითარი ღირებულობა არ ჰქონდა, ვინაიდან თვით სულთანი ათვალისწუნებული და შეძულებული ჰყავს მაროკოს მკვიდრთ, მის ქვეშევრდომთ.

სწორედ ამ დროს აღმოსავლეთ მაროკოს ერთ საუკეთესო ნავთსადგურში, აგადირში, გერმანიის მთავრობის ბრძანებით შევიდა გერმანიის სამხედრო გემი „პანტერა“ ვითომდა გერმანელ ვაჭართა ინტერესების დასაცველად. ნამდვილად-კი გერმანიას სურდა თავისი წილი მიეღო მაროკოს გაყოფის დროს. ეს ფაკტი—აგადირში გერმანიის სამხედრო გემის მისვლა—იმდენათ სერიოზული იყო, ისეთი მოულოდნელი ყველასათვის და მასთან ისეთი აშკარა ჩვენება იყო მუშტისა გერმანიის მხრივ საფრანგეთისათვის, რომ მთელი ევროპა გაოცდა, შეშინდა კიდეც. ჰაერი ომის სუნით გაიჟღენთა. როგორც ქვევით დავინახავთ, ამ შედარებით უბრალო ფაკტმა—გერმანიის სამხედრო გემის შესვლამ აგადირში—დიდი ცვლილება მოახდინა ევროპის სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში და მთლად შეატრიალა არსებული საერთაშორისო მდგომარეობა. არავისათვის საიდუმლო არ იყო საფრანგეთის მოქცევა მაროკოში. უკვე ერთ წელზე მეტი იყო, რაც საფრანგეთის ჯარები შევიდნენ ამ ქვეყნის შუა გულ ნაწილში და გერმანიას, თუ-კი სურვილი ჰქონდა თავისი წილი მიეღო, მრავალჯერ შეეძლო მშვიდობიანი მოლაპარაკება გაემართა საფრანგეთთან და არა ისე მოქცეულიყო, როგორც მოიქცა— მიუხედავათ იმისა, რომ საფრანგეთის მოქცევა მაროკოში დასაგმობი იყო, ეხლა ევროპის საზოგადოებრივი აზრი სამართლიანად გერმანიას ჰგმობდა, ვინაიდან ომი რომ მომხდარიყო, ეს მისი მიზეზი იქნებოდა. ამ გვარად სიმპატიები საფრანგეთზედ გადავიდა. გერმანიას ეგონა საფრანგეთს შევაშინებო, მაგრამ იმედები გაუცრუვდა. საფრანგეთის მთავრობა, თუმცა აღელვებული იყო გერმანიის მოქცევით, მაგრამ მაინც დინჯად შეხვდა ამ ფაქტს და დაიწყო მოლაპარაკება გერმანიასთან. ამავე დროს ჯარების მზადება დაიწყო და სათადარიგო ჯარის კაცები, რომელნიც დასათხოვნი იყვნენ, სახლში არ გაუშვა, ჯარებში დასტოვა. მთელი სამხედრო ფლოტი საფრანგეთისა 1911 წლის დასწყისიდან, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, დელკასეს სამხედრო მინისტრად გახდომის შემდეგ, ხმელთა შუა ზღვაში იქნა გადაყვანილი. როგორც შემდეგ გამოირკვა, დელკასე ეგრე მოქცეულა ინგლისთან შეთანხმებით. თუ რომ ომი მოხდებოდა საფრანგეთსა და გერმანიის შორის, ინგლისი ხელშეკრულობის ძალით და უმთავრესად თვისი მუდმივი მეტოქე გერმანიის დასამარცხებლად, საფრანგეთს დაეხმარებოდა. მაშინ, რა [illegible] ინგლისის ფლოტ, [illegible] უფრო ძლიერ [illegible] ყოველ გვარ სა-

შუალებას მოუსპობდა გერმანიას ფლოტს საფრანგეთის ნაპირებზე დაცემისას; საფრანგეთის ფლოტი-კი საჭირო იყო ხმელთა შუა ზღვაში ავსტრიისა და იტალიის ფლოტების წინააღმდეგ, თუ-კი ეს ორი სახელმწიფო, როგორ გერმანიის მოკავშირენი, ომში ჩაერეოდნენ.

გერმანიის მიერ აგდირში გემის გაგზავნის გამო ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრმა, ედუარდ გრეიმ, აცნობა გერმანიის ელჩს, რომ ინგლისი უკანონოდა სთვლის ამ გვარ მოქცევას გერმანიისას. ამავე დროს ინგლისის პირველ მინისტრმა ასკვიტმა სთქვა ბალფურ ის შეკითხვაზე: „მაროკოში დღეს-დღეობით საქმეების ვითარება ისეთია, რომ შესაძლებელია ინგლისის ინტერესებს რაიმე ზიანი მოუვიდეს. ამიტომ მომავალ მოლაპარაკების დროს გერმანიასა და საფრანგეთსა შორის, ინგლისი მუდამ მხედველობაში იქონიებს, როგორც თავის ინტერესების დაცვას, აგრეთვე იმასაც, რომ მას საფრანგეთთან მეგობრობა და კავშირი აქვს? ამ გვარად ინგლისმა ნათლად აგრძნობინა გერმანიის მთავრობას, რომ გერმანიისათვის საფრანგეთთან ომი ნიშნავს აგრეთვე ინგლისთან ომს.

გაფაციცებით დაიწყეს გამაგრება თავისი აღმოსავლეთი საზღვრებისა საფრანგეთის ჩრდილოეთით მდებარე პატარა სახელმწიფოებმა – ჰოლანდიამ და ბელგიამ, განსაკუთრებით უკანასკნელმა. მათ ეშინოდათ გერმანიისა, რომელსაც შეეძლო ეს ორი სახელმწიფო გადაელახა და საფრანგეთს დასცემოდა ჩრდილოეთიდან.

ევროპის ჰაერი ომის სუნით გაიჟღენთა და ეს ომის სუნი ყველაზედ უფრო მავნებელი შეიქნა გერმანიის ფინანსებისათვის. მისი ფასიანი ქაღალდები საშინელი სისწრმფით დაეცა ფასში, ამას მოჰყვა ორი დიდი ბანკის გაკოტრება. ომის შიშით მოხდა ისეთი რამ, რასაც გერმანიის მთავრობა არას დროს არ მოელოდა, გერმანიის მცხოვრებლებმა, რომელთაც დიდი პატრიოტების სახელი ჰქონდათ ყოველთვის, დაიწყეს სახელმწიფო შემნახველ კასებიდან თავისი ფულების გამოტანა და სულ მოკლე ხანში— რამოდენიმე დღეში— ხუთი მილიონ მანეთზე მეტი ფული დაიტაცეს. გერმანიის საქმეები ცუდად დატრიალდა. გამოირკვა, რომ ფინანსიური მდგომარეობა ამ მძლავრ სახელმწიფოსი არც ისე კარგია, როგორც შორიდანა სჩანს. გამოირკვა ისიც, რომ სსფრანგეთთან ომს მოსდევს ომი ინგლისთანაც, ე. ი. ცხადი განადგურება გერმანიის სამხედრო ფლოტისა, სრული შეჩერება-გერმანიის საზღვაო ვაჭრობისა და ყველა ამას კიდევ— შეიძლება დიდი ეკონომიური კრიზისიც. გერმანიამ ცოტა ხმას დაუწია და გაიმართა ხანგრძლივი მოლაპარაკება საფრანგეთსა და გერმანიის შორის, მოლაპარაკება რომელიც მხოლოდ 22 ოქტომბერს ე. ი. ოთხი თვის შემდეგ დასრულდა ფორმალურ ხელშეკრულობით.

ამ ხელშეკრულობის ძალით მაროკო ექვემდებარება საფრანგეთს პოლიტიკურად, მაროკო საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ იქნება. რაც შეეხება ვაჭრობა-მრეწველობას, ამ მხრივ ყველა სახელმწიფოს და მათ შორის გერმანიასაც თანასწორი უფლებანი ექნებათ. გარდა ამისა საფრანგეთს ეძლევა ჩრდილოეთი ნაწილი გერმანიის ახალშენის, კამერუნის, დიდ ტბა ჩადთან, სივრცით 15 ათასი ოთხ-კუთხი კილომეტრი. ნაცვლად ამისა საფრანგეთი უთმობს გერმანიას დასავლეთ აფრიკაში, ეგრედ წოდებულ საფრანგეთის კონგოს ნაწილს, სივრცით 230 ათას ოთხ-კუთხ კილომეტრს 600 ათასი მცხოვრებით. ამ გვარად დასრულდა გერმანია-საფრანგეთის მოლაპარაკება. ცხადია, მოგებული საფრანგეთი დარჩა, რადგან მან მისთვის სრულიად უმნიშვნელო ახალშენის გადაცემით გერმანიისადმი მიიღო საშუალება მაროკოში ისე მოიქცეს, როგორც მას ესურვება. მოკლედ რომ ვსთქვათ, მთელი მაროკო მისი ბუნებრივი სიმდიდრითა ამ ეერიდან საფრანგეთის სამფლობელო შეიქნა და ამ გვარად საფრანგეთმა დაისაკუთრა მთელი დასავლეთი ნახევარი ჩრ. დილოეთ აფრიკისა – ტუნისი, ალჟირი და მაროკო. გერმანიაში მრავალი არის უკმაყოფილო მაროკოს საკითხის ასეთი დაბოლოვებით, განსაკუთრებით კონსერვატორები და ნაციონალ ლიბერალები, რომელნიც რეიხსტაგში პირდაპირ გაიძახოდნენ, რომ საჭირო იყო ინგლისთან და საფრანგეთთან ომი. უკმაყოფილო არის აგრეთვე გერმანიის მემკვიდრე, რომელიც ტაშს უკრავდა რეიხსტაგში კონსერვატორთა სიტყვებს. უკმაყოფილო დარჩა გერმანიის ახალშენთა მინისტრიც, ლინდკვისტი, რომელმაც ხელშეკრულობის ხელის მოწერის შემდეგ სამსახურს თავი გაანება. ასეა თუ ისე დღეს უკვე მაროკოს საქმე გათავებულია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში შედარებით უმნიშვნელო მოლაპარაკებას საფრანგეთსა და ისპანიის შორის, და ის საშინელი მოჩვენება საფრანგეთ-გერმანიის ომისა უკვე გამქრალად უნდა ჩაითვალოს.

იმ დროს, როდესაც მთელი მსოფლიო გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა გერმანია და საფრანგეთის მოლაპარაკებას მაროკოს საქმეების გამო და ჰხარობდა, ატეხილი დავა უომრად თავდებაო, სრულიად მოულოდნელად მაროკოს საკითხი გართულდა იტალია-ოსმალეთის ომით. ომის მიზეზად შეიქნა ჩრდილოეთ აფრიკის ერთ-ერთი ნაწილი—ტრიპოლი და კირენაიკა ანუ ბარკა, რომელიც დღემდის ოსმალეთის სამფლობელოს წარმოადგენდა. ჩრდილოეთი აფრიკის დანაწილებამ ინგლისსა და საფრანგეთის შორის (ტუნისი, ალჟირი და მაროკო—საფრანგეთისა და ეგვიპტე ინგლისის პროტექტორატის ქვეშ იმყოფება იტალიასაც გაულვიძა მადა რაიმე ნაწილის ხელში ჩაგდებისა. ვინაიდან ინგლისსა და საფრანგეთსა იტალია ვერას წაართმევდა, ამიტომ მან მიმართა ოსმალეთს, რომლის სამფლობელოს წარმოადგენდა ტრიპოლისი. იტალია დიდი ხანია მუშტრის თვალით უცქეროდა ტრიპოლის, რომელიც მართალია ბევრათ უფრო ღარიბია ტუნისსა, ალჟირზე და მაროკოზე, მაგრამ იტალიისათვის, რომელსაც თითქმის სრულიად არა აქვს ახალშენები, მაინც გემრიელ ლუკმას წარმოადგენს, მით უმეტესს, რომ ტრიპოლი შედარებით ძლიერ ახლოს არის იტალიიდან: რომიდან ტრიპოლამდის 1000 ვერსტი იქნება, სიცილიიდან-კი—500 ვერსტზე ნაკლები.

ამ სიახლოვემ დიდი როლი ითამაშა იტალიის სურვილის გაღვიძებაში. ყოველ წლიურად 800 ათასამდე იტალიელი სახლდება უმთავრესად სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოებში. ეს აუარებელი რიცხვი ახალგაზრდა, შრომის გამწევ იტალიელთა, სრულიად დაკარგულია მეტროპოლიისათვის. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იტალიაში მხოლოდ 34 მილიონია მცხოვრები, ყველასათვის ცხადი იქნება, რომ ყოველ წლიურად 800 ათასი მშრომელი ადამიანის დაკარგვა ასეთ სახელმწიფოსათვის ძლიერ საგრძნობელია. აი, ამიტომ, იტალიისათვის ტრიპოლი დიდ ღირებულობას წარმოადგენს! მეტროპოლიიდან ახლოს იქნება ახალშენი, სადაც შეეძლებათ გადასახლება იტალიელებს. მით უმეტესს, რომ ტრიპოლი სივრცით ძლიერ დიდია--თითქმის ერთ მილიონ ოთხ-კუთხ ვერსტს უდრის--მცხოვრებთა რიცხვი-კი შედარებით მცირე ჰყავს—სულ ერთი მილიონ--მაჰმადიან არაბთა და ბერბერთა მიერ არის დასახლებული, თუ ამას კიდევ ეკონომიურ ინტერესებს დავუმატებთ, კაპიტალისტურად განვითარებული იტალიის მიერ ახალშენების უქონლობას, ყველა ნათლად წარმოიდგენს, თუ რით აინტერესებდა იტალიას ტრიპოლი. საჭირო იყო მხოლოდ დროს შეჩვევა, ისეთი დროსა, როდესაც იტალიისათვის შედარებით ადვილი იქნებოდა ტრიპოლის დაპერა და ასეთი დროც, იტალიის დიპლომატებმა ხელთ იგდეს.

ინგლისი და საფრანგეთი გერმანიასთან მეტოქეობით იყვნენ გატაცებულნი და იტალიას ხელს არ შეუშლიდენ, მით უმეტეს, რომ მათთვის ტრიპოლი სახარბიელოს არას წარმოადგენდა; მასთან სამთა კავშირს (გერმანია, ავსტრო-უნგრეთი და იტალია) ერთი მოკავშირე – იტალია —აკლდებოდა, ვინაიდან თავის საქმეებში იქნებოდა გართული. ეს, რა თქმა უნდა, გერმანიას ასუსტებდა, რაც საფრანგეთისა და ინგლისისთვის მხოლოდ სასიამოვნო იყო: გერმანიის დროებით დასუსტება აადვილებდა ჯერ კიდევ დაუმთავრებელი მოლაპარაკების მაროკოს შესახებ სასურველად გათავებას. არც რუსეთი ჩაერეოდა იტალია-ოსმალეთის ომში: მისთვისაც არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს ტრიპოლი, პირიქით, რუსეთისათვის სასარგებლოც არის დროებითი დასუსტება თავისი მოსაზღვრის — ოსმალეთის. ეს დასუსტება საშუალებას აძლევს მას ჩრდილოეთ სპარსეთში ისე მოიქცეს, როგორც მასა სურს, ომში გართული ოსმალეთი მოკლებული იქნება საშუალებას სპარსეთის საქმეებში ჩაერიოს და თავისი წილიც მოითხოვოს. როგორც ქვემოდ დავინახავთ – ეს ასეც მოხდა.

დარჩნენ მოკავშირეები იტალიისა —ავსტრო-უნგრეთი და გერმანია, რომელთაც, თუმცა ძლიერ აღმაცერად შეხედეს იტალიის მოქმედებას, მაგრამ რას იქმნდნენ, მოკავშირეს ბროტესტი ვერ განუცხადეს. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა გერმანია, რომელიც ყოველთვის ეხმარებოდა ოსმალეთს და მრავალჯერ გამოუყენია იგი გასაჭირიდან. ამ ჟამად გერმანია უკვე აგრე ვერ მოიქცევდა, ვინაიდან იტალია მისი მოკავშირე იყო, და ძალა-ენებურად დაკმაყოფილდა უბრალო მაყურებლის როლით. იტალიის საქციელმა ერთსა და იმავე დროს კიდეც დაასუსტა გერმანია საფრანგეთთან მოლაპარაკების დროს და ოსმალეთიც მოამდურა. ოსმალნი საჯაროდ გაიძახოდნენ, როგორ ვერ დაგვიხსნა ჩვენმა მეგობარმა, გერმანიამ, თავის მოკავშირის ყაჩაღურ საქციელიდან და ცარცვა-გლეჯიდანო.

ამ გვარად საერთაშორისო განწყობილება ხელს უწყობდა იტალიას მის დაწყებულ საქმეში. საჭირო იყო მხოლოდ ოსმალეთის დამარცხება ამ მხრივაც იტალია შედარებით კარგ მდგომარეობაში იყო. იტალიასა და ოსმალეთს ორივეს ძლიერი ჯარი ჰყავთ, მაგრამ ეს ორი სახელმწიფო ხმელეთზე ერთმანერთს არ ესაზღვრებიან. ამიტომ მათ შორის ხმელეთზე შეტაკება არ იყო მოსალოდნელი, თუ არა თვით ტრიპოლისში, სადაც ოსმალეთის ჯარი 15 ათას კაცს არ აღემატებოდა. ამ ჯარის გაძლიერება-კი ოსმალეთს არ შეეძლო, ვინაიდან თვით ოსმალეთი ტრიპოლის არ ესაზღვრება ხმელეთით. რაც შეეხება სამხედრო ფლოტს აქ იტალიისა და ოსმალეთის შორის დიდი განსხვავებაა: ოსმალეთს თითქმის სრულიად არა ჰყავს სამხედრო ფლოტი, იტალიას-კი პირიქით ძლიერი ფლოტი ჰყავს. ეს საშუალებას აძლევდა იტალიას ზღვაზე გაბატონებულიყო, სადაც მოისურვებდა, იქ დასცემოდა თავზე ოსმალეთს, და მასთან ოსმალეთს საშუალებას უსპობდა ტრიპოლისში მყოფ ჯარებისათვის დახმარების გაწევისა, როგორც ჯარებით, აგრეთვე იარაღით თუ სურსათით. ერთი სიტყვით, ყველაფერი ხელს უწყობდა იტალიას მის მიერ დაწყებულ საქმეში.

იტალიამ ოსმალეთს მიმართა ულტიმატუმით, სადაც 24 საათს აძლევდა ვადას პასუხის გასაცემად. ეს ულტიმატუმი სრულიად უმნიშვნელო ფაქტებზე უთითებდა ოსმალეთს, ისეთ ფაქტებზე, რომელნიც ვითომდა იტალიის თავმოყვარეობისათვის ძლიერ საწყენი იყო, და მასთან ისეთ მოთხოვნებს უყენებდა ოსმალეთს, რომლის ასრულება ოსმალეთის მთავრობის თავმოყვარეობისათვის ყოვლად შეუძლებელი იყო. ჩვენ აქ დაწვრილებით არ მოვიყვანთ ამ ულტიმატუმს, ვიტყვით მხოლოდ, რომ განათლებულ სახელმწიფოთა საზოგადოებრივმა აზრმა მას უსირცხო, ყაჩაღური ულტიმატუმი დაარქვა. ულტიმატუმს ომი მოჰყვა. ეს ულტიმატუმიც და ეს ომიც იმდენად მოულოდნელი შეიქნა. ოსმალეთის მთავრობისათვის რომ ტრიპოლისში ჯარების გაძლიერება ვერ მოასწრო მან.

პირველად ომის დაწყებისას ყველაფერი იტალიას უქადდა გამარჯვებას. მაგრამ საქმე სულ სხვა გვარად დატრიალდა. ოსმალთა ჯარებს მიემხრნენ ადგილობრივი მკვიდრნი—არაბები, რომელნიც ძლიერ გულადნი არიან და მასთან კარგი მხმარებელნი იარაღისა. მათ შეადგინეს ძლიერ დიდი რაზმები და რეგულიარულ ჯარებს ოსმალთა შესამჩნევი დახმარება გაუწიეს. იტალიელებმა ვერამც თუ ვერ შესძლეს ტრიპოლის შუა გულ ნაწილში გალაშქრება, პირიქით იძულებულნი გახდნენ დიდის გაჭირვებით დაეცოთ დაკავებული სამი ქალაქი – ტრიპოლისა, ბენგაზი და დერნა— ოსმალთა და არაბთა მედგარ იერიშისაგან. იტალიელები იმდენად გაბრაზდნენ არაბთა მოქმედებით, რომ ვინც-კი შეხვდათ არაბი შეიარაღებული თუ უიარაღო, წარმოიდგინეთ, ქალებიცა და ბავშვებიც, საშინელის სისასტიკით დაჰხოცეს, როგორც მათი მოღალატენი. იტალიელთა სასტიკემ იმამდე მიაღწია, რომ სამხედრო კორესპონდენტები ზოგიერთ ინგლისის გაზეთებისა, აღელვებულნი მათი შემზარავ მოქმედებით უბრუნებდნენ თავის კორესპონდენტების ბილეთებსა და სტოვებდნენ იტალიელთა ჯარებს. იტალიელების მიერ წარმოდგენილი სამხედრო გასეირნება ტრიპოლისში ძლერ მძიმე და ხანგრძლივ ომად გადიქცა. ეხლა, როგორც გაზეთები იწყებენ, იტალიის ჯარის უფროს, გენ. კანევას, განუცხადებია ამ ზამთარში მოვემზადებით და მხოლოდ გაზაფხულს დავიწყებთ გალაშქრებას ტრიპოლის შუაგულ ნაწილში. იტალიის მთავრობა სრულიად არ მოელოდა ასეთ ამბავს და ამის გამო ისეთი საქციელი ჩაიდინა რომელიც მთელი ევროპა გააკვირვა. იმ იმედით, რომ მისი მოკავშირეები, გერმანია და ავსტრო-უნგრეთი, აიძულებდენ ოსმალეთს საჩქაროდ მოლაპარაკების დაწყებას და ტრიპოლის დაათმობიებდნენ იტალიისათვის, აიღო და ტრიპოლისის ანნექსია (შეერთება) გამოაცხადა. ასეთი გამოცხადება იტალიისა თავის თავად ძლიერ ახირებული იყო. შეიძლება ანნექსია გამოაცხადოს სახელმწიფოს ისეთი ქვეყნისა, რომელიც უკვე დაპერილია მისი ჯარებით. ტრიპოლისში-კი, გარდა სამი ქალაქისა—ტრიპოლი, ბენჰაზი და დერნასი,—იტალიის ჯარებს ერთი ადგილიც ვერ დაუჭერიათ. პირიქით, ამ სამ ქალაქში დაც იძულებულნი არიან დიდის გაჭირვებით ებრძოლონ ოსმალთა ჯარს და არაბთა რაზმებს, ასეთ შემთხვევაში ანნექსიის გამოცხადება სასაცილო მდგომარეობაში აყენებდა იტალიას ანა მის მთავრობას, რომლის შესახებაც ერთ-ერთმა გერმანელმა გაზეთმა მართლიანად შენიშნა, რომ იტალიის სახელმწიფო მოღვაწეებმა, რომელთაც უკვე იტალიის საკუთრებად გამოაცხადეს ტრიპოლისი, გაამრეს თავის ჯარებს, რომელნიც ზღვისპირიდან 5 კილომეტრს ვერ გადორეგიან ჯერაო; მართლაც ანნექსიის გამოცხადებით ცუდ მდგომარეობაში ჩაიყენა თავი იტალიამ. მას ეგონა მისი მოკავშირეები გერმანია და ავსტრო-უნგრეთი, დაეხმარებოდნენ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. ამ სახელმწიფოებმა სამართლიანად შენიშნეს იტალიას რომ მათ ნეიტრალიტეტი გამოაცხადეს და, მაშასადამე, არ შეუძლიანთ ძალა დაატანონ ოსმალეთს დაუთმოს იტალიას ისეთი ქვეყანა, რომელიც ჯერ იტალიის ჯარებს არ დაუფლიათ. იტალიაში ძლიერ აღელვებულნი არიან თავის მოკავშირეთა წინააღმდეგ, მაგრამ ეს საქმეს არ შველის.

განსაკუთრებით ცუდი თვალით უყურებენ ერთმანერთს იტალია და ავსტრო - ჰუნგრეთი. უკანასკნელი ძლიერ აღელვებული იყო იტალიის მიერ ტრიპოლისის დაპერით და უფრო მეტად-კი მით, რომ ეშინიან, ვაი თუ იტალიამ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გადაიტანოს ომი და როდესაც იქ საქმე აირევა, წყალი აიმღვრევა, რომელიმე ნაწილი დაისაკუთროს. ეს, რა თქმა უნდა, ავსტრიისათვის სრულიად ხელსაყრელი არ არის. და აი სწორეთ ამიტომ, მიუხედავად ოფიციალურ კავშირისა იტალია-ავსტრიის შორის, ავსტრიამ სასტიკად მოითხოვა ევროპამი და ადრიადიკის ზღვაში ომი არ იქნეს გადატანილი და ამით, რა თქმა უნდა, ხელი შეუბოჭა თავის მოკავშირეს. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: ავსტრიის სამხედრო შტაბის უფროსმა ჯარები იტალიის საზღვრებთან მოაგროვა და თუმცა ოფიციალურად ესეთი თავის საქციელი მხოლოდ შემთხვევით აღსნა, მაგრამ ნამდვილად-კი ეს იტალიის საწინააღმდეგოდ იყო მომართული. იტალიის დიპლომატიამ თავისი აღშფოთება გამოსთქვა ამის შესახებ და სამხედრო შტაბის უფროსიც, ავსტრიის საგარეო პოლიტიკის მინისტრის ცნობილ გრაფ ერენტალის გავლენით, რომელიც ამ ჟამად იტალიასთან მშვიდობიან განწყობილების მომხრეა, იძულებული იყო სამსახურიდან გამოსულიყო. მაგრამ ყველა ამას დიდი სიმპტომატიური მნიშვნელობა აქვს. ერთი რამ კი ცხადი არის, სამთა კავშირის ვადა რომ გათავდება--იტალია ამ კავშირს ალბათ თავს დაანებებს; ძლიერ არა ბუნებრივი შეიქნა ავშირი იტალიისა და ავსტრიის შორის.

—

როდესაც ოსმალეთს იტალიასთან შეტაკება მოუვდა და არსაიდან მომხრე ვერ იპოვა, თვით ოსმალთა შორის დაიბადა აზრი შესახებ ბალკანეთის სახელმწიფოთა ფედერაციისა. ამ აზრს პასაში ბევრი მომხრე აღმოუჩნდა, ევრმა წარმოიდგინა, თითქოს ეს ფედერაცია შესაძლებელი იყოს ეს ირობებში, რომელშიაც დღეს ბალკანეთის სახელმწიფონი არიან. უპირველესი პრინციპი ფედერაციისა არის თანასწორ უფლებიანობა ფედერაციის ყველა შემადგენელ ელემენტებისა თვით ფედერაციაში. საჭიროა, რომ ყველა შემადგენელი ნაწილი ფედერაციისა იყოს ერთგვარი თვისი პოლიტიკურ ეროვნულ შემადგენელობით, რომ ერთ ნაწილს ფედერაციისას მეორე ნაწილში თავისი ეროვნული და პოლიტიკური ინტერესები არა ჰქონდეს. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე კარც ერთ ერს ადგილი არა აქვს. სამარისი იყო ყოველ არა ფანტაზორ პოლიტიკას გახსენებოდა მარო ერთი მაედონია, რომ სრულიად უარ ეყო ეხლანდელ პირობებში საშუალება ეა შესაძლებლობა ბალკანეთის ფედერაციისა. მაკედონია სწორედ ის ნაწილია ოსმალეთისა, სადაც სროვრობენ ოსმალონი, ბერძნები, ბოლგარელნი და სერბიელნი. ბერძნეთიც, ბოლგარიაც და სერბიც მუშტრის თვალით უცქერიან ქვეყანას. ოსმალეთი ხომ მისი პატრონია. მაშ როგორ შეიძლებოდა, ვიდრე მაკედონიის საკითხი ეროვნულად არ გადასწყდება, ვიდრე მაკედონიაში ყველა მცხოვრებ ტებს საკუთარი ავტონომიები არ ეებათ,—ბალკანეთის ფედერაციაა. მეუძლებელი იყო ესა და სწორედ ეკანასკნელმა ამბებმა ნათლად დაანახვეს ეს შეუძლებლობა. მაკედონიაში მაკედონელ ბოლგართა რაზმებმა ალა-იქ მოქმედება დაიწყეს ოსმალეთის წინააღმდეგ, ვინაიდან უკმაყოფილონი არიან ახალგაზრდა ოსმალთა ტენდენციით. ამას მოჰყვა იმალთა მიერ ბოლგარიელთა ამოხოვა ზოგიერთ ადგილას და ამ მოძრაობას ბოლგარელთა წინააღმდეგ ეესაძლებელია კიდევ უფრო სერიოული ხასიათი მიეღო, რომ ოსმალეთის მთავრობას სასტიკი ზომები არ მიეღო და არ მოესპო ამგვარი მოძრაობა. ბოლგარეთი შორიდან უცქერის მაკედონიის ამბებს და ამავეროს, როგორც ზოგიერთი გაზეთი ირწმუნებიან, ოსმალეთის საზღვებზე ჯარებს აძლიერებს.

მომავალი წელ გვიჩვენებს, თუ რით გათავდება ქმე. ადვილი შესაძლებელია ომარ მოხდეს ევროპის დიდ სახელმწიფოთა ზეგავლენით, რომელთაც მსოლიო ომის ეშინიანთ, მაგრამ ეხა-კი ყველასათვის აშკარა უნდა ვეს, რომ ბალკანეთის ფედერაცი ეხლანდელ პირობებში—აუსრულებელი რამ არის და შეუძლებელი.

—

ოსმალეთი მეზობელი სახელმწიფოც, სპრსეთიც, არ უნდა იყვეს კმაყოფილი განული წლითა. მიუხედავად ევოლიუციის გამარჯვებისა და კონსტიტუციონურ მართველობის დყარებისა, სპარსეთში საქმეები არ ოეწყო ჯეროვანად და ეს არც ისეასაკვირია, თუკი მივიღებთ მხედველობაში, რა მდგომარეობაში იო ეს სახელმწიფო ასი წლის განვლობაში და როგორ კულტურულ საფეხურზე სდგას იგი ამის გამო. ა თქმა უნდა, სრული მოწესრიგებ საქმეებისა სპარსეთისათვის ძნელ იყო, მაგრამ მდგომარეობა მაც უკეთესდებოდა და სპარსეიაძლიერ ნელის ნაბიჯით, მაგრამ მაც მიდიოდა წინ. სწორედ ამ ოს ყოფილი შაჰი, მაჰმედ-ალი, ჩუმად შევიდა ჩრ.დილოეთ სპარსეთის საზღვრებში, მიიმხრო აქ თურ ენები და თეირანისაკენ გაილაშქრა მ განზრახვით, რომ გაბატონებუიყო კვლავ და ძირიანფესვიანა მოესპო კონსტიტუციონური მითვეობა. როგორ გაიპარა მაჰმედ-ალი გერმანიიდან, როგორ გაარა მთელი რუსეთი შეუმჩნევლადდა ეხმარებოდა მას რომელიმე სელმწიფო მის მიერ დაწყებულ ანტიურაში, დღეს-დღეობით არ არს სავსებით გამორკვეული. ფაქტიკი ფაქტად რჩება, რომ მისმა სპრსეთში ჩასვლამდი განსაცდელშ ჩააყენა ეხლანდელი მთავრობა, საბედნიერიდ მაჰმედ-ალის უმთავესი მომხრეები დამარცხებულ იქმნ და ყოველ ეუვს გარეშე შეიქნა, რომ მისი საქმე წაგებული შეიქნ. მაგრამ სწორედ ამ დროს მოხდ ისეთი რამ, რამაც შეიძლება სპარსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი ცვლილება შეიტანეს და მოსალოდნელიც არის, რომ მისი დანაწილებით გათავდეს. შედარებით სულ უბრალო უთანხმოების გამო, რომელიც თეირანის რუსეთის კონსულს მოუვიდა სპარსეთის საფინანსო ნაწილის გამგესთან, ამერიკელ შუსტერთან, რუსეთმა ორი ულტიმატუმი წარუდგინა სპარსეთს და ვინაიდან სპარსების მთავრობამ პასუხი დაგვიანა, რუსეთმა ჯარებიც შეიყვანა სპარსეთში. ამას მოჰყვა სპარსელთა შორის დიდი აღელვება რუსეთის წინააღმდეგ, ალაგ-ალაგ ბოიკოტი რუსეთელ საქონლისაც და ბოლოს, მიუხედავად ყოველგვარ ზომებისა, რომელსაც სპარსეთის მთავრობა ხმაროობდა ხალხის დასამშვიდებლად, თავრიზში სპარსელ რევოლიუციონერთა ფიდაების რაზმი თავს დაესხა იქ მ ეგარ რუსის ჯარს და დიდი ზარალი მიაყენა მას. რუსეთმა მრავალი ჯარი შეიყვანა ამას შემდეგ ადერბეიჯანში და სასტიკად დაუწყო დევნა ფიდაებსა და მათ მომხრეთ. ბევრი ფიდაი ჩამოხრჩობილ იქმნა, ბევრი

გაიქცა, მაგრამ მათი სახლები ააფეთქა რუსეთის ჯარებმა. ერთი სიტყვით, რუსეთმა სასტიკად იძია შური სპარსელთა წინააღმდეგ და ამ ჟამად თითქმის მთელი ადერბეიჯანი და ჩრდილოეთი სპარსეთი დაიჭირა, რაც შეეხება სამხრეთ სპარსეთს, იქ ჯარები შეიყვანა ინგლისმა და ამ გვარად ეხლა წარმოყენებული არის საკითხი სპარსეთის მთლიანობის და შესაძლებელია არსებობის შესახებაც. რა თქმა უნდა, ორივე სახელმწიფოსათვის სპარსეთი გემრიელ ლუკმას წარმოადგენს. განსაკუთრებით საინტერესოა რუსეთისთვის ჩრდილოეთი სპარსეთი, სადაც მას დიდი ვაჭრობა აქვს.

ყველა ამას ნათლად წარმოადგენს შემდეგი სიტყვები სპარსეთის სადამოუნო მართველობის მიერ გამოქვეყნებული.

1910 წლის 1 მარტიდან 1911 წლის პირველ მარტამდე სპარსეთში მოუტანიათ საქონელი ღირებული 39 მილ. მან.

აქედან რუსეთის საქონელი ყოფილა—44 მილ. მან, ინგლისისა—39 მილ. მან.

ამავე დროს რუსეთს გამოუტანია სპარსეთიდან 52 ნახევარი მილიონი მანეთის საღირალის საქონელი, სულ კი სპარსეთიდან ყველა სახელმწიფოებს გამოუტანიათ 75 მილ. მანეთის საღირალის საქონელი.

ყველა ეს ნათლად ამტკიცებს, თუ რაოდენად დაინტერესებული არიან ინგლისი და მით უმეტეს რუსეთი სპარსეთით და მისი მდგომარეობით.

ეხლანდელი პოლიტიკური ვითარება ხელს უწყობს მათ. თვით სპარსეთი, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობას ვერ გაუწევს ორ ასეთ მძლავრ სახელმწიფოთ, რომელნიც მოქმედებენ შეთანხმებით.

ოსმალეთს, რომელსაც შეეძლო მედგარი პროტესტი განეცხადებინა, ეხლა სპარსეთისათვის არა სცხელა, მას იტალიასთან ომი არ გაუთავებია, და მასთან ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედაც, მაკედონიაში, ხიფათის ნიშნები სჩანს ეხლა მას არავისთან შეტაკება არ შეუძლიან. საფრანგეთი რუსეთსა და ინგლისსა, თავის მოკავშირეთ, ხელს არ შეუშლის. დარჩა გერმანია, რომელიც, თუმცა გულში კი სწუხს, მაგრამ ცხადად ვერას ამბობს, ცალკე იმიტომ, რომ მარტო არის და მომხრე არა ჰყავს, ცალკეც იმიტომ რომ პოტსდამის შეთანხმების ძალით რუსეთთან შეპირებულია ხელი არ შეუშალოს მას სპარსეთში.

ესეთია სპარსეთის მდგომარეობა. მართალია, რუსეთიცა და ინგლისიც გაიძახიან—ჩვენ არა გვსურს სპარსეთის დამოუკიდებლობის მოსპობაო, —მაგრამ მის საზღვრებში ჯარები შეჰყავთ, დაიჭირეს კიდეც უზარმაზარი პროვინციები და თუმც ამას სპარსეთში მართველობის მოუწყობლობით და უცხოელთა და თავის ქვეშევდომთა მდგომარეობის უზრუნველსაყოფლად ასაბუთებენ, მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივი საბუთი არის ევროპის კულტურულსან სახელმწიფოთა, როდესაც მათა სურთ სადმე გაბატონდნენ და დაფუძვდნენ.

რუსეთი 1911 წელს.

როდესაც გრაფმა ვიტტემ 17 ოქტომბრის მანიფესტის პროექტთან ერთად თავისი უქვეშევრდომილესი მოხსენება წარუდგინა ხელმწიფეს, სხვათა შორის, ერთს ფრიად საყურადღებო გარემოებას გაუსვა ხაზი. ძნელია არა იმდენად ახალი წეს-წყობილების შემოღება, რამდენადაც ამ წეს-წყობილების შეთვისება იმათაგან, ვინც ძველს წეს-წყობილებას ემორჩილებოდაო. ვიტტეს აქ მხედველობაში ჰყავდა ძველს ტრადიციებზე აღზრდილი ბიუროკრატია, რომელიც ძნელად თუ შეეთვისებოდა 17 ოქტომბრის მანიფესტით განახლებულ სახელმწიფოებრივ მექანიზმს. მხედველობაში ჰყავდა ვიტტეს არა იმდენად ცენტრალური ბიუროკრატია, ხელმძღვანელი კანონ-მდებლობისა, და ადმინისტრაციისა, არამედ პროვინციის წვრილი მოხელეობა. ისტორიამ დაგვანახვა, რომ ახალ წეს-წყობილებას ვერ შეეთვისა ვერც ცენტრის ბიუროკრატია და ვერც პროვინციისა, რომელიც სახელმძღვანელო დირექტივებს ცენტრისაგან იღებდა და დღესაც იქიდან იღებს. დღიდან 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცხადებისა სწარმოებს ჩუმი, მაგრამ სისტემატიური ბრძოლა პოლიტიკურ ცხოვრების ძველსა და ახალს ფორმათა შორის.

ეს ბრძოლა იხატებოდა ერთის მხრით რუსეთის ცხოვრების შუაგულში, მეორეს მხრით მის ზედაპირზე—საკანონმდებლო დაწესებულებებში, განსაკუთრებით სახელმწიფო სათათბიროში. თავიდანვე ცხადი შეიქმნა, რომ ახალი ორგანიულად ვერ ეთვისებოდა ძველს. კონსტიტუციონალიზმის პრინციპები ისე, როგორც ეს დასავლეთ ევროპის პრაქტიკამა და მეცნიერებამ შეიმუშავა, ძნელი შესათვისებელი გახდა ბიუროკრატიისთვის. მან საჭიროდ დაინახა შეთანხმება ამ კონსტიტუციონალიზმისა რუსეთის ძველ პოლიტიკურ ფორმებთან. მაგრამ ორგანიული შედუღება ორ, არსებითად შეუერთებელ მომენტისა, შეუძლებელი გახდა, და სწორედ ამ გარემოებამაც დაჰბადა ის უთანხმოება, დაქსაქსულობა, რომელიც წითელი ზოლივით გადის რუსეთის ისტორიაში დღიდან 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცხადებისა.

რუსეთის ბიუროკრატია სცდილობდა ნაცად საშუალებითაც ესარგებლა ძველი ფორმების განმტკიცებისთვის, მაგრამ 17 ოქტომბრის მანიფესტმა მაინც ცოტა სხვანაირი წესები დაამყარა რუსეთში, და იმანაც ისარგებლა ამ წესებით. საჭირო გახდა არა მარტო ცირკულიარები, არამედ განსაზღვრული იდეოლოგიაც. რუსეთის საზოგადოების რადიკალურ აზროვნებას აუცილებლად უნდა დაჰპირისპირებოდა კონსერვატორული აზროვნება, რომელიც სახელმწიფოებრივ წეს-წყობილების ახალს ფორმებში ძველს შინაარს ჩაასხამდა და ამ რიგად ცოტათი მაინც შეასუსტებდა რადიკალიზმს, რომელიც ბიუროკრატიასთან ერთად საზოგადოების განსაზღვრულ ნაწილის მავნებლად მიაჩნდა. ნაციონალიზმი,—აი ის ლოზუნგი, რომლითაც უნდოდა ბიუროკრატიას რუსეთის რადიკალიზმი სრულიად თუ არ მოესპო, უვნებელი მაინც ეყოფადა. ამ ლოზუნგის ტიპიურ წარმომადგენელად უნდა ჩაითვალოს სტოლიპინი. სტოლიპინი საჯაროდ აცხადებდა. რომ მთავრობა არც სახალხო წარმომადგენელთა სურვილების ამსრულებელია და არც ისეთი რამ, რომლის მოვალეობასაც სახელმწიფოს მხოლოდ გარეგნული მართვა-გამგეობა აბარია. მთელი მსოფლ-მხედველობა სტოლიპინისა იმაში გამოიხატებოდა, რომ მთავრობა მარტო რეგულიატორის როლს ვერ იკისრებს. მთავრობას შეიძლება ჰქონდეს და აუცილებლადაც უნდა ჰქონდეს განსაზღვრული იდეალი, რომლის განხორციელებასაც იგი თავისი პრაქტიკული მოქმედებითა სცდილობს. რანაირი უნდა ყოფილიყო, სტოლიპინის აზრით, რუსეთის მთავრობის პოლიტიკური იდეალი? იგი უნდა იყოს ისეთი, რანაირიც თვით მან შეიმუშავა და რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე ემსახურებოდა. იგი იდეალი უნდა იყოს ნაციონალური. თავისი ნაციონალურ იდეალით სტოლიპინი უპირისპირდებოდა რადიკალურ რუსეთს, რომელიც თითქოს სრულიად მოკლებული იყო მას. მაგრამ როგორ უნდა გვესმოდეს ეს ნაციონალური იდეალი? არც რადიკალური რუსეთი იყო მოკლებული ნაციონალურ გრძნობას, ისიც მოსურნე იყოფილა და ეხლაც მოსურნეა რუსეთის განახლებისა, გაძლიერებისა. ერთის შეხედვით თითქოს ამ ნიადაგზე არავითარი კონფლიქტი არ უნდა დაბადებულიყო. კონფლიქტი მოსალოდნელი იყო იქ, სადაც პრაქტიკული საქმიანობა დაიწყებოდა მაშინ რადიკალურ რუსეთის სურვილებს იქნება წაესწრო მთავრობის სურვილებისათვის, რაც წინააღმდეგობას გამოჰხატავდა უკანასკნელის მხრით. მაგრამ კონფლიქტსა ჰბადებს თვით იდეური მხარეც. რადიკალურ რუსეთს, თუ კადეტებსაც რადიკალებად ჩავთვლით, რუსეთი წარმოდგენილი აქვს როგორც მთლიანი, შედუღებული, ორგანიულად დაკავშირებული ნაციონალური ერთეული. თუმცა რუსეთში მრავალი წვრილი ერები მოსახლეობენ, მაგრამ მათი პირადი ინტერესები იმდენად მჭიდროთაა დაკავშირებული რუსეთის საერთო ბედ-იღბალთან, რომ ისინი რუსეთის მთლიანობისთვის არავითარს საფრთხეს არ წარმოადგენენ. პროგრესიულ რუსეთის თვალსაზრისით, რუსეთში დასახლებულ წვრილ ერებს შეუძლიანთ სრულიად თავისუფლად განავითარონ თავიანთი ნაციონალური კულტურა, მაგრამ მაინც რუსეთის იმპერიის განუყოფელ, ორგანიულ ნაწილად დარჩნენ. პატარა ერებს შეუძლიანთ თავიანთის ეროვნულის ცხოვრებით იცხოვრონ, მაგრამ ამასთანავე გაიანაწილონ სრული მოვალეობანი და უფლებანი, რომელთაც რუსეთის იმპერია ყველას ერთნაირად დააკისრებს. ერთის სიტყვით, პატარა ერთა ეროვნულ-კულტურული განვითარება და რუსეთის საერთო განვითარება ერთი მეორის საწინააღმდეგო მომენტები კი არ არის, არამედ განუყრელნი და ორგანიულად დაკავშირებულნი. ასეთს პრინციპიალურს ნიადაგზე სდგას დღეს პროგრესიული რუსეთი. ეს არის სახელმწიფოებრივი პრინციპი. რუსეთის სახელმწიფო ყველა ერთა სახელმწიფოა, და ამიტომ ყველას თანაბრად შეუძლიან მოითხოვოს უფლებანი თავისუფალ განვითარებისა, თუ იკისრებს ყველა იმ მოვალეობას, რომელსაც სახელმწიფო აკისრებს.

სტოლიპინი სულ სხვა ნიადაგზე იდგა. იგი ცენტრში აყენებდა არა რუსეთის სახელმწიფოს, როგორც მრავალ ერთაგან შემდგარს, და, მაშასადამე, ერთნაირად საინტერესოს ყველასთვის, არამედ რუსეთის სახელმწიფოს გაბატონებულ ერს, რომლის ინტერესებსაც ყველა ერთა ინტერესები უნდა შეეწიროს.

ასეთი ლოზუნგით გამოვიდა სამოქმედოთ სტოლიპინი. მას უკვე გამზადებული ნიადაგი დახვდა. საჭირო იყო მხოლოდ ამ ნიადაგზე ნაციონალისტურ პოლიტიკის დანერგვა. სტოლიპინმა დანერგა იგი პოლიტიკა, რომელმაც სათანადო ნაყოფი მოიტანა. ოქტომბრისტთა პარტია, ნაციონალისტები და უკიდურესი მემარჯვენენი ანოყიერებდნენ იმ ნიადაგს, რომელზედაც სტოლიპინი ნაციონალისტურ პოლიტიკის ნერგს ამყნობდა. ეს პოლიტიკა დღითი-დღე ძლიერდებოდა, მაგრდებოდა, და 1911 წლის განმავლობაში განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია.

1911 წელიწადი დაიწყო დასავლეთ გუბერნიებში ერობის კანონ-პროექტის განხილვით სახელმწიფო საბჭოში. ეს კანონ-პროექტი ერთი იმათგანია, რომელშიაც გამოისახა ნაციონალისტური სულის-კვეთება სტოლიპინისა. „მე მისაყვედურებენო,— ამბობს სტოლიპინი საბჭოს წინაშე,—რომ ერობის საკითხში, რომელსაც მხოლოდ ადგილობრივი და სამეურნეო ხასიათი აქვს, პოლიტიკა შეგაქვსო“. იგი ადასტურებს ამას და კიდეც ამართლებს. პოლონელები იქ თავიანთ ნაციონალისტურ პოლიტიკას აწარმოებენ და მეც იძულებული ვარ მათს პოლიტიკას ჩემი ნაციონალისტური პოლიტიკა დავუპირისპიროვო. ამ მიზნის განსახორციელებლად მთავრობა ადგენს სათანადო კანონ-პროექტს, რომლის ძალითაც რუსეთს განსაკუთრებული უპირატესობა ეძლევათ. ნაცვლად ჩვეულებრივ საერობო თვით-მმართველობისა, დასავლეთის გუბერნიებმა მიიღეს ნაციონალისტურ პოლიტიკის წყალობით დასახიჩრებული საერობო თვით-მმართველობა. ყველას ძალიან კარგად მოეხსენება ამ კანონის ბედიღბალი. სახელმწიფო საბჭომ იგი არ მიიღო იმ სახით, რა სახითაც სტოლიპინმა წარადგინა. ამის შემდეგ სტოლიპინმა ძირითად კანონების 87 მუხლის საშუალებას მიჰმართა. საკანონმდებლო დაწესებულებანი სამის დღით დაითხოვა, 87 მუხლი ძალაში შევიდა, და სტოლიპინმაც გაიმარჯვა. მართალია, ამ არა ჩვეულებრივ მოვლენის გამო შეკითხვა შეიტანეს როგორც სათათბირომ, ისე საბჭომ, რომლის თავმოყვარეობაც განსაკუთრებით იყო შელახული; მართალია, არც საბჭო და არც სათათბირო სტოლიპინის განმარტებით არ დაკმაყოფილდა, მაგრამ სტოლიპინიც თავის ადგილას დარჩა და კანონ-პროექტიც ძალაში შევიდა. 1911 წელს ეს პირველი და უმთავრესი გამოხატულება იყო სტოლიპინის ნაციონალისტურ პოლიტიკისა და იდეალისა.

ენკენი თვეში სტოლიპინი მოჰკლეს. იმისი სიკვდილით, როგორც სამართლიანად აღნიშნა მაშინ პრესამ, ნაციონალისტური პოლიტიკა არსებითად არ შეცვლილა. კოკოვცევმა სათათბიროს ტრიბუნიდან საჯაროდ განაცხადა მე თანავუგრძნობ სტოლიპინს პოლიტიკურ იდეალსაო, და კიდეც დაამტკიცა, რომ ეს ასეა. იმ დროს, როდესაც სათათბირო იხილავდა კანონ-პროექტს ფინლანდიას მიერ სამხედრო ბეგრის ნაწილად ფულის გადახდის შესახებ, კოკოვცევმა ვრცლად განავითარა თავისი პოლიტიკური მრწამსი და აკი კიდეც დაიმსახურა რუსის ნაციონალისტთა კმაყოფილება და თანაგრძნობა.

ჯერ ისევ სულ უკანასკნელ ხანებში, როდესაც სათათბიროში პოლონეთის რკინის გზის გაჩისყიდვაზე ლაპარაკობდნენ, კოკოვცევმა კვლავ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ რუს ელემენტთა გაძლიერება იქ, სადაც ასეთი ელემენტი არ არის, მთავრობის საზრუნავს უნდა შეადგენდესო.

მთავრობას ამ პოლიტიკის გაძლიერებაში ხელს უწყობდნენ ოქტომბრისტები, ნაციონალისტები და უკიდურესი მემარჯვენენი. ძნელია ერთს წერილში ჩამოთვლა ყველა იმ წვრილმან საკითხებისა, რომლებშიაც გამოისახა სოლიდარობა სათათბიროს ხელმძღვანელ პარტიასა და უკიდურეს მემარჯვენეთა შორის. ის კი გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ოქტომბრისტთა პარტია თავისი მოქმედებით ყოველთვის ადასტურებდა ისეთს კანონ-პროექტებს, რომელნიც მთლად არა რუსთა წინააღმდეგ ყოფილა მიმართული, მებრძოლი ნაციონალიზმი ოქტომბრისტებისთვისაც უმთავრეს ლოზუნგად გადაიქცა. ყველასათვის ცხადად გამოჩნდა ეს მაშინ, როდესაც ნაციონალისტთა პარტიასა და ოქტომბრისტთა შორის რაღაც ხელ-შეკრულობის მსგავსი დაიდო. ნაციონალისტებმა ოქტომბრისტებმა სულის ნათესაობა დაინახეს ერთმანეთში.

ეს ორი პარტია თავისი მოქმედებით აძლიერებდნენ იმ ნაციონალისტურ პოლიტიკას, რომელსაც მთავრობა ჰქადაგებდა. აქეთკენ გადიხარა ყურადღება პარტიისა, რომელსაც დევიზად დასახული ჰქონდა 17 ოქტომბრის მანიფესტის განხორციელება. მთელი 1911 წელიწადი, მსგავსად წინა წლებისა, იყო დაუსრულებული ბრძოლა ოპოზიციისა სათათბიროს ხელ-მძღვანელ პარტიასა და მემარჯვენეებთან. მაგრამ ამ უკანასკნელთა ხელში იყო უმრავლესობა, და ოპოზიციასაც კრიტიკის მეტი არაფერი დარჩენოდა. ფაქტიურად იგი სათათბიროს მუშაობის მიმართულებაზე ვერავითარ ზედ-გავლენას ვერ ახდენდა.

სწორედ ამიტომ მრავალი კანონ-პროექტი, რომელსაც შეეძლო რუსეთში უფლებრივი წეს-წყობილება დაემყარებინა, ან სულ ვერ გამოიცა, ან ძალიან შებერტყილი გამოვიდა სათათბიროს მუხრუჭებიდან. ასეთია კანონ-პროექტი მუშათა დაზღვევის შესახებ, ერობათა შესახებ, სახალხო განათლების შესახებ და სხვა. მთელი მოღვაწეობა ოქტომბრისტთა პარტიისა გამოისახება დაპირებულ რეფორმათა დავიწყებისა და დამახინჯებაში.

სწორედ ამ დროს კი თვით რუსეთის შუა-გულში საზარელი სურათი იშლება. 1911 წელს რუსეთს ეწვია შიმშილობა, რომელიც ქრონიკულად მეორდება ხოლმე, მაგრამ წელს მაინც განსაკუთრებულის სიძლიერით იფეთქა. სტოლიპინის მოკვლამ გამოაშკარავა მრავალი სუსტი მხარე რუსეთის სახელმწიფოებრივ მექანიზმისა. აუარებელი პროცესები ინტენდანტებისა, და სხვა. ყოველ-დღიური პრესა სავსეა მაგალითებით, რომელნიც ამოწმებენ, რომ რუსეთი მძიმე ავად-მყოფია და ამ ავად-მყოფს კარგი წამლობა უნდა. სოფელი კვლავ ძველებურ უმეცრებასა და უუფლებობაში სცხოვრობს. ჯერაც არ განხორციელებულა ელემენტარული თავისუფლებანი, რომელთა განხორციელებაც 17 ოქტომბრის მანიფესტითაა დაპირებული.

ოქტომბრისტებმა ყოველი ღონისძიება იხმარეს, რომ ეს მანიფესტი გაექარწყლებინათ, მაგრამ იგი მაინც არსებობს და მისი განხორციელება დღეს თუ არა, ხვალ მაინც აუცილებელი გახდება.

მიმდინარე წელიწადს უსათუოდ მეოთხე სათათბიროსთან გვექნება საქმე, და ვნახოთ, ის რაღას მოგვიტანს.

ფრანგეთი 1911 წელს.

1911 წელს ავიაციამ ისეთი ნაბიჯი გადადგა, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან ამ მოვლენას ყურადღება არ მივაქციოთ; ამასთანავე ჩვენ არ შეგვეხებით მისი დღითი დღე განვითარებას და გამარჯვებას, მხოლოდ ავღნიშნავთ ოთხ კონკურსს, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ საუკეთესო ჰაეროპლანები თავიანთ პილოტებით. გაზეთ „დეილ მეილ“-ის მიერ გამართულ პირველ კონკურსში 13 აპრილს 1911 წლისა პარიზიდან-ლონდონამდე, გაიმარჯვა პოლამმა თავისივე აპარატით, რომელსაც უწოდებენ M-ის ტიპის მანქანას. ამ ჰაეროპლანის დამახასიათებელი ნიშნები შემდეგია: ზედაპირი უდრის 44 კვადრატულ მეტრს, სიმძიმე—395 კილოგრამს, სიგძე—9 მეტრს. მატორად ამ ჰაეროპლანს აქვს შვიდ-ცილინდრიანი „გნომი“-ს მატორი 50 ძალისა და ერთი ელისი, რომლის დიამეტრი უდრის 1,40 მეტრს. მეორე კონკურსში პარიზიდან მადრიდამდე 21-25 მაისში გაიმარჯვა ვედრინმა მონოპლან მორანით; მორანი ძლიერ კოხტა მონოპლანია, მისი სიგძე უდრის 6,70 მეტრს. ზედაპირი 17,50 კვადრატიული მეტრი აქვს და იწონის მხოლოდ 200 კილოგრამს; ერთის სიტყვით, მორანი უფრო მჩატეა, ვიდრე ბლერიო და ნეოპორი. მესამე გაჯიბრებაში, რომელიც „ლე პტი ჟურნალ“-მა გამართა პარიზიდან-ნიცამდე და ნიციდან რომამდე 28-31 მაისში გაიმარჯვა ბომონმა ბლერიოს მონოპლანით. ეს აეროპლანი მე 21-ა ბლერიოს მიერ გაკეთებულ ჰაეროპლანიდან; მისი დამახასიათებელი ნიშნები შემდეგია: სიგძე 8,60 მეტრი, ზედაპირი 25 კვადრატული მეტრი, მატორად აქვს გნომის მატორი. რაც შეეხება ევროპიულ-საერთაშორისო ფრენას, აქ ჩვენ არ შეგვიძლიან დანამდვილებით ვთქვათ, რომელმა სისტემამ გაიმარჯვა, რადგანაც 42 ჰაეროპლანებიდან, რომლებსაც უნდა შეესრულებინათ შემდეგი ფრენა: პარიზიდან ლიეჟამდე, ლიეჟიდან-სპამდე სპადან-ლიეჟამდე, ლიეჟიდან-ტრეხამდე, ტრეხიდან-კალემდე, კალედან-ლონდონამდე, ლონდონიდან-კალემდე და კალედან-პარიზამდე, 11 მათგანი ერთი მეორეს ეჯიბრებოდა; ხან ერთი იმარჯვებდა, ხან მეორე, ხან მესამე, მაგრამ როდესაც კალედან-პარიზამდე უკანასკნელი გაფრენა დარჩათ, მაშინ კი რიგ რიგათ თითო ორსამ წუთში მხოლოდ, გასცილდნენ ერთი მეორეს; აქ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ იმ მოვლენას, რომ 42 ჰაეროპლანებიდან 15 იყო ფრანგული ტიპის ჰაეროპლანი და მხოლოდ 11 მათგანმა მიიღო ჯილდო, ე. ი. მთელი ის 515,000 ფრანკი მხოლოდ ფრანგის აპარატებმა და პილოტებმა გაინაწილეს. ასე რომ ევროპიული საერთაშორისო გაჯიბრება დასრულდა არა რომელიმე კერძო სისტემის გამარჯვებით, არამედ ფრანგულ სისტემის გამარჯვებით ინგლისურ, გერმანულ და ბელგიურ სისტემაზე. დღეს კი სწორედ ეს 11 ჰაეროპლანები სასტიკ მეტოქეობას უწევენ ერთი მეორეს, შოგვყავს ამ ჰაეროპლანების სახელები: ბიპლანი პოლამი, მონოპლანი ბლერიო № 21. ფარმანის სამხედრო ბიპლანი, მონოპლანი სომერი, ორმაგი მონოპლანი ბრევე, მონოპლანი დეპერდუსენი, მონოპლანი ნეოპორი, მონოპლანი ტრენი, ბიპლანი უაზანი, მონოპლანი რეპი ანუ ესნოლ პელტერის ჰაეროპლანი, მონოპლანი ანტუანეტი. ყურადღების ღირსია კიდევ ფარმანის ახალი მონოპლანი, რომლის მოტორი დაფარულია ლითონის ყდით; ჩვენის აზრით ეს ჰაეროპლანი დიდ კონკურენციას გაუწევს 1912 წელს ზემოჩამოთვლილ აპარატებს.

თანამედროვე ავიაციაში არსებობს სამნაირი რეკორდი, სამნაირი მაქსიმუმი. ფრენის სიშორე, სიმაღლე და სიჩქარე. შორს ფრენის რეკორდი ძირითადი პრობლემაა ავიაციაში, რადგანაც ერთის მხრივ ის არის დამახასიათებელი მოტორის რეგულიარიზაციის და მეორეს მხრივ კი თვით ჰაეროპლანის სიძლიერისა, 1908 წლიდან, ე. ი. რაიტის ჩამოსვლიდან პარიზში იწყება ნამდვილი პრაქტიკული ავიაცია. შორს-ფრენის რეკორდი იყო 1 4 კილომეტრი და 700 მეტრი, რომელიც რაიტს ეკუთნოდა. 1909 წლის ბოლოში კი ფარმანი იღებს შორს ფრენის რეკორდს ე. ი. 232 კილომ. და 212 მეტ. 1910 წელს ტაბუტო გაფრინდა 584 კილომეტრი და 35 მეტრი. 1911 წელში ფურნი გაფრინდა 722 კილომეტრი და 953 მეტრი და გასულ 24 დეკემბერს ახალის სტილით გომე გაფრინდა 740 კილომეტრი ნეოპორის ჰაეროპლანით; ეტყვს გარეშეა, რომ ახლო მომავალში გაფრინდებიან კიდევ მეტს. ეს უკანასკნელი ციფრი საკმარისად მიმაჩნია, რომ მკითხველმა დანახოს ავიაციის განვითარება. თუ არა და რა მანქანით შეუძლიან ადამიანს შეუსვენებლად და შეუჩერებლად გასვლა 740 კილომეტრის; თანამედროვე ტეხნიკამ ჯერ-ჯერობით არაფერი იცის გარდა ჰაეროპლანისა. გადავიდეთ ეხლა სიმაღლეზე: 1908 წ. რაიტი 110 მეტრის სიმაღლეზე აფრინდა და 1909 ლატამი 410 მეტრი; შემდეგ 1910-ს ლეგანიო 3,100 მეტრი აფრინდა და 1911-ში გაროსი 3,910 მეტრის სიმაღლეზე აფრინდა, მაშინ როდესაც პრევო ორადგილიან ჰაეროპლანით 3000 მეტრი აფრინდა. რაც შეეხება ჰაეროპლანის სიჩქარეს, იქაც ჩვენ იმავე პროგრესს ვხედავთ: 1908 წელს ჰაეროპლანის სიჩქარე საათში 70 კილომეტრის უდრიდა, 1909-ში 90 კილომეტრს, 1910 ში კი 120 კილომეტრს საათში და 1911-ში ჰაეროპლანის სიჩქარე უდრის 150 კილომეტრს საათში. ნუ თუ ყველა ამის შემდეგ ავიაცია მხოლოდ სპორტია? მე მგონია, მკითხველი დ

თანხმება, რომ თუ გინდ **რომ სპორტიც** იყოს, მაინც ძლიერ **პრაქტიკულია**, მაშასადამე, დიდად **გამოსაყენებელი** მეცნიერებაა. 1911 წლით თავდება ეპოქა შორს-ფრენისა, ეპოქა ჩქარი-ფრენისა და ეპოქა მაღალი ფრენისა. თუ დღემდე ავიაციის დევიზი იყო „უფრო მაღლა, უფრო შორს", ეს დევიზი კარგავს თავის მნიშვნელობას 1911 წელთან ერთად, რადგანაც, ვიმეორებთ. კიდევ, რომ ავიაციამ შეძლებისადა ვარად უკვე მიაღწია ამას. 1912 წლიდან ჩვენ გვგონია ავიაცია შემდეგ დევიზს დაისახავს:

„მეტი გარანტია ადამიანის სიცოცხლის და **უ**ბედურ შემთხვევების თავიდან აცდენა".

ე. ალშიბაია.

ტფილისი, 1 იანვარი

ახალი წელიწადი- ახალ წელიწადში გადალიწადი- ვდგით ფეხი. რას მოგვიტანს იგი, ძნელი გამოსაცნობია; მაგრამ სასურველი კია, რომ იგი ისეთივე უნაყოფო და უშინაარსო არ იყოს, რანაირიც წარსული წელიწადი იყო. წარსულ წელიწადს განსაკუთრებულის სიძლიერით დაეტყო ის დაქსაქსულობა, ინტელიგენციის აზრის უმიზნო ხეტიალი, რომელიც ცოტად თუ ბევრად ყოველთვის ემჩნეოდა ხოლმე მას. პოლიტიკურმა რეაქციამ გამოიწვია სულიერ განწყობილების რეაქციაც. საზოგადოებას დაეტყო აპატია და გულგრილობა იმ იდეალებსა და პრინციპებისადმი, რომლითაც აღფრთოვანებული იყო. უმიზნო, უპრინციპო სულიერმა განწყობილებამ დაჰბადა უმიზნო და უპრინციპო მოქმედება. ქართველი ინტელიგენცია ჩაიფლო წვრილმან საქმეებში, არა იმ პატარა, მაგრამ სასარგებლო საქმეებში, რომელნიც საფუძვლად ედება საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებას, არამედ უმნიშვნელო და ხშირად ვიწრო ჯგუფობრივ ინტერესებზე აღმოცენებულ საქმეებში. საერთო გატაცების ნაცვლად ხელში გვრჩებოდა პირად თავ-მოყვარეობაზე აღმოცენებული აღშფოთება, ფართო საზოგადოებრივ საკითხების ადგილს იჭერდა წვრილმანი საკითხები, რომელნიც, სწორედ ამ უპრინციპობის წყალობით, ღრმა მნიშვნელოვან პრინციპიალურ საკითხად ეჩვენებოდა საზოგადოებას. იდეალები დაიჩრდილა, პრაქტიკულ მოქმედებას წინ არ უძღვია ამ იდეალით გაშუქებული წრფელი სურვილი.

მიდუნდა საზოგადოებრივ ცხოვრების მაჯის ცემა, დაეკარგა თავისი წინანდებული გულ-წრფელობა. 1911 წელიწადი მრავალს მაგალითს გვაძლევს ამისას. მაგრამ ეხლა საითითოდ აღარ ჩამოვ ვიღეთ. თავის დროზე ჩვენ ყოველთვის აღვნიშნავდით ხოლმე ყოველ ს ასეთს მოვლენას. დღეს, ახალი წელიწადის პირველ დღეს, გვსურს ცოტა ხნით მაინც დავივიწყოთ მახინჯი გამოხატულება ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრებისა და იმედს გამოვთქვამთ, რომ ახალი წელიწადი ახალს სულიერს განწყობილებას მოგვიტანს.

ძნელია მოქმედება ისეთ საზოგადოებაში, რომელსაც დაუკარგავს რწმენა მომავლისადმი, დაუკარგავს ახალ-გაზდური გატაცება და უნარი აღფრთოვანებულ მოქმედებისა, უიმედობა სიკვდილის წინა-მორბედია. ერთს წერტილზე გაყინვასა ნიშნავს ისეთი მოქმედება, რომელსაც წინ არ უძღვის რწმენა, რომ „აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია".

ამისთანა რწმენას სასწაულები მოუხდენია. ამიტომ ჩვენც ვუსურვებთ ჩვენს მკითხველს, სიხარულით, სრულის იმედით მიეგებოს ახალს წელიწადს და დარწმუნებული იყოს, რომ გულში ღრმად ჩანერგული იმედი სასწაულს თუ არ მოახდენს, ძალას მაინც გაუორკეცებს ნაყოფიერ, სასარგებლო ლმუშაობისთვის.

იმედი საფუძველია ძალთა გაძლიერებისა, და ჩვენც ამ იმედით მივეგებოთ ახალს წელიწადს..

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

გაზეთ „ს. პეტერბურგსკია ვედომოსტში" მოთავსებულია ბ-ნ ფილკოვიჩის წერილი, რომელიც კავკასიის უნივერსიტეტის დაარსებას ეხება. ავტორი წინააღმდეგია ტფილისში უნივერსიტეტის დაარსებისა და უპირატესობას კავკაზს აძლევს, იგი ჰავის მხრით ტფილისს სჯობიაო. ბ-ნი ფილკოვიჩი იმასაც ამბობს, რომ სამოსწავლო ოლქისა და მთლად კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაციაც კავკაზს უნდა გადავიტანოთო, რადგან, მისის აზრით

ტფილისი თავის დღეში კავკასიის დედა-ქალაქად არა ყოფილა: იგი მხოლოდ საქართველოს სამეფოს დედა-ქალაქი იყო; მარტოოდენ ქართველთა მთავრობის საქმეა ტფილისის კავკაზეგა კავკასიის დედა-ქალაქად, ვინაიდან იგი ყოველთვის სცდილობდა კავკასიის საადმინისტრაციო დაწესებულებანი ტფილისში მოეგროვებინა. ტფილისიდან მთელის მმართველობის კავკაზში კავატანა ისევე ადვილია, როგორც, მაგალითად, ინდოეთის სარეზიდენციო ქალაქად, კალკუტის მაგივრად დელის გამოცხადება. თუ საჭიროა, დაე ტფილისი ბირველ ხარისხოვან სიმაგრედ კავაქციონ, მაგრამ აუცილებელი კია კავკასიის მმართველობის კავკაზში კავატანა, არა მარტო კავკასიისა, არამედ მთლად რუსეთის საკეთილდღეო საქმეაო.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ნ. ლოლობერიძის გარდაცვალების გამო.** რადგანაც ქუთაისიდან დეპეშით ითხოვს, ნიკო ლოლობერიძის დასაფლავება ერთის დღით გადაიდოს, ამიტომ დაკრძალვა მოხდება, ორშაბათის მაგივრად, სამშაბათს, 3 იანვარსა.

✦ **ქალაქის საბჭოს** მომავალი კრება 2 იანვარს მოხდება. საბჭო, სხვათაშორის, პრ. სივერსის მოხსენებას მოისმენს ქალაქის ბუჰგალტერიის რეორგანიზაციის თაობაზე და სხვა და სხვა კომისიის წევრებს აირჩევს.

✦ **კახეთის რკინის გზა.** 2 იანვარს ქალაქის საბჭო განიხილავს საკითხს იმის შესახებ, რა ფასში დაუთმოს კახეთის რკინის გზას ავლაბრის საქალაქო ადგილი საქონლის სადგურისათვის.

✦ **დახმარება.** როგორც გადმოგვცეს, თავად-აზნაურობა 100,000 მან. აძლევს „კახეთის" საზოგადოებას წარმოებას გასაფართოებლად.

✦ **არხიმანდრიტი ანტონი,** რომელიც გორის ეპისკოპოსად დაინიშნა, პეტერბურგს 2 იანვარს მიემგზავრება, სადაც ეპისკოპოსად აკურთხებენ.

✦ **იურიდიული კურსები.** ტფილისში განზრახულია იურიდიული კურსების დაარსება, სადაც მსურველთ პრაქტიკულ ცოდნის შეძენა შეეძლებათ.

✦ **ქალაქის ინჟენერი ი. კოვნოვიცკი** პეტერბურგიდან დაბრუნდა.

✦ **ტრამვაის დირექტორი ა. ბელოი** სამსახურის საქმეთა გამო ტფილისიდან წავიდა.

✦ გუშინ ყველა დაწესებულებაში მუშაობა შუადღისას, 12 საათზე, დასრულდა.

✦ **მართლ-მადიდებელთა სარწმუნოების მიღება.** უმაღლეს საასულიერო მთავრობის ნებართვით გუშინ საგუბერნიო საპყრობილის მღვდელმა მიხ. დევიძემ მართლმადიდებლურად მონათლა მაჰმადიანთა სარწმუნოების პატიმარი ქალი ლიზა ასანოვ აბდულ-კიზი, რომელსაც სახელად თამარა დაარქვეს. ნათლიად კნეინა ნინო გაბრიელის ასული მუხრანსკისა იყო.

✦ **სომხურ სამოსწავლო ფონდის** სასარგებლოდ დღემდე 67,889 მან. 38 კ. იქმნა შეკრებილი.

✦ **ამხანაგობა „ირაკლია".** საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებულ ჩვენ თანამემამულე ქიმიკოსის ი. დ. ფორაქაშვილის თაოსნობით კახეთში სდგება ამხანაგობა — „ირაკლიის" ფირმით. ამხანაგობის მიზანია—კახური ღვინიდან „შამპანიურის" გამოხდა. ბ-ნ ფორაქაშვილს საცდელად უკვე გამოუხდია ნიმუშები, რომელიც საუცხოვო ღირსებისა გამოსულა.

✦ **შტატები სასინოდო კონტორისა.** ქართლ-კახეთის სასინოდო კონტორამ შუამდგომლობა აღძრა უწმ. სინოდის წინაშე ამ კანტორაში ძოსამსახურეთა შტატების რეორგანიზაციის შესახებ. რეორგანიზაცია იხატება ჯამაგირების მომატებაში დაბალ ძოხელეთათვის.—უსახსრობისა გამო არ დაუმტკიცებია.

✦ გამოვიდა **ეურნალ „კოოპერაციის" საახალწლო ნომერი** შემდეგის შინაარსით: 1) ახალი წელიწადი და კოოპერაცია,—გ. გ—ძისა და 2) ახალი წელიწადი და ახალი იმედები,—ი. გ—სი; 2) ფერდინანდ ლასსალი, ბიოგრაფია სურათით; 3) ორიოდე სიტყვა სახალხო ბანკზე; 4) წერილი ლონდონიდან: საერთაშორისო კოოპერატიული კავშირი, დ. ღამბაშიძისა; 5) მუნიციპალური ცხოვრება: „ქალაქი და ხალხი" (ტფილისის არჩევნების გამო),—თ. ღონიერისა; 6) კოოპერაცია და თეატრი; 7) წერილები წვრილი კრედიტის დაწესებულებათა ცხოვრებიდან,—თ-დ ზ. მიქელაძისა; 8) ქუთაისის გუბერნიის საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობების კავშირი (წესდება); 9) საკოოპერაციო კურსები; 10) დედა-კაცი და კოოპერაცია, ვ. ტოტომიანისა; 11) მიმდინარე ცხოვრება; 12) კოოპერაცია ჩვენში და სხვა და სხვა სურათებიანი დამატება (11 სურათით).

ეურნალი ეგზავნება მხოლოდ ხელის მომწერლებს. რედაქცია სთხოვს ყველას, ვისაც ჰსურს კოოპერ. ცხოვრებაზე თვალ-ყურის დევნება—დროზე გამოიწეროს ეურნალი.

ქუთაისი.

✦ 10 იანვარს საეპარქიო კანცელარიაში **იჯარით გაიცემა** საკათედრო ტაძრის გალავნის გაკეთება.

✦ 4 იანვარს ქალაქის თეატრში **შობის ხე** იქნება მოწყობილი ღარიბ ბავშთა სამზრუნველო საზოგადოებისგან.

✦ ქალაქის გამგეობის წევრი **კ. დ. ბაქრაძე** საზღვარ-გარედ ერთი თვის ვადით საექიმოდ გაემგზავრა.

✦ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრესმა სამართველომ **შეუძლებლად სცნო** დააკმაყოფილოს ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ქალაქის წყალ-გადმა ნაწილში ამ ჟამად გახსნას ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, რადგანაც ამისათვის საჭირო თანხა არ არის გადადებულია. ხსენებული განყოფილების გახსნა შესაძლებელია მხოლოდ 1918 წელშია.

✦ გუშინ **საქალაქო საქმეთა საკრებულოში** გაირჩა სოხუმის ქალაქის საბჭოს დადგენილება 40 დესეტინა ტყის მოკრისა და გაყიდვისა და ქუთაისის ქალაქის საბჭოს დადგენილება ქალაქის თვითმმართველობაში ნამყოფ მოსამსახურე პირთა ერთ დროულ დახმარებისა და სხვა არა სავალდებულო ხარჯების გაწერის თაობაზე.

✦ 27 დეკემბერს მოხდა კრება **წ. კ. საზ. ქუთაისის** განყოფილების გამგეობისა, რომელზედაც დაადგინეს: 1) გაეგზავნოს მთავარ გამგეობას 20% 1910 წ. შემოსავლისა. 2) ეთხოვოს **„ნაკადულის"** რედაქციას, გამოგზავნოს 10 ცალი 1912 წ. ეურნალისა განყოფილების სამკითხველო-ბიბლიოთეკისათვის. 3) ეცნობოს ყველა მასწავლებელს, რომელთაც ამათგან მიუღიათ ეურნალები და საყმაწვილო წიგნები,—მიიღეს თუ არა და ახლა რა წიგნი ესაჭიროებათ და სხვა. 4) გამოიწეროონ ათი ცალი ეურნ. „ჯეჯილი". შემდეგ კრებამ მოისმინა ი. კვიცარიძისა და ს. ყიფიანის მოხსენება სხვა და სხვა საკითხველოების მიმოხილვისა. მომავალი კრება გამგეობისა 9 იანვარს მოხდება.

✦ 22 იანვარს განზრახულია მოიწვიონ **წ. კ. ბ. ქუთაისის განყოფილების** წევრთა საზოგადო კრება.

✦ **ი. ზარდალიშვილის** საბენეფისოდ 8 იანვარს დანიშნულია **„კინი"**. ეს პიესა რვა წელიწადზე მეტია, რაც ქუთაისის სცენაზე არ დადგმულა.

✦ 5 იანვარს ქალაქის თეატრში გაიმართება სალიტერატურო **გასამართლება ნ. შიუკაშვილის** პიესის —„სიმახინჯის" გმირის საბასი.

(„კოლ.").

პროვინცია

✦ **ს. საყულია** (ქუთ. გუბერნია). როგორც ვწერდით, 12 დეკემბერს თ. გერსამიას ზვანები დაუწყვეს. დამნაშავე ვერ აღმოაჩინეს. ის ცნობა, ვითომც ზვანები ალექსანდრე თევზაძეს დაეწვას და დანაშაულშიაც გამოტეხილიყოს, სიმართლეს მოკლებული აღმოჩნდა.

შეცდომის გასწორება

ბ. იმერლის გუშინდელ წერილში **ჯერ ცოდნა** შეცდომილებაა.

სწერია	უნდა იყვეს
მეთერთმეტე	მეთვრამეტე
თავიდგანვე	თავითგანვე
აზრიანს და საპოლიტიკოს)	აზრიანს და საპოეტიკოს,
გვავდებს	გვავალებს
შერყეულ პოლიტიკის	შერყეული პოლიტიკის
ესევე ვარჩიე დუმილსა	ესევ ვარჩიე დუმილსა
წაწყმდომ ყოველი	წაწყმდომ ყოველი
მცონარი	მცონარი
დასცა და დაანელა	დაავსო და დაანელა
ერთს დიდაკის	ერთი დიდაკის
ბერძნულ ფილოსოფიურ	ბერძნული ფილოსოფიური
გ. ი. გველესიანი	გ. ი. გველესიანის
ი. ს. გოგგაშვილი	ი. ს. გოგგაშვილის
ღადდობენ და მოიწოდებენ	ღადდი და მოწოდება
მდიდარ	მდიდარი
განვითარებულ	განვითარებული
ხელოვან მწერლისა	ხელოვანი მწერლი

დდევანდელ № მეხუთე გვერდზე დაბეჭდილია **უმხოეთი** უნდა იყოს უცხოეთი.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ჩხიკვაძის ლექსში შეცდომითაა დაბეჭდილი ბოლოდან მეორე სტრიქონში:

„ისევ ამაყ **სევდით** ვიწყე" და სხვა—**უნდა იყოს „ხედვით"**.

გოზინაყის მაგიერ

მთელი ქვეყნის თაფლი რომ სა ქართველოს მთაგრეხილებით შემოგრაგნილ ქვაბში აადუღოთ, „კოლხიდი"-ს ნიგვზით შეაზავოთ და „თემი"-ს რედაქტორს ნიჩბის ოდენა კოვზით აზელინოთ, მაინც არ ივარგებს საახალწლო „დასაბერებლად": ქვაბი შინაურ-გარეულ მტერ-მოყვარეთაგან წაკალულია, ნიგოზი-დამძაღლებული, კოვზი კი აზიზ ბუნებიან ადამიანისათვის უკადრისი, რადგანაც მეკოვზე, ზელვის დროს, წამდა უწუმ მსუნაგად ჭლოკავს ხოლმე ცხელ-ცხელ ნადუღს და ხშირად პირსაც იგანგლავს.

ვფიცავ სილოვანის აზიზ კილოსა და ჰოეზიას, სამშაბათელა -კვირიკეს ერთად აზელილ დონდღლო კბილებს, „მნათობას" „რეგოეას" და „კოლხიდის" „მოწყენილ სიმინდს", რომ ჩემი საახალწლო შაქარლამა მტკბარ გუნებას დააკვებებს ჩჩეულთა მათ, რომელთაც გემოვნება აქვთ ფრიად სათუთი და გულის თქმა—ქარქარა, ვითომ თოვლის ნაფერთალი.

საგოზინაყო ქვაბი გამოვკვერე განუსჯელად დასჯილთა ხუნდების ნაფხეკით, ნიგვზად ვიხმარე გესლ ნარევი ბოლმა ერისა, თაფლად-ქედწახრილ მარჯვენის მონაწური მადლიანი ოფლი, სანელად—ქვეყნის ერთგულთა ქვრივ ობლების ცრემლი, კოვზად—ფერ ჰიხდილ ასოთ-ამწყობთა გალეული თითები, ზედადგრად—ჩემი გული, ცეცხლად-სამშობლოს გულღვიძლიდან ამოვარდნილ გენიის უქრობელი ცეცხლი.

ვინ დავაბეროთ ასეთის გოზინაყით? ვინ არის უფრო ღირსეული?

გულთამხილავი არის ღმერთი და სინიდისი ერისა. ღირსეულნი თანაზიარ არიან მღვთისა და ქვეყნის მადლმოსილ სხივოსნობ-სა. დაე ღირსეულად ეკმაროდეთ უაღრესი კაცად კაცადობა და ქვეყნის თავნაკარა სიყვარულში აზიარონ თავისი შინაგანი განცდა, შეაბერდნენ თავის უაღრეს რწმენას.

ჩვენ კი ვეძიოთ უღირსნი და ვაგემოთ ჩვენი სამსალა-ნარევი საახალწლო შაქარლამა, ეგების ერთხელ მაინც განიცადონ ადამიანური გულის თქმა და დაეკვებოთ

დიდია მეუფება მათი და თვალუწვდენელია სარბიელი მათი. ამისათვის დაე მკითხველმა გასწიოს ჩემი მაგიერობა ქვემორე მოყვანილ ნუსხის მიხედვით; თავის ბედნიერის ხელით ჩააკნატუნებინოს მათ საახალწლო გოზინაყი.

მოჰნახეთ ქალაქის თავი, რომელიც თვისტომობის მიხედვით ზრუნავს მცხოვრებლებზე და აგემეთ გოზინაყი ჩემი, ეგების ცრემლმა და ბოღმამ აგრძნობინოს მოქალაქობრივი სამართლიანობა.

მოჰნახეთ მოსამართლე, რომელიც სამართალს ჩამომავლობის მიხედვითა სჭრის და აგემეთ გოზინაყი ჩემი, რათა განელვიძოს სინიდისი და შესძლოს, „ქმნა მართლისა სამართლისა".

მონახეთ ქვეყნის ბედის გამგე, რომელიც ხალხის ჭირვარამის მგბალის ყურით ისმენს და აგემეთ ჩემი გოზინაყი, ეგები სინიდისს დაუხმოს.

მონახეთ მასწავლებელი, რომელიც მოწაფეს ენასა ჭვლიჯს და სხვა ენას აბამს, აგემეთ გოზინაყი ჩემი, ეგეების განელვიძოს მშობლიური გრძნობა.

მონახეთ ქალმოსანი, რომელსაც ჩხაპნის საღერღელი აჰშლია, ტვინის ძაფი გასწყვეტია და მოშლილ წისქვილის სარაკუნესავით არაკუნებს, „გიორგის ჭკუა ქონიაო", აგემეთ გოზინაყი ჩემი, რათა დაუტკბეს სიბერე და აღიკიდეს მას მთასა წმიდას, სადაც დაწერილ არის „აკრძალული სამოთხე".

მონახეთ მეგზე�ი, რომელსაც პუბლიცისტობა ბუბლიკისტობა ჭგონია და აგემეთ გოზინაყი ჩემი, ეგების სადღეგ ცხენივით შეკაზმულს თავის გარშემო ფრუტუნი დაავიწყდეს და ერთხელ მაინც იხილოს ქვეყანამ გაჭენება მისი.

მონახეთ გულ-გონებით გაქსუებული, რომელსაც მამა გაუყიდნია, დედა დაუგირავებია, შვილზე შემჯდარა და „ჰართალალის" შემოძახილით ბახუსის კერძად გაუხდია თავისი კარმიდამო, აგემეთ გოზინაყი ჩემი, რათა შეეკრას კრიჭა და არცა ღა ერთი წვეთი ნექტარისა იგემოს კუჭმან მისმან.

მონახეთ ბედოვლათი, რომელიც ქვეყნის წახედულობას მამასისხლად აღებულ ვალით უმასპინძლდება ავყია კუპონებს და ზამთრის ყიამათში ცოლშვილს კონკის ძველებში აწანწალებს, აგემეთ გოზინაყი ჩემი, რათა ერთხელ მაინც ჩაიხედოს თავის უბადრუკ ცხოვრების სარკეში.

მონახეთ სოფლის მასწავლებელი, რომელიც გულგრილად ეკიდება საქმეს, გაკვეთილებს ამოკლებს, რომ დაჯღაბნოს ლექსი, ყოველად უმგვანო და რედაქციის კალათას ძირი გააგდებინოს, აგემეთ გოზინაყი ჩემი, ეგების გამოუსადეგარში გამოსადეგი აღარ გასცვალოს.

მონახეთ მოსწავლე, რომლის ტვინიც მაჭარივით დუღს, გონება დაუმჯდარი აქვს, ცოდნა-ფუქსავატი, აგემეთ გოზინაყი ჩემი, რათა გულისხმიერებაში ჩავარდეს და ბაირონობიას თამაშს თავი დააღწიოს.

მონახეთ ხალხის გულწრფელი მოსიყვარულე, რომლის საქმიანობა-სურვილებას არ გასცილებია და აკვნიტეთ გოზინაყი ჩემი, რათა შეიგნოს, რომ „არა მარტო სურვილებითა ცხონდების ქვეყანა".

მონახეთ სოფლად მყოფი ინტელიგენტი, რომლის გულსაც არა ლწვდება ხალხის უბადრუკობა და აგემეთ გოზინაყი ჩემი, რათა შერცხვეს და შეიგნოს, რომ ფუჭია მისი სახელი ნასწავლობისა.

მონახეთ სოფლის მოხელე, რომელიც უნამუსოდ ჰსანსლავს ქვრივ-ობოლი ნაწვალ-ნადაგ ვარიას და აგემეთ გოზინაყი ჩემი, რათა შეამად შეერგოს ობლის ლუკმა.

მონახეთ ხუცესი, რომელიც დრაის ასაკრეფად დრამას ატრიალებს და წამოხრილ-ქოხმახებიდან უკანასკნელი ბეშვი ხორბალი გააქვს, აგემეთ გოზინაყი ჩემი, რათა გაახსენდეს მოძღვარი თვისი მაცხოვარი ქვეყნისა და შერცხვეს".

მონახეთ გაყაჩაღებული მებრძოლი", რომლის წყალობითაც დაბა-სოფლად ეგზეკუცია ჩაუყენებიათ და აგემეთ გოზანაყი ჩემი, რათა ერთი ტყვია მაინც გაიმეტოს თავისა თვისისათვის და სოფელი განსაცდელისაგან იხსნას.

მონახეთ პოეტი, რომელსაც ქვეყნიური გეზი დაჰკარგვია და ცაში ვარსკვლავებს ეპოტინება, აგემეთ გოზინაყი ჩემი და დასწყეთ კალთას, ეგების საამქვეყნიოთ აბრუნებინოთ პირი.

თქვენ, კი, ჩემო, მკითხველნო, თუ ზემოხსენებულ ადამიანებში ამომჰპოვეთ, იკმარეთ ისიც, რომ თქვენის ბედნიერის ხელით დაბერებთ მათ ჩემ მიერ შემზადებულ საახალწლო გოზინაყით

შოლტი.

პატარა ფელეტონი

მექანიკური კაცი.

ყოველივე წავა... ყოველივე გაჰქრება.

„თიხად გადიქცა კეისარიც, ყოვლად ძლიერი"!

დარჩება მხოლოდ...

— „მექანიკური კაცი",—

გამოგონება ბ-ნ შარაბიძისა.

დარჩება იმიტომ, რომ პრაქტიკულს მნიშვნელობას არ დაჰკარგავს არც ერთს ხალხში, არც ერთს დროში.

სახელგანთქმულმა ქოროლლიმ, როდესაც პირველად ადამიანის საშიში გამოგონება—თოფი და იმისი ძალა—ნახა, მწარი და სწორი სიტყვა წარმოსთქვა:

— ავი და კარგი გასწორდა, გასწორდა მთა და ბარია!

დიახ, მან იგრძნო, რომ ფიზიკურს ძალას ტყვიის შემდეგ აღარც ერთი სულელი აღარ მიმართავსო...

მხოლოდ დაავიწყდა, დაემატებინა:

— გარდა ტფილისელ ეურნალისტებისა..

ასე თუ ისე, მე ბევრად მეტი საბუთი მაქვს ვსთქვა:

— ავი და კარგი გასწორდა—მექანიკურ კაცის გამოგონების შემდეგ!

მართლაც, ვერ წარმომიდგენია ისეთი კულტურული და არა კულტურული საქმე, რომლის შესრულებაც მექანიკურმა კაცმა ვერ შესძლოს.

მართალია, ბ-ნი შარაბიძე ამბობს, მექანიკური კაცი ჯერ-ჯერობით მხოლოდ ექვს საქმეს ასრულებსო, მაგრამ ეს მხოლოდ გამომგონის მორცხვობასა და თავმდაბლობას ამტკიცებს. ამას გარდა, მექანიკური კაცი ისეთი ხომ არ დარჩება საბოლოოდ, როგორიც ჩაისახა ბ-ნ შარაბიძის გონებაში. უეჭველია, პროგრესისა, ევოლუციისა, რევოლუციისა და სხვა ლუციის კანონებს დაემორჩილება და სრულ ადამიანად გარდაიქცევა და იქნებ როდისმე თავისივე მსგავსის წარმოშობაც შესძლოს ბ-ნ შარაბიძის დაუხმარებლად.

ასეთი მექანიკური კაცი ძვირფასი, ფას-დაუდებელი შეიქმნება უპირველესად ჩვენი **რედაქციებისათვის.** საჭირო გახდება მხოლოდ ბ-ნ შარაბიძესთან შეთანხმება.

გაზეთის გამომცემელი ეტყვის მექანიკურს კაცს:

— პატივცემულო და პატიოსანო მექანიკურო კაცო! მზად ბრძანდებით, სამშობლოსთვის თავი დასდოთ? იკისრებთ თუ არა რედაქტორობასა? ციხისა თუ არ გეშინიათ, მომეცით თქვენი ხელი და ხვალვე გაზეთის იმ ადგილას, სადაც სწერია „რედაქტორი ი. ჩანჩალაძე" მოწიწებით ეწერება: „რედაქტორი ბ-ნი მექანიკური კაცი № 1".

მექანიკური კაცი ხელს არ გაუწოდებს. მხოლოდ მორჩილებით, თანხმობის ნიშნად, თავს დაუკრავს.

რასაკვირველია, ამ მექანიკურს კაცს, როგორც სხვა მისს მეგობარ რედაქტორებს, საბოლოოდ ციხეში დააბინავებენ. ერთის წლის განმავლობაში ციხე სავსე იქნება მხოლოდ მექანიკურ კაცებით, რომელი გარემოებაც ციხის წეს-რიგს ძირიანად შესცვლის: რადგანაც ჭამასმა ტუსაღებს აღარ მოუნდებათ, ციხის ადმინისტრაციას ხარჯი შეუმცირდება. შემცირებულ იქმნება აგრეთვე ციხის ადმინისტრაციის შტატიც, რადგანაც ტუსაღი გაქცევას თავის დღეში არ იკისრებენ, თუ თვით ბ-ნ შარაბიძის სურვილი არ იქნება.

აქ, უეჭველია, ჩვენი მამულიშვილნი ერთს დიდს საფრთხეს დაინახავენ და წამოიძახებენ:

— ჩვენ აღშფოთებულნი ვართ.. ციხე! ეს ხომ ერთად ერთი დაწესებულებაა, სადაც ქართველთ უპროტექციოდ იღებენ? მექანიკურ კაცებით რომ ავავსოთ ციხე, სადღა წავიდნენ ისინი?

გადაჭარბებული არ იქნება, ვსთქვა, რომ მექანიკური კაცი ჩინებულად შეასრულებს **ქალაქის მოურავის** მოვალეობას. განსაკუთრებით გამოსადეგ-

გი იქმნება ბათომისთვის, რადგანაც ქალაქი - მოურავი თავ. ანდრონიკაშვილი თავის თავს პეტერბურგის ქალაქი მოურავადა სთვლის და ბათომში მხოლოდ ერთხელ მოდის ქალაქის საქმეების სარევიზიოდ. თ-დი ანდრონიკაშვილი, უეჭველია, ისარგებლებს შარაბიძის გამოგონებით და თავის მოადგილედ ქალაქის თვითმმართველობაში მექანიკურს კაცს დასვამს და გულზე ჯაჭვს ჩამოჰკიდებს. ეს თ-დ ანდრონიკაშვილისთვის დიდად ხელ-საყრელი იქნება და შრომასაც შეუმცირებს: რევიზიის მოხდენა აღარ დასჭირდება, რადგანაც მექანიკური კაცი იმდენად საიმედო და კეთილ-სინდისიერია, რომ მის ანგარებაში ექვსაც ვერავინ შეიტანს. ამას ისიც დავუმატოთ, რომ ქალაქის თვითმმართველობას ერთს წამსაც არ მოაშორებს თვალს და დღეცა და ღამეც თავ. ანდრონიკაშვილის სამოურავო სავარძელზე იჯდება, სამოურავო ძეწკვ ჩამოკიდებული, როგორც ერთგული დარაჯი, რომელსაც თავისი მოქალაქობრივი მოვალეობა ესმის.

თუ ბათომის მცხოვრებნი ჭკვიანები აღმოჩნდნენ, უეჭველია, ბოლოს მექანიკურს კაცს ქალაქის მოურავად აირჩევენ და, შესაძლებელია, უადგილოდ დარჩენილს თავ. ანდრონიკაშვილს მასთან მისვლა და ქალაქის თვითმმართველობაში გადამწერის ალაგის თხოვნა დასჭირდეს. ისიც მოსალოდნელია, რომ ალაგი აღარ იქნება, რადგანაც, შესაძლებელია, ამ დროს ქალაქის თვითმმართველობაში ყველა ალაგი დაჭერილი ჰქონდეს მექანიკურ კაცის შთამომავლობასა.

მექანიკური კაცი, რასაკვირველია, ყველა ქალაქში მოურავად მოხვდება. ექვი და ისიც დიდი ექვი არის მხოლოდ ტფილისზე. აქ საქმე დაახლოვებით ასე მოხდება:

პართენ გოთუა, იაკობ სულაბერიძე და რუსების ერთი ნაწილი ქალაქის მოურავობაზე მექანიკურ კაცის კანდიდატურას წამოაყენებენ, მაგრამ სომხები ამ გამოსადეგ მოღვაწეს, პატიოსანს მექანიკურსკაცს, როგორც ქართულ შემოქმედების ნაყოფს, აუცილებლად გააშავებენ...

უფრო ჩინებული სანახავი იქნება მექანიკური კაცი **ისტორიკოსისა, არქეოლოგისა** და საერთოდ სიძველის მკვლევარ-მაძიებელის როლში.

თუ ბრიტანიის მუზეუმში დღესაც ვერ უპოვიათ „ვეფხის ტყაოსანი“-ს დედანი, ეს იმის ბრალია, რომ ეს საქმე დიდს შრომას მოითხოვს და ამას გარდა მუზეუმში იმდენი მტვერია, რომ კულტურა ცხებულ მკვლევარ-მაძიებელთა სუსტ აგებულებას საუკუნოებით მოგროვილ და აყროლებულ მტვერის ყლაპვა არ შეუძლიანთ. მექანიკური კაცი კი იმდენს იმუშავებს, იმდენს მტვერს ჩაყლაპავს, სანამ გაქურდულ დედანს „ვეფხის ტყაოსანი“-სას არ იპოვის და დანიშნულებისამებრ არ მიარბენინებს.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც, რასაკვირველია, მიმართავს მექანიკურის კაცის დახმარებასა. სახელდობრ, დაავალებს, ჩამოუაროს წევრებს და და მოაგონოს, რომ წევრმა საწევრო ფული უნდა გადაიხადოს. ხელში ეჭირება ქაღალდი, რომელსაც ზედ ეწერება საგანგებოდ დაწერილი ლექსი ი. გრიშაშვილისა:

უღვთოდ მოკლულს ნაზს სიყვარულს
ცრემლის რითმა ააშენებს...
ვით ბროლ მკერდსა ზვირთებრ ღელვა,
ვალს გადახდა დაამშვენებს..,

მექანიკური კაცი ამ რიგად პირველად საქართველოში გამეფდება, რადგანაც ქართული ქმნილებაა. ყოველი ზარმაცი ქართველი მის დახმარებას მიმართავს. ქალები! ოჰ, მათ ხომ საზრუნავი აღარა ექმნებათ რა. დღისით ყოველგვარ საქმეს გააკეთებინებენ, ღამით კი ბავშვების მოვლას ჩააბარებენ და თვითონ ქართულ კლუბში წავლენ ლოტოს სათამაშოდ... დაბერებული ქალწულები, „старыя дѣвы“. ხან და ხან გამოეარშიყებიან კიდეც და სიყვარულის გაცრუებულ გრძნობას მათ წინაშე გამოსთქვამენ.

ბოლოს მექანიკურ კაცის ამბავს „თემი“-ს რედაქციაც გაიგებს და ერთს მშვენიერსა დღეს რედაქტორი გიგო დიასამიძე სამღვთო შიშითა და მოკრძალებით გამოეცხადება.

— პატივცემულო გვამო, უტყუარო საბუთო ქართულ შემოქმედების არსებობისა! მაქვს პატივი გამოგეცხადო ქართველი შეგნებული მოქალაქე და რედაქტორი.

მექანიკური კაცი თავს დაიქნევს. რედაქტორი განაგრძობს:

— ამ შემთხვევაში, დიდად სისიქადულო გვამო, მე პირადი ინტერესი არ მალაპარაკებს... ეს თქვენ კარგად უნდა იცოდეთ... მე ინტელიგენტი კაცი ვარ და ამას არ ვიკადრებ... მე პრინციპიალურად ყოველთვის წინააღმდეგი ვარ ადამიანის ლანძღვა-თრევისა და თუ ვისმეს გაზეთის საშუალებით უსაბუთოდ ვლანძღავ. ამით მინდა, ნათლად დავანახვო ყველას, თუ რამდენად არა საკადრისია მოღვაწისათვის სხვისი უსაბუთოდ ლანძღვა... ფიზიკური შენიშვნები... ეს ხომ ადამიანს დიდად ამცირებს და ღმერთსა ვფიცავ, არც მე ვარ მისი მომხრე... დასამტკიცებელი საბუთი ამისი ის გახლავთ, რომ ამ საშუალებას ძალიან იშვიათად მივმართავ ხოლმე.

მექანიკური კაცი კვლავ თავს დაიქნევს. რედაქტორი განაგრძობს:

— „სახალხო გაზეთი“! იცით, ეს ვისი ბუდეა! ალბად, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რადგანაც დარწმუნებული ვარ, ჩემს „თემსა“ კითხულობთ... მართლა, ბატონო, მექანიკურო კაცო, თქვენი აღრესი მითხარით, რათა ჩემი მოვალეობა შეავასრულო და „თემი“ გამომიგზავნოთ.

შარაბიძის ძე მხოლოდ თავს დაიქნევს. რედაქტორი განაგრძობს:

— მე და უპრინციპობა... დიად, ჯაჯანაშვილი... იმან... ჯაჯანაშვილი... ღმერთს გეფიცებით... დიად, იმიტომ გიახელით... ერთი წერილი უნდა მომცეთ „თემი“-სათვის... უნდა გალანძღოთ... არა... მეტი მტერი არავინა ჰყავს...

მექანიკური კაცი კვლავ თავს დაიქნევს. რედაქტორს გაეხარდება, მაგრამ რა გაეხარდება, ამის დაწერა აღარ შემიძლიან... მეზარება, რადგანაც ფიცხის გრიგოლისა მეშინიან.

იაგო.

დამატებითი ცნობები ნ. გ. ლოლოგერიძეზე.

ნიკოლოზ ბესარიონის ძე ღოღობერიძე დაიბადა ქალაქ ქუთაისში 1830 წელს. 1857/8 წელს სწავლა დაამთავრა ტფილისის გიმნაზიაში და პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა. კურსის დამთავრების შემდეგ 1862 წელს იგი გაანწესეს ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებლად ტფილისის გიმნაზიაში. ორი წლის შემდეგ განსვენებული ნიკოლოზი და ცნობილი არქეოლოგი და ისტორიკოსი დ. ზ. ბაქრაძე „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების“ სკოლების ინსპექტორად დანიშნეს. ნიკოლოზ ბესარიონის ძე, დიმიტრი ზაქარიასძე და გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი ერთად მოგზაურობდნენ მთებში და ეცნობოდნენ ხალხის ზნე-ჩვეულებას. გიორგი წერეთელმა თვისი მოგზაურობის შესახებ „მგზავრის წერილები“ დაბეჭდა.

დ. ბაქრაძესა და პროფესორ მელიქიშვილის ძმის, სტეფანე მელიქიშვილთან ერთად ნიკოლოზ ბესარიონის ძემ ტფილისში სტამბა დაარსა, სადაც ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები იბეჭდებოდა.

ნიკოლოზ ბესარიონის ძის ასეთი მოღვაწეობა 1868 წლის 19 თებერვლამდის გაგრძელდა, ხოლო სასამართლოს რეფორმების შემდეგ იგი დ. ბაქრაძესთან ერთად მომრიგებელ მოსამართლედ დაინიშნა.

ღია წერილი

ქ. შ. წ. კ. საზოგადოების მთავარ გამგეობისადმი.

ეჭვს გარეშეა, რომ ქართველობა იუბილეს გადიხდის თამარ მეფის გარდაცვალებიდან 700 წლ. შესრულების გამო და, როგორც ითქვა, საიუბილეო დღეთ უნდა დაინიშნოს 1 მაისი. ჩვენში ამ უბადლო იუბილეს, რაღა თქმა უნდა, წარმომადგენელები დაესწრებიან ყველა ჩვენ პროვინციებიდან.

როგორც ვიცით, მომავალ გაზაფხულისათვისვე გადადებულია ჩვენის დიდებულ მგოსნის ილია ჭავჭავაძის ძეგლის კურთხევა, რისთვისაც, როგორც შეტყობილი გვაქვს, ემზადებიან პროვინციები. ვინაიდან პროვინციებიდგან წარმომადგენელების რამდენჯერმე ჩამოსვლა, მრავალ სხვა დაბრკოლებასთან ერთად, გამოიწვევს მძიმე და უნაყოფო ხარჯს, კარგი იქნება თუ იზამს ქ. შ. წ. კ. საზ. გამგეობა, ამ ორ ეროვნულ დღესასწაულს ერთმანეთს დაუახლოვებს, მაგ., თუ თამარ მეფის იუბილეი გადაწყდება პირველ მაისისათვის, ილიას ძეგლის კურთხევა აპრილის დამლევისათვის დაინიშნოს.

საზოგადოდ საჭიროა ვიცოდეთ, რისთვისა სდუმს წ. კ. ს. გამგეობა და რატომ დაახლოვებით ცნობას მაინც არ მიაწოდებს აღნიშნულ კითხვებით დაინტერესებულ საზოგადოებას.

გ. ახალციხელი.

არეულობა სპარსეთში

დეკეშები.

ჯულფა. რვა ავტომობილით რუსის ჯარის ერთი როტა მოვიდა.

გაზეთებიდან

რუსეთი და ოსმალეთი.

„ნოვოე ვრემია“ ოსმალეთსა და რუსეთს ომის ატეხას უწინასწარმეტყველებს. ამის გამო გაზეთი მთავრობას ურჩევს, არაფერს დაერიდო, ხარჯს ნუ შეუშინდები, კავკასიის ჯარი გააძლიერე და კავკასიის დაცვის საქმე საიმედო კაცს მიანდეო.

— გაზეთების სიტყვით რუსეთს სპარსეთში 11 ათასამდე ჯარის-კაცი ჰყავს.

— თეირანში შემდეგი ამბავი მისულა: მთავრობის ჯარი, ასტრაბადს გაგზავნილი, შაჰრიდთან თურქმენებს წააწყდა და გაჩერდა, რადგან საკმაო ძალა არა აქვს შესაბრძოლებლად.

ამბობენ, სალარუდ-დოულე ქერმანშაჰიდან ქამადანს დაეცა და თენღოვერი დაიპყრო.

სპარსეთის მთავრობა თანახმაა ძველ შაჰს მაჰმედ ალის პენსია ისევ განუახლოს, თუ იგი სპარსეთს მიატოვებსო.

— „ფრანკფ. ცაიტ.“. სიტყვით, ქოიში ეხლა 4 ათასი რუსი ჯარისკაცია. ოსმალეთის სამხედრო მინისტრმა ოსმალეთის ჯარის უფროსებს უბრძანა, რაც შეიძლება ერიდეთ რუსებთან უთანხმოებასაო.

ჩინეთის რევოლუცია

დეკეშები.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტოს“ ტოკიოდან აუწყებენ, რუსეთის (ოფიციალურმა მოთხოვნილებამ?) დიდი ინტერესი ვერ გამოიწვია, რადგან მას უკვე მოელოდნენ. დამოუკიდებელთა გაზეთი „ასაკი-სიმბუნი“ ამბობს, რუსეთის მოქმედება არ შეეხება იაპონიასაო და მონგოლები თუ მოიგებენ, თორემ არას დაჰკარგავენ რუსეთის პროტექტორატის გამოცხადებითაო.

რევოლუციონერებმა მიჰმართეს იაპონიის მთავრობას, დაგვეხმარეთ და სესხი აგვაღებინეთო. იაპონიის სამინისტრომ ნეიტრალიტეტის დარღვევა არ მოისურვა და უარი შეუთვალა.

კულჯა. ახალ სუიდუნში 17 დეკემბერს რევოლუციონერთა დროებითი მთავრობა დაარსდა. მან გამოსცა მოწოდება, რითაც ყველას მოუწოდებს, უცხოელთ არაფერი ავნოთო. სუიდუნიდან ჩინელი აფიცრები მოვიდნენ და რუსეთის კონსულს დროებით მთავრობის წერილი ჩაბარეს. მათ ყველგან გააკრეს განცხადებანი, რითაც ხალხს წესიერებისთვის მოუწოდებენ, ვინც დროებითს მთავრობას უღალატებს, წესიერებას დაარღვევს, ძარცვა-გლეჯას მიჰყვება, ცეცხლს წაუკიდებს რასმე, სიკვდილით დაისჯებაო. კულჯინის დაოტაი ჯერ საქმეში არ ჩარეულა. 28 დეკემბერს ძველი სუიდუნი რევოლუციონერებს მიემხრო. უცხოელნი უზრუნველყოფილნი არიან. მცხოვრებნი რეფორმის მომხრეობას რჩეობენ. 30 დეკემბერს ახალმა მთავრობამ ჯარი გააძლიერა, რადგან მანჯურთა მშვიდობიანობისა არა სჯერა-რა. კულჯიში მშვიდობიანობაა.

კულჯა რევოლუციონერთა მხარეს გადავიდა. თეთრი დროშები ააფრიალეს. მცხოვრებნი წყნარად არიან.

სეული. კორეიაში ჩინელთა რევოლუციონერები ფულს აგროვებენ რევოლუციისა და პროპაგანდის საჭიროებისათვის.

ბევრი კორეელი ჩინელთა წაბაძვით, თმას იკრეჭავს. მესამე თვეა ჩინელთა კონსულს პეკინის მთავრობისგან არა მოჰსვლია-რა

გაზეთებიდან.

მოლაპარაკების შეწყვეტა.

ლონდონში პეკინიდან ამბავი მისულა, ნანკინის რევოლუციონერთა კომიტეტის დადგენილებით, მთავრობასთან სამშვიდობო მოლაპარაკება შესწყვიტეს და პეკინისაკენ 60 ათასის კაცის გაგზავნას აპირებენო.

— ლონდონის გაზეთები იუწყება, იაპონია ძალიან შეეშფოთებია ჩინეთის არეულობას და საქმეში ჩარევას აპირებსო.

იტალია-ოსმალეთის ომი

დეკეშები.

ქაირი. ტრიპოლის საზღვარზე სამხედრო წესები შემოიღეს:

რომი. არაბეთის ნაპირებზე, მეწამულ ზღვასთან, როგორც იტალიის მთავრობას შეუტყვია, ოსმალთა ჯარის ექსპედიცია უნდა მისულიყო და ეგვიპტით კირენაიკს გადასულიყო. იტალიის კრეისერები შეეცდებიან ამას ხელი შეუშალონ. იტალიელთა ნაღმოსნები „პიემონტე“, „გარიბალდინო“ და „არტილიერი“ 25 დეკემბერს კონსუნთან ოსმალთა ნაღმოსნებს წააწყდა. გაცხარებულ ბრძოლის შემდეგ ოსმალთა ნაღმოსნები მთლად გაანადგურეს. იტალიელები არ დაზარალებულან.

ამ გამარჯვების ამბავს დიდის აღტაცებით შეხვდნენ რომაელნი. გაზეთებმა საჩქარო დამატებანი გამოუშვეს.

გაზეთებიდან.

— მალტიდან იწერებიან, ოსმალეთის ჯარი ზუარში პოზიციებს ამაგრებსო. დიდ ბრძოლას მოელიან.

— ოსმალეთის სამხედრო მინისტრმა მაჰმუდ-შევკეთ-ფაშამ ჟურნალისტებს უთხრა, იტალიას ოსმალეთი მხოლოდ მაშინ შეურიგდება, თუ ტრიპოლის სუვერინეტეტი დაუტოვესო.

დეკეშები

(დეკეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ.

30 დეკემბერი.

ვენა. გალიციის სეიმის სხდომაზე მომხდარ ობსტრუქციაში მონაწილეობა მიიღეს რუსთა ეროვნულ პარტიის ყველა წევრებმა. მოსალოდნელია სეიმის დათხოვნა. „რეიპსპოსტი“ იუწყება, მალისორთა შარშანდელ აჯანყების მეთაურმა სკუტარის ავსტრია—უნგრეთის საკონსულოს შეატყობინეს, აუცილებლად მოსალოდნელია ალბანელთა აჯანყება, ვინაიდან ოსმალთ სიტყვა გასტეხესო. მალისორები ავსტრიას მიჰმართავდნენ ხოლმე, მაგრამ ამაოდ, და ამიტომ იძულებულნი არიან ჩერნოგორელები დაიმეგობრონ. მალისორებს 2 ათასი თოფი აქვთ, თურმე, და ომშიაც ნაცადნი არიან.

პარიზი. ვერც დელკასემ იკისრა კაბინეთის შედგენა. ეხლა იმედს პუანკარეზე-ღა ამყარებენ.

ბაია (ბრაზილია). შეერთებულ შტატების გაერთიანებულმა სასამართლომ ოპოზიციის დეპუტატებს სასჯელი გადაუწყვიტა, რის გამოც ბაიას შტატის მთავრობამ განაცხადა, დეპუტატების ხელუხლებლობის პრინციპს ვეღარ შევიწყნარებო. ამის გამო ბაიაში აჯანყება იყო. მთავრობის დაწესებულებათა სადგომებს ზარბაზანს ესროდნენ. შეერთებულ შტატთა მთავრობამ ბაიაში სამხედრო გემი გაჭიზავნა.

ზაგრები. ბანმა ტომაშევიჩმა შეიწყნარა განათლების განყოფილების მმართველ ამრუზის გადაყენება, რადგან მან განაცხადა, არჩევნების დროს პროფესორთა და მასწავლებელთ ძალას ვერ დავატანო.

პარიზი. ამბობენ, ბურჟუა კაბინეთის შედგენას ვერ იკისრებსო. ფალიერს ბურჟუასთან მაინც ექნება თათბირი, რადგანაც ბურჟუა რადიკალთა მეთაურია და სენატის იმ კომისიის თავმჯდომარე, რომელიც ... ფრანგეთ-გერმანიის შეთანხმების საკითხი უნდა განიხილოს. იმასაც ამბობენ, თუ ბურჟუამ უარი სთქვა, ფალიერი დელკასეს მიანდობს კაბინეთის შედგენასაო.

ბურჟუამ არ იკისრა სამინისტროს შედგენა. ფალიერმა დელკასეს მიჰმართა. მან უპასუხა, ჩემს ამხანაგებს მოველაპარაკებიო. ამბობენ, სალამოს დასთანხმდება დელკასე წინადადებაზეო.

პარიზი. ახალმა პრეზიდენტმა დუბოსტმა სიტყვა წარმოსთქვა. საფრანგეთს უპირველესად ყოვლისა სამხედრო და სადიპლომატიო საქმის მოგვარება სჭირიაო. დიპლომატიამ მდგომარეობა უნდა განამტკიცოს მარტივობითა და გულახდილობით — მხოლოდ ასეთი თვისება ეკადრება დიდებულ დემოკრატსაო. (საერთო მოწოდების ხმები).

ბერლინი. რეიხსტაგის დეპუტატების არჩევნებმა მთელ იმპერიაში მშვიდობიანად ჩაიარა. მცხოვრებლები არჩევნებს დიდის გულმოდგინეობით მოეკიდნენ. ქალებიც დიდ მონაწილეობას ღებულობდენ. ჰამბურგში ქალებმა დემონსტრაციები გამართეს. ისინი დაატარებდნენ პლაკატებს, რომლებზედაც ეწერა: ქალთა საარჩევნო უფლების მინიჭებისათვის. ათს საათსა და 30 წუთზე კანცლერი და მინისტრები თავის ბიულეტენის ჩასაგდებად მივიდნენ ბიუროში.

საღამოს შვიდ საათზე ყველა საარჩეკნო ბიუროები დაჭეტეს. იმპერატორს ძალიან ეინტერესება არჩევნებინ შედეგი და ბრძანა, ყოველ ორ საათში არჩევნების ამბავი შემატყობინეთ ხოლმეო. ბერლინის ხუთს ოლქში სოციალ-დემოკრატები აირჩიეს. პირველ ოლქში ხელმეორედ უყრიან კენჭსა თავისუფალ მოაზრეს კემფს და სოციალ-დემოკრატ დუველემს.

სტამბოლი. მონასტრის ვილაიეთში ხვა და ხვა ადგილს 10 ყუმბარა იპოვეს. ერთი ყუმბარა გვირაბში აფეთქდა. კუმანოვს ახლო ბულგარებს ოსმალთა ჯართან დიდი შეტაკება მოუხდათ. ორივე მხარე დაზარალდა.

რუსეთი.

მოსკოვი. სალამოს ექვსს საათზე სამი მძარცველი შევარდა საზარაფოში. პატრონმა ყვირილი მორთო. მძარცველნი გაიქცნენ ერთმა პოლიციელს ორჯელ ესროლა, მაგრამ დააცდინა და შეიპყრეს. დანარჩენნი იმალნენ.

პეტერბურგი. ქალაქ პეტერბურგის უფროსმა 500 მანეთით დაჯარიმა გაზეთ „გროზას“ რედაქტორი ორი სტატიისთვის: „პეტერბურგი, 30 დეკემბერი“ და „პოლკოვნიკი გალე“.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

განცხადებანი

ექიმი კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9--2 საათ. და საღ., 5--7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი **შ. ა. მიქელაძე**
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., № 5.

ექიმი **ნ. ტ. მულინი**
ყელისა, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12--1 საათამდე საღამოს 6--8 საათამდე. სერგეევის ქ. 8.
(თ. 1545 53).

ექიმი **ვ. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9--11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

დოქტორი მედიცინისა
ე. ი. თიკანაძე
სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩიანძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 75)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

. ბა. ბოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“-ით.
(წლ. 1090 241)

ვიღეგ საეკლესიო სამხატვრო საქმეებს.

მსუველთ შეუძლიანთ მომმართონ **სოფ. პრიუტნი,** მანგლისის გზა. ტფილისის მაზრა, **მხატვარი მღვდელი მელიტონ ყანჩაველი.** (23.958.6)

სამკურნალო
დოქტ. ნ. ვასარდიანისა
ყოველ დღე. კვირეებს გარდა.
დაარსებული—13:40 წელს
(ეორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი; 11 11 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9½ 10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10--11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მლინი: 10 12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანი: 11--12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., სქმ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი: 12 1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშაი: 12½ 1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა,

გ. ი. გურგენოვი: 1 1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანი: 1 1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 9 10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

საღამოთი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაი: 5--6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

მ. გ. ავეტისიანი: 6--7 საათ.

11—12 ს. 606-ით წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1168.206)

ექიმი **ბ. მ. ღოლოგერიძე**
იღებს ავადმყოფებს საღამოობით 4—6 საათ. წამლობა ფოსფაციდით.
კირპიჩნის შესახვევი, სახლი სვიმონოვისა, № 16, ტელ. 693. (თ--1657--7)

მუხრანის კერძო
სამკურნალო
მუდმივის საწოლებით.
ტიფლისს—Песковская ул., 9 и 48 Цицiановская подьема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефоъ № 370.
ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ა. ა. გაზაზოვი. შინაგან სნეულებანი, დილის 10--11 ს.-მდე.

გ. მ. გოგობერიძე. შინაგან დ ბავშვებისა, 11--12 ს.-დე.

მ. კ. იოსელიანი. დედათა სნეულებანი, დილის 10-ნახევრიდან 11 ს.-დე.

მ. ლ. შტრეიხერი. ყელისა და ყურისა, 11 ნახ. 12 ს.-დე.

ლ. გ. საყვარელიძე. შინაგან და ბავშ., 12 ნახ. 1 ს.დე.

იაშვილი. შინაგან, 1--2 ს.დე.

გ. ბ. მელკონიანი. ქირურგ., 12--1 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი. ქირურგიულ., 11--12 ს.-მდე.

გ. ა. ახვერდოვი. შინაგან, 12 ნახ. 1 ნახევარ ს.-დე.

მ. დ. კილოსანიძე. ქირურგ. 12 ნახევრ. 1 ნახ. ს.-დე.

კევში. კბილისა, 8--10 ს.-დე.

მ. ბ. მიკირტუმოვი. დედათა სნეულებ. და საბებიო, 1 ნახ. ს.-დე.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) „606“-ით. დარიგების ფასი 50 კაპ. სტაციონალური ექიმობისათვის 3--5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვა მორიგებით.

№ (646. 100--56 (0--1003--198)

ძ. თ ე ლ ა ვ შ ი
ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენამზე
ჭრა-კერვის
წიგნის
თვით-მასავლებელი, 128 ნახატი.
ახალი მეთოდი.
ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის! აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული
სოფიო ი. სიმონოვის მიერ.
ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტსერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერვა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Ев Г. тѣлавь „Школа кроики и шитья софіи Іосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ (100—1140—93)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.
მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.
იღებენ ავადმყოფთ:

ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა „606“-ით.
(100—1615—7).

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის
(XXXV წელიწადი გამოცემისა)

გ ა ზ ე თ
„ტიფლისკი ლისტოკ“-ზე.

გაზეთი გამოვა ყოველ-დღე ორშაბათსა და უქმეების მეორე დღის გარდა.

გაზეთის კანტორა სთხოვს განსაკუთრებით ქალაქ გარეთელ ხელის-მომწერთ, თავის დროზე გამოიწერონ გ ა ზ ე თ ი, რათა შეგვეძლოს დროიანად დავამზადოთ ხელის-მომწერთა ადრესები, რასაც მცირე დრო არ უნდება.

ხელის მოწერის ფასი (აქ 5 კაპ. სადერბო გადასახადს არა ვანგარიშობთ).

ტფილისში სახლში მიტანით:	სხვა ქალაქებისათვის (აგრედვე ნავთლულში)
1 წლით—5 მ. 6 თვ. 3 მან.	1 წ.—7 მან. 6 თ. 4 მან.
3 თ.—1 მან. 75 კ.	3 თ. 2 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა ყოველ ვადით შეიძლება, ხოლო უსათუოდ თვის პირველიდან და არა უმეტეს ერთის წლისა, მხოლოდ გაზეთის კანტორაში: Крузенштернская ул., № 1.

განცხადების ფასი: ამიერ-კავკასიისათვის, ტექსტის წინ პეტიტის სტრიქონი—10 კ., ტექსტის უკან—5 კ. სათეატრო და გასართობთა განცხადებანი პირველ გვერდზე სტრიქონი—20 კ., უკანასკნელზე—10 კ. გამოსადეგ ცნობათა განყოფილებაში დაბეჭდილი განცხადება—სტრიქონზე 8 კ. ამიერ-კავკასიის ფარგლის გარედან განცხადებანი უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ სავაჭრო სახლ **ლ. და ე. მეტცლისა ამხ.** მთავარ კანტორაში: მოსკოვი, მიასნიცკაია, სახლი სიტოვისა და მის განყოფილებაში: ს.-პეტერბურგი, ბოლშაია მორსკაია, 11. ვარშავაში, მარშალკოვსკაია, 13.—ტექსტის წინ 24 კ. ტექსტის უკან—12. კ.

მისამართი რედაქციისა და კანტორისა: Крузенштернская, 4.
Телефонъ 19.

რედაქტორ - გამომცემელი პირადად ღებულობს ნაშუადღევის 3—4 საათ. (3—1671—2)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო
ტფილისის № 24 საწყაოსი და სასწორის შემმოწმებელი

მიხეილის **კალაფა** პროსპექტი № 117.

აცხადებს, რომ, ვაჭრობის მე-748 და 758 მუხლის თანახმად, ყველა საწყაოს, საწონს და საზომს უნდა დასმული ჰქონდეს შემმომწმებელის პალატის ბეჭედი.

ამ ბეჭედს ძალა აქვს სამი წლის განმავლობაში.

ამიტომ პალატა სთხოვს სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებს, აფთიაქის, საწყობის, ფაბრიკების, ქარხნების, კანტორების, ბანკების პატრონების და სხვა კერძო საზოგადოებრივ და საბაზინო დაწესებულებებს, წარმოადგინონ ყველა საწონი, საწონის ქვები, საყენები, არშინები, ღვინის, სპირტის, არყის, ლუდის და რძის საწყაოები: ბოჭკების წყლისა, ლუდისა, არყისა და სხვა, ე. ი. ყველაფერი, რითაც იწყვება და იწონება.

ბეჭდიანი თუ უბეჭდო 1909 წლამდე და ამ წლისაც

ბეჭდების დასასმელად ზოგი ახალად, ზოგსაც ხელ-მეორედ. ვინც ამას არ შეასრულებს ვადის გათავებამდის, რევიზიის დროს **ომნაირ ბეჭდიანი, თუ უბეჭდო** ჩამოერთმევა ყველა საწყაო, საწონი და საზომი და პასუხის-გებაში იქნება მიცემული სასჯელთა დებულების მე-1173 მუხლის ძალით. ს. წყაო, საზომი და საწონი სწორე უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბეჭედი არ დაეკვრება და **შეტანილ გადასახადს არ დაუბრუნებენ.**

ვადები: ტფილისისთვის 1912 წელს,
იანვარში და თებერვალში—1, 2, 3 და 4 ნაწილები.
თებერვალში და მარტში—5, 6, 7 და 8 ნაწილები.
მარტში და აპრილში—9, 10, 11 და 12 ნაწილები,

შემდეგ ადგილებისთვის, სადაც შემმომწმებელი გაიგზავნება:

აპრილის თვეში: ანაკლია, გუდავა, გალი, ოჩამჩირი, სხ.-სენაკი, ძველი სენაკი, ნაოგალევი და ბაზზა.
მაისში: „ სოხუმი, გუდაუტი, ართვინი, არდანუჩი, ბორჩხა და მარადიდი.
ივნისში „ ქუთაისი, ლანჩხუთი, სუფსა და ჯუმათი.
ივლისის თვეში: ვორონცოვკა, დეველალოღლი და ალავერდი.
აგვისტო „ ახალციხე, ახალ-ქალაქი, ახალშიხლანი, ცარსკია კოლოდეი და ლაგოდეხი.
სექტემბ. „ ბათომი, ველისციხე და ენისელი.

იანვარი, 1912 წ. (1.1675.1) პალატის გამგე **ა. რეზვიაკოვი.**

ხ ე ლ ს ა ქ მ ი ს
ქ. რ ი გ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა
M-me მინასი.
ტფილისი, განოვის ქ., № 6.
მიღებულია
აუარეგელი ახალი რამ. (10.1618.7)

ღ ვ ი ნ ი ს ო ბ ი ს მ ო ვ ა ჭ რ ე ლ ი
ამხ. **„კ ო მ ე ტ ი“**
ლორის-მელიქოვის ქ., პუშკინის ბაღის პირდაპირ, ს. ზუბალაშვილისა, № 6.
მიეიღეთ კახეთის საუკეთესო ზვრების ღვინო, ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია. (20. 1560. 15).

საკერავი მაშინა
ზინგერის კომპანიისა
ადგილი
მხოლოდ კომპანიის საკუთარ მაღაზიებში

ეგზის ფიდანი ნაწილ-ნაწილ **1** მანეთიდან

ხელის ნაკერი ფასად **25** მანეთიდან

მაღაზიის ნიშანი.

უფასოდ სიიალბეს

მაღაზიები ყველა ქალაქებში.

(0—1062—7)

გამოც. მეორე წელიწ. **მიიღება ხელის-მოწერა** 1912 **წლისათვის** გამოც. მეორე წელიწ.

ყოველ-დღიურ საპოლიტიკო, საზოგადო და სალიტერატურო

გ ა ზ ე თ
„ი უ ჟ ნ ი კ ა ვ კ ა ზ“-ზე.

ხელის მოწერის პირობები:

ქალაქელ ხელის-მომწერთათვის სახლში მიტანით:	ქ ა ლ ა ქ - გ ა რ ე დ გაგზავნით:
1 წ.—6 მ., 1/2 წ.—3 მ., 1/4 წ. 1 მ. 50 კ., 1 თვით—75 კ.	1 წ.—7 მ. 1/2 წ.—3 მან. 50 კ., 1/4 წ.—2 მ., 1 თვით—1 მან.

ხელ-მოწერა ითვლება ყოველთვის **1 რიცხვიდან.**
ხელის-მოწერა მიიღება **განჯაში:** გაზეთის **კანტორაში** და **სარდაროვის გაზეთების ბიუროში.**
რედაქტორი პ. მ. **გრიფცოვი.**
(3—1672—2) გამომცემელი ექიმი **გ. ბ. აგაევი.**

მიიღება ხელის-მოწერა 1912 წ.
ყოველდღიურ საპოლიტიკო, სალიტერატურო და საეკონომიო გაზეთ

7 წელიწ. გამოცემისა. **„რ ე ჩ“-ზე** 7 წელიწ. გამოცემისა.

გამოდის ს.-პეტერბურგში.

ვ. დ. ნაგოკოვისა & **ი. პეტრუნკევიჩის**
მეთაურობით,
პ. ნ. მილიუკოვისა & **ი. ვ. გესსენის**
მონაწილეობით და წინანდელ თანამშრომელთა შემადგენლობით.
წლიურსა & **ნახევარ წლიურ ხელმოწერით**

1912 წ., რომელნიც 1 თებერვლამდე გაზეთს გამოიწერენ, იანვარში, 1912 წ. უსასყიდლოდ გაეგზავნებათ

გაზ. „რ ე ჩ ი ს ყ ო ვ ე ლ წ ლ ი უ რ ი“ 1912 წ.

რომელშიაც მოთავსებული იქნება რუსეთის თვალსაჩინო მოვლენათა მიმოხილვა საპოლიტიკ. საკანონმდებლო, საზოგადოებრივ, სამრეწველო-სამეცნიერო-სალიტერატურო და ხელოვნებისა 1911 წ. აგრედვე სასტატისტიკო ცნობანი რუსეთის ცხოვრების სხვა და სხვა მოვლენათა, საზღვარ-გარეთელ ცნობებთან დაკავშირებით.

ხ ე ლ მ ო წ ო ბ ი ს ფ ა ს ი:

	12 თვ.	9 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
რუსეთში მ. .	12	9—	6—	5.10	4.15	3.15	2.15	1.10
საზ.-გარ. მ. .	20	15.75	11—	9.50	7.75	6 —	4 —	2 —

სოფლის მღვდლებსა და მასწავლებლებს, უმაღლეს სასწავ. მოწაფეთ, ფერშლებს, გლეხებს, მუშებსა და ნოქრებს,—**თუ პირდაპირ მთავარ კანტორას მიჰმართავენ,** 12 თ.—9 მ., 9 თ.—6 მ. 75 კ., 6 თ.—4 მ. 50 კ., 3 თ.—2 მ. 40 კ. 1 თ.—85 კ.

გაზ. „რეჩის“ მთავარ კანტორის მისამართი: С.-Петербургъ, ул. Жуковскаго, № 21/23.

„რეჩის“ სანიმუშო ნომრები უფასოდ ეგზავნებათ. (3—1659—3)

ექიმი ი ნ ო ბ ი ლ ი ს ა ნ ი ნ ო რ ც ხ ი ლ ა ძ ე
მიიღება ავადმყოფები დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ბ ა ბ ა ნ ი ნ ი ს ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა
ახალი წამალი
„S A L O - **პ ი ჩ ი ლ ი ნ ი**“

სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედებს და ექიმთა აზრიდ **გონივრულ საშუალებად** ითვლება. დარიგება კოლოფში ქვეს. ნამდვილი ამბოლოდ ლითონის კოლოფითაა, 4 მან. **და 50 კ.**

აგრედვე კარგად მოგზეადობს ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუჩყვეტელ მდინარეობასაც აჩერებს.

დეპო: Пе е бургъ. Разъѣзжая № 7, Аптека В. Конгейма.
ფას-დადებით იგზავნება. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით.
კავკასიის საფთიაქო საქონლით. მოვაჭრე საზოგადოებაში იშოვება Москва. 12429. (45—2014—39).

ვ ა ჭ რ ო ბ ი ს ა და მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი ს ს ა მ ი ნ ი ს ტ რ ო ს უ წ ყ ე ბ ა ში მ ყ ო ფ ი

ს ა კ ო მ ე რ ც ი ო ც ო დ ნ ა თ ა კ ურ ს ე ბ ი
ტ. მ. ფ ი ლ ო ი ა ნ ი ს ა
(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, ტელეფონი 976).

სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის. კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და Pigier-ს (პარიზში), Mastercomtoir-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება:

საგნები: ა) საგალდებ.: 1) ბუხალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო და საფბრიკო-საკარხნო; 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური ეკონომია. 4) კანონები (საკანონო უფლება, საგეკსილო წესდება). 5) კომერციული კორესპონდენცია. 6. არითმეტიკა ჩოტქზე. 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) არა საგალდებულო: 1. **უცხო ენები.** 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე. მეცადინეობა შეიძლება აგრედვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—12 ს., დილით და 4—7 ს. საღამ. რადგანაც დიდ-ძალი მსმენელები მოაწყდა, იხსნება მეორე პარალელური განყ., რომელიც ქალაქ გარეთელთათვის უფრო სახერხოა. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსებისისადგომიდან.

(4—1668—2)

სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

ნ. ვ. ა ბ რ ა ა მ ი ა ნ ი ს
ს ა ბ უ ჰ ს ა ლ ტ რ ო კ ურ ს ე ბ ი
(ოთხ ეგბობს 1895 წ.)

ავტორი „ბუხალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწვ. სამინისტროს მიერ.

ორივე სქესისათვის **კ უ რ ს ი 4 თ ვ ი ს ა ა** ყოველდღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 15 იანვრის 1912 წ. კურსებზე ასწავლიან ბუხალტერიისა **და** სხვ. სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა და სხვა დარგიდან, **მაზუთისა და ნავთის** მრეწველობაზე—ყოველ-ნაირ წესით. დახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. მიწერ-მოწერა, სავაჭრო უფლება, საგეკსილო წესდება, პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოტქზე, ლაშაზი წერა, ხელის გასწორება, მსურველთათვის **უცხო ენები,** სტენოგრაფია და რემინგტონ.

მსწავლებელნი-სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, **პრაქტიკულად** და **თეორეტიულად** ყოველ ცალკე საგანში მომზადებულნი.

ატესტატები სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ **ეძლევათ.** თხოვნები მიიღება 25 აგვისტოდან, 9 ს.-დან 11 საათამდე, და 5 7 ს.-მდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს: ნიკოლოზის ქუჩა, 22, საკუთარი სახლი, **ტელეფონი № 744.**
(10.1652.4)

ს ა ს უ ნ ა ტ ი ს ფ ი ნ ა ა ლ ბ ე ბ ი
ახალი წამალი
„S A L O - **პ ი ჩ ი ლ ი ნ ი**“

სწრაფად და საფუძვლიანად ჰმოქმედებს და ექიმთა აზრიდ **გონივრულ საშუალებად** ითვლება. დარიგება კოლოფში ქვეს. ნამდვილი ამბოლოდ ლითონის კოლოფითაა, 4 მან. **და 50 კ.**

აგრედვე კარგად მოგზეადობს ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუჩყვეტელ მდინარეობასაც აჩერებს.

დეპო: Пе е бургъ. Разъѣзжая № 7, Аптека В. Конгейма.
ფას-დადებით იგზავნება. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით.
კავკასიის საფთიაქო საქონლით. მოვაჭრე საზოგადოებაში იშოვება Москва. 12429. (45—2014—39).

„ს ო ლ ა პ ნ ი ს“ გ ა მ ო ც ე მ ა.
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად

კ ე დ ლ ი ს კ ა ლ ე ნ დ ა რ ი 1912 წ ლ ი ს ა,
შ ე დ გ ე ნ ი ლ ი გ რ ი გ ო ლ ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი ს მ ი ე რ.

კალენდარში სხვა და სხვა სასარგებლო ცნობათა გარდა მოთავსებულია მრავალი სურათები ჩვენი საზოგადო მოღვაწეებისა. **კალენდრის კარდონი დაბეჭდილია სხვა და სხვანაირ ფერადის საღებავებით ლიტოგრაფიაში, სუფთად და ლამაზად შეკრულია თუნუქით, რომ ახევის დროს არ დაიბნეს.** ფ ა ს ი კი ისევ ძველებურია **40 კაპ.**

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად „სახალხო კალენდარი“, მ. გაჩეჩილაძის შედგენილი, ფ ა ს ი 20 კ.“

პარტიობით მყიდველებს დაეთმობათ პროცენტები. ადრესი: Тифлисъ Типографія „Сорацанъ“, М. Гачечиладзе“.
(20. 1594. 18)